ლიტერატურული გაზეთი

№12 (124) 20 ივნისი - 3 ივლისი 2014 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

დავით წერედიანი

* * *

როგორი ტექსტია — კარგი? ცუდი? საშუალო?

გააჩნია, რომელი სამრეკლოდან ვრეკავთ.

ერთხელ ოთარ ჯინორია, ცნობილი გერმანისტი, კაფკაზე გველაპარაკება, არაფერი შეარჩინა, ლანძღავს, მაგრამ რას ლანძღავს! მე ვარ და, ჩემ გარდა, კიდევ ერთი მავანი.

— კაფკაზე რომ ასე ლაპარაკობ, — შეაწყვეტინა იმ ჩემ გარდა კიდევ ერთმა მავანმა, — „ნიანგში“ მოთხრობას ვბეჭდავ, „ერმილეს მამალი“ ჰქვია, იმაზე ალბათ რაღას იტყვი!

— კაფკას დონისაა??? — აღფრთოვანდა ოთარ ჯინორია, — ძეგლს დაგიდგამ!!! შენი სამუდამო ყმა გავხდები!!!

* * *

იმასაც გააჩნია, რა რის გვერდით დაიდება.

მაგალითად, სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთმა დღემ“ თავის დროზე ფურორი მოახდინა.

თუ ცალკე დევს, ალბათ ურიგოც არ ეთქმის, მაგრამ თუ შალამოვის მოთხრობებთან დადებ — თემატიკა იგივეა — უცებ უსახურდება.

* * *

— მე ზომიერი არქაისტი ვარ, — ამბობს ოთარ ჯინორია.

— უმერენნიი ობჟორა, — ვეუბნები.

ეცინება.

მაგრამ რატომ რუსულად? მერეღა დავფიქრდი.

„ზომიერი ღორმუცელა“ ან „ზომიერი მუცელღმერთა“ უხეშია, იუმორზე უწინ ლანძღვა შემოგესმება. „ზომიერი მსუნაგი“ ალბათ სჯობს, მაგრამ უნიათოა.

სადღაც „ზომიერ გაუმაძღრობასთან“ არის საძებარი.

II-III

ჯარჯი ფხოველი

* * *

იკლაკნებიან სტრიქონები: გველნაკბენები
იმ ფურცელზე, ცეცხლს რომ ვაჩუქე...

დაკბინეს ცეცხლი
და დაკბინეს ერთიმეორე...
და დაკბინეს ის ფურცელი,
სადაც შენი გული დახატე...
და დაკბინეს ძველისძველი მზე...

იკლაკნებიან სტრიქონები,
როგორც გველები,
იმ ფურცელზე, ცეცხლს რომ ვაჩუქე:
ცას
ე
ტ
ო
ტ
ე
ბ
ა
განწირული მათი წივილი!

მთებში

შორიდან მოჩანს მთები სალეკო:
აქა ვარ, უკვე გადის ორი თვე...
დარი რომ იყო: ქარმა წალეკა,
ეხლა ავდარსაც ვხედავ შორითვე...
ავდარსაც ვხედავ: მწუხრის წალიკი
წვიმადალეულ ცასთან მოვრითმე...
შორიდან მოჩანს მთები სალეკო:
მთების მწყემსი ვარ, გადის ორი თვე...

IV-V

დავით წერედიანი

თემა და ვარიაციები

* * *

ენა ენის თანაფარდი არ არის, აქვს აშკარა უპირატესობები სხვათა წინაშე, მაგრამ აქვს აშკარა ჩავარდნებიც.

ერთხელ, კამათში, ჩემთვისვე მოულოდნელად, კარგი ხელოვნება ასე განვმარტე: „დუხოვნოე ჩერეზ დუშევნოე“.

სწორია თუ არასწორია, ნაკლებად მაღონებს, ქართულად როგორ უნდა ითქვას, ვერა და ვერ მომიფიქრებია. არადა, აუცილებლად იქნება რაღაც გამოსავალი.

* * *

რუსულში ზოგი ისეთი მარტივი სიტყვა არ არის, გაგიკვირდება.

ვთქვათ, „მკლავი“. ვთქვათ, „კივილი“.

გერმანულში, რომელიც მრავალი დიდი ფილოსოფოსის ენაა, არ არის სიტყვა „ჭეშმარიტება“. არადა, მაგ ცნებაზე რამდენი ტრაქტატი აქვთ დაწერილი თვითონ გერმანელებს!

* * *

ზოგად ენათმეცნიერებაში ჩამოთვლილია ის ენობრივი ფორმები და კატეგორიები, რომლებიც სრულიად უსარგებლოა, ზედმეტი ტვირთია, სჯობს, არ იყოს. მათ შორის მოხსენიებულია გრამატიკული სქესი.

მისი უქონლობა ქართულის ღირსება ყოფილა, ზოგჯერ რომ ნაკლი გვგონია.

უფლება გვაქვს, ამაყად განვაცხადოთ: სანამ გენდერულ უთანასწორობაზე შემოგვედავებოდეთ, უმჯობესი იქნება, ჯერ თქვენს საკუთარ ენებს ჩახედოთ, საკუთარ ტრადიციებს.

ქალთა ენობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ დასავლეთში ფემინისტების წივილკივილიანი მსვლელობები იმართება.

ბავშვი რომ ლაპარაკს სწავლობს, გრამატიკული სქესი, არა მგონია, რაღაც დისკომფორტს არ უქმნიდეს მის ფსიქიკას.

* * *

— ია პრიშლა, ია უშლა, — ამ წესით ლაპარაკობდა რუსის პატარა ბიჭი.

უმალვე მიხვდები: ოჯახში მხოლოდ ქალები ჰყავდა, არც ერთი მამაკაცი.

* * *

იოზეფ ჭ.-მ (და არა იოზეფ კ.-მ, კაფკას პროტაგონისტმა) ამასწინათ ლიტერატურული კინკლაობა წამომიწყო. თან გულთამხილავი გამოდგა — ბედი არ გინდოდა? — დაფარულ აზრებს კითხულობს.

ეგ არის, ფანტაზია ისე შორსაც ვერ გაუწვდა, ყოვლად უილაჯო ბანალობებს გასცდენოდა. ამის მეტი ვეღარაფერი მოუფიქრებია: შურიც მჭირს, განდიდების მანიაც მჭირს, პოეტური ნიჭის უქონლობა ხომ მჭირს და მჭირს.

ბოლო სიტყვას, ცხადია, მასზე ვტოვებ, მართლა პოლემიკაში ხომ არ შევყვები. ჩემი სათქმელი ვთქვი და მოვათავე.

რასაც ვსაყვედურობდი, გადაუჩქმალავს, ვითომ არც ყოფილიყოს, ანუ დედის რძესავით შეურგია. ხოლო მის წვრილმან თაღლითობებზე გამოდევნება რა საკადრებელია, წამლად რამე აზრისმაგვარი მაინც ჭაჭანებდეს!

კაპიკი გაკაპიკებულა, საკაპიკეში ჩაკაპიკებულა.

* * *

სამოციანელმა პოეტებმა — მეოცე საუკუნის სამოციანელებზე მოგახსენებთ — გადაახალისეს მაშინდელი ქართული პოეზია, მრავალი რამ შემოიტანეს ახალი და საინტერესო. ოღონდ ეგ იყო, ათმარცვლიანი ლექსის გარდა იმ ხანებში სხვა საზომს ფაქტობრივად არ ცნობდნენ. მერე და მერე მისი რიგიანად გამართვა თითქმის ყველამ ისწავლა, ისეთი მომაბეზრებელი გახდა, ლამის იყო, თვალი თავისით გაურბოდა.

ვერლიბრის გამოჩენა შვებასავით იყო, ახალი თემები, ახალი მეტყველება, ახალი სახელები... მერე და მერე ისიც გაერთფეროვანდა, ერთ თარგზე მოიჭრა, ერთსა და იმავე პოეტურ კილოკავზე... ისევ ის ძველი ამბავი მეორდება, თვალი, ლამის არის, თავისით გაურბის...

სამოციანელები მალევე მიხვდნენ, რა როგორც იყო. უმეტესნი ათმარცვლიან ლექსს ძირითადად გაერიდნენ, სულ სხვა სათქმელი თქვეს.

* * *

ვერლიბრმა ნახევარ ჩვენს მოსახლეობას თავისუფლება აჩუქა, რამდენს ჰქონია გაუმჟღავნებელი ნატვრა, პოეტი რქმეოდა!

„რითმას ერთი უძვირფასესი თვისება აქვს, — წერდა პოლ ვალერი, — დილეტანტებს აფრთხობს“.

* * *

შემჩნეული ყოფილა: რითმაზე იმდენს არავინ ლაპარაკობს, რამდენსაც ვერლიბრისტები. ესეებში, ინტერვიუებში, კერძო საუბრებში.

ერთი ასეთი პოეტი მეც ვიცი — თუ კერძო საუბრების ნაცვლად მიმოწერას დავყაბულდებით — თანაც გამორჩევით კარგი პოეტი: პოლ კლოდელი.

* * *

თითქმის საუკუნენახევარია, რაც რითმა-ურითმობის დავა-წიოკი, ხანმოკლე პაუზების შემდეგ ხელახლა იფეთქებს ხოლმე. ერთმანეთს წარმატებულად უსწორდებიან. თავს წარუმატებლად იცავენ.

მე ვის მხარესა ვარ? ვინც უფრო ენაკვიმატურს იტყვის. არც ერთის მხარესაც არა ვარ.

არის სათქმელი — რეგულარულ რიტმსა რითმებს საჭიროებს, არის სათქმელი — ვერლიბრი უხდება.

მაინც არ დავმალავ: ჩვეულებრივი ლექსი მეტი მომწონებია, ვიდრე თავისუფალი. მეტი და გაცილებით მეტადაც.

* * *

თუ აკვირდებით, სიტყვა კონვენციურს გავურბივარ. უკლებლივ ყველა ჟანრი კონვენციურია. არაკონვენციური ლიტერატურა საერთოდ არ არსებობს. მით უმეტეს მხატვრული.

* * *

პოეტების ნუმერაცია. დიალოგი ფრანგულიდან, მეცხრამეტე საუკუნე:

— ესა და ეს პოეტი მერამდენეა?

— მეორე.

— პირველი ვინ არის? თქვენ?

— ღმერთმა დაგვიფაროს. პირველი ბევრია...

გამოკვეთილად პირველი პოეტი საფრანგეთს მართლა არა ჰყავს.

* * *

გამოკვეთილად პირველი ჩვენცა გვყავს, გერმანელებსაც, რუსებსაც და ალბათ სხვა მრავალს.

ის, ვინც თავის ენაში სიტყვის პირველი დიდი დღესასწაული გამართა.

საფრანგეთს, ისევე როგორც ესპანეთს, დიდი პოეტები მრავლად ჰყვანან, შესაძლოა, სხვებზე მრავლადაც, მაგრამ სიტყვის მთავარი დღესასწაული სახელდებით იქ არც ერთს არ უკავშირდება.

* * *

საოცარია: გოეთეს ჩვეულებრივი მდგომარეობა უგუნებობა იყო, უგუნებობა და საკუთარი თავით მძაფრი უკმაყოფილება.

არადა, წარმატება არაფერში ჰკლებია, არც შემოქმედებაში, არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არც სიყვარულში.

თანამედროვენი დაბეჯითებით ამბობენ, რომ სულიერადაც და ხორციელადაც სავსებით ჯანმრთელი იყო.

დიდზე დიდი სახელი ჰქონდა, არა მხოლოდ გერმანული, — საერთოევროპული.

უეჭველია, რაღაცას ისაკლისებდა. მაგრამ რას? დამაჯერებელი პასუხი არ არსებობს.

ორტეგა-ი-გასეტის ვარაუდით, მიზეზი ის იყო, ცხოვრება რომ გაიმსუბუქა, ვაიმარის ჯუჯა სახელმწიფოს კარზე თავი რომ დამარხა: სანახევროდაც ვერ გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო.

თვითონ მას ასეთი რამ აქვს ნათქვამი: მთელი ის დრო, თავი როცა ბედნიერად გვიგრძნია, ერთმანეთს რომ გადაებას, რაღაც ათიოდე წუთი თუ გამოვა.

* * *

როცა პოეტი სიბერეზე მოთქვამს, დიდი გამოცნობა არ სჭირდება, — ან ოცდაათისა ხდება, ან სულ ახლახან გადაშორდა.

სიბერის მოახლოება, კი, როგორ არა, უკვე აწუხებს კიდეც. მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, მართლა აწუხებდეს!

ვისაც ნამდვილად აწუხებს, ისინი დაახლოებით ასე წერენ: არა, გული არ დაბერებულა, შიგ ისევ ძველებური ცეცხლი ანთია!

* * *

ტექსტში უწმაწური სიტყვები ერთგვარი სიგნალია, ახალგაზრდული ფირნიშია. ეს იგრძნეს ხნიერებმა და სასწრაფოდ ფეხი აუწყვეს, — არა, გული ჯერ არ დაბერებულა!

ერთი ხალხური ლექსი მახსენდება, ჩამოთვლილია, ეს ქვეყანა რამ არია: „ბეჩავთ სიდიდემ აღრია, არამ აღრია სხვამაო, ბებრების წოლა-დგომამა, ძალად ახლებში თვლამაო“.

ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად ახალგაზრდული აღარც ის პირველი კოჰორტაა, მგონი, მეხუთე ათწლეული გადაღუნეს.

* * *

ერთხელ პლაგიატზე ჩამოვარადა სიტყვა. „ყველა მწერალი ქურდი და ყაჩაღია“, ამბობდა თურმე ფოლკნერი. გენიოსები — ვინ წარმოიდგენდა! — ყველაზე ხშირად ყოფილან ხელმრუდობაში შემჩნეული. გოეთეს რომელიღაც თანამოკალმის მდარე ლექსი შეუსწორ-შემოუსწორებია, მერე შენანებია და თავისად დაუბეჭდავს. ტოლსტოისათვის „აღდგომის“ სიუჟეტის გამო სასამართლოში უჩივლიათ.

დავასკვენით: თუ ძველს მოჰპარე, ქურდობაა, თუ ცოცხალს — ყაჩაღობა.

შოთა ჩანტლაძე, როგორც მოსალოდნელი იყო, გენიოსების მხარეს აღმოჩნდა:

— თუ მართლა პოეტი ხარ და ვინმე უნიჭოსთან კარგი სტრიქონი იპოვე, უფლება არა გაქვს, არ მოიპარო. ესეც ეროვნული განძია, უნდა დავიწყებისაგან იხსნა.

და ხელების ქნევით წინ გაგვიარ-გამოგვიარა. ასე იცოდა ხოლმე, როცა რაიმეს მოულოდნელს იტყოდა.

— კარგია, — შევუქე ეროვნული განძის მცველობა, — მაგრამ რა გუნებაზე დადგები, როცა იტყვიან: იმ საწყალს ერთადერთი სტრიქონი ჰქონდა და შოთა ჩანტლაძემ ისიც არ შეარჩინა.

* * *

ამ გახსენებაზე.

ვინც არ იცის, ვიტყვი: შოთა ჩანტლაძის ლექსები მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

ერთგან ასეთ სტრიქონს წავაწყდი: „მინდა დავწერო და დავწერო გულის სიმსივნე“.

არადა, მისგანვე ათასჯერ მომისმენია: „მინდა დავწერო და დავწ**უ**რო გულის სიმსივნე“.

რამდენად უკეთესია! განსხვავებით კი ერთადერთი ბგერა განასხვავებს.

კორექტურაა? ტექსტოლოგიური დაუდევრობაა?

* * *

შორი ნაცნობი იყო. თუმცა მთლად შორიც არ გამოდის, ერთმანეთს ვუჩერდებოდით.

— სამყაროთა სიდიდე-სიპატარავეს რა მნიშვნელობა აქვს, — მეუბნება, — ცენტრი დედამიწაა, მთელი ზეგარდმო ძალები დედამიწას ელოლიავებიან, სიცოცხლეს ელოლიავებიან. მზეს რომ საშიშროება დაემუქროს, ნათურასავით გამოცვლიან სხვა განზომილებიდან. ვინ იცის, კიდევ რამდენი განზომილება არსებობს...

„ნათურასავით მზის გამოცვლა“ ხსოვნაში მკვეთრად ჩამებეჭდა. შედარებაა? მეტაფორაა?

ისე, შეშფოთებასაც ვერ მალავდა კაცთა განუსჯელობის გამო.

— დროზე გონს თუ არ მოვეგეთ, ძალიან ცუდი ამბავი დატრიალდება. კაცობრიობის მხოლოდ მცირე ნაწილიღა გადარჩება. რას გვიზამენ? რას და ელექტროენერგიას გამოგვირთავენ, უფრო სწორად, გაგვიუქმებენ, რომ შემდგომშიც იგივე არ გავიმეოროთ. წუთით დიდი ქალაქები წარმოიდგინე. ხვდები, რა ცოდვის კითხვა იქნება?

მაშინ მხოლოდ გამეცინა, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე ლამის საღვთო შიშით შევაცქერდი. შუალედში ასეთი რამ წავიკითხე: დედამიწის პოლუსები თანდათან გადაადგილდებიან. ამდენითა და ამდენით გადაადგილების შემდეგ (რიცხვი აღარ მახსოვს) ელექტროენერგია საერთოდ გაქრება ჩვენს პლანეტაზე.

როგორია!

* * *

ერთმა უცხოელმა, ქართველოლოგებს რომ ვეძახით, დეკრეტივით გამოგვიცხადა: თქვენი ლიტერატურა ვაჟა-ფშაველადან იწყება და ლამის იქვე, იმ მოკლე მონაკვეთშივე, თავდება, რადგან საბჭოთა პერიოდში რაც შეიქმნა, ქართულ ლიტერატურას არ ეკუთვნის.

უწინდელი? — უწინდელი საერთოდ უფასურია.

ჩვენს მაღალშუბლიან მოაზროვნეთა ერთ ნაწილში მომხრეებიც კი გაუჩნდა. დარცხვენილი სახეებით იმეორებდნენ, რომ ჩვენი ლიტერატურა — არა, აქამდე სად ვიყავით! ახ, ეს დამღუპველი ულტრანაციონალიზმი! — მართლა ვაჟა-ფშაველადან იწყება.

დიდად გამხნევებულმა უცხოელმა ახლა კოტე მარჯანიშვილზე მიიტანა იერიში, თურმე სტანისლავსკის ასისტენტი და ეპიგონი იყო, არავითარი რეჟისორი ის არ ყოფილა.

კარგი, ვთქვათ, ქართული ლიტერატურა თავიდან ბოლომდე გადააბულბულა, იმ სპექტაკლებს სადღა უყურა, ცოცხალთაგან რომ აღარავის ახსოვს! თან ზუსტი დიაგნოზიც იცის, — ეპიგონობა.

ისიც ნახა და ესეც. ერთმანეთსაც შეადარა.

უნდა ვერწმუნოთ, ჩვენზე უკეთ მოეხსენება. აკი უცხოელია.

* * *

ოსები, როგორც ცნობილია, ქართველმა თავადებმა შემოისახლეს, საყმო რომ გაემრავლებინათ. რამდენადაც ვიცი, ამაზე არავინ დავობს.

ვფიქრობ, აფხაზეთშიც ზუსტად იგივე მოხდა: ახალი საყმო იქაც თვითონვე შემოისახლეს ქართველმა თავადებმა — შარვაშიძეებმა, ანჩაბაძეებმა, ინალიშვილებმა, ემხვარებმა.

ნურც ეს ბოლო გვარი ნუ დაგვაბნევს — ოპიზარი, ხოტივარი, მიზანდარი, ჯაბადარი...

* * *

ისევ და ისევ ძველი პოლიტიკური მითებითა და ლეგენდებით ვიკვებებით:

რუსეთი — მხსნელი.

რუსეთი — დამაქცევარი.

ვერ მოხერხდა, ერთ სანდო ისტორიულ გამოკვლევაში ავიცა და კარგიც კეთილსინდისიერად ჩამოწერილიყო.

მშვიდად და უტენდენციოდ.

ვერც მოხერხდებოდა. ათი თავი ვისა აქვს, — მაგის ჩამდენს ორივე მხრიდან ცოცხლად გაატყავებენ.

* * *

რუსეთთან შეერთებას „უმცირესი ბოროტება“ ერქვა. თუ არ ვცდები, სტალინის სიტყვებია.

მაგრამ, ერთხელაც იყო, ჩვენმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ვეღარ აიტანა ეს უმადური ცილისწამება და საზეიმოდ გვამცნო, რომ რუსეთთან შეერთება „უდიდესი, უმაღლესი, უზენაესი ბედნიერება“ ყოფილა.

ამგვარმა უმუხრუჭობამ თვითონ რუსებიც კი შეაწუხა. მეტისმეტი — რეტისრეტიო, ზემოდან დაუტატანეს.

ჩემი თვალით მაქვს წაკითხული მაშინდელ „პრავდაში“, იმდროინდელში, გეორგიევსკის ტრაქტატს რომ ვდღესასწაულობდით, — თითქოს არავის მიემართებოდა, ისე, სასხვათაშორისოდ ეწერა: „როგორ შეიძლება სახელმწიფოებრიობის

დაკარგვა ერისთვის ბედნიერება იყოს. უმცირესი ბოროტება ზუსტი ფორმულირებაა“.

ბედნიერებაზე ლაპარაკი იმ დღიდანვე შეწყდა: გამგებმა გაიგო.

* * *

აუცილებლობა და თავისუფლება ფილოსოფიური ტერმინებია, ერთმანეთს გადაჯაჭვული.

ასედაცვე ამიხდა.

ყმადნაფიცობის აუცილებლობას გამოვეხსენი.

მოვიპოვე ყმადნაფიცობის თავისუფლება.

* * *

ჯოისის „ულისე“ რომანი არ არის. უზარმაზარი სტილისტიკური ძეგლია, პოეტური თუ პროზაული ხერხების ვრცელი ენციკლოპედიაა, მახვილგონიერი და შავნაღვლიანი ცინიზმით გაჯერებული.

გრანდიოზული ნაგებობა, გასაოცარი არქიტექტონიკა, ურთულესი და უძნელესი ხვეულები. შიგადაშიგ მაღალი დონის პოეზიაც.

მაგრამ ვისაც სტილისტიკა და მხატვრული ხერხები ნაკლებ აინტერესებს, ტყუილად ნუ გადაშლის. მოთმინება დიდხანს არ გაჰყვება.

რადგან „ულისე“ რომანი არ არის.

თუმცა თავის დასაზღვევად, ჯობს, ასე ითქვას: ჩვეულებრივი რომანი არ არის.

...

საინტერესოა, ქართულად რომ დაწერილიყო და ინგლისურად თარგმნილიყო, დიდ მწერლობად გამოცხადებას არ ვიტყვი, ვინმე თუ დახედავდა...

* * *

„გულაგის არქიპელაგი“ უმძაფრესი შოკივით იყო, შთაბეჭდილებიდან ვეღარ გამოვდიოდით. საბჭოთა იმპერია, შეიძლება ითქვას, კიდევაც შეაჯანჯღარა.

დიდი ხნის შემდეგ შემთხვევით მომხვდა ხელში, გადავხედე და გაოცებული დავრჩი. საბჭოთა კავშირის სიძულვილი ასე როგორ გვაბრმავებდა, აშკარად დასანახავს ბუნდოვნადაც ვერ ვხედავდით.

ცუდად რომ ყოფილა დაწერილი, ეს კიდევ არაფერი, — ყურმოკრული ჭორები, ყალბი და გაბუქული სტატისტიკები და ფაქტები, არაკეთილსინდისიერი ინსინუაციები. მოკლედ, სანდოობის ხარისხი საშუალოზე დაბალია.

არადა, როგორ გვჯეროდა!

ისიც კი გადავყლაპეთ — ქართველ რეპრესირებულებზე ზიზღითა და ბოღმით დაწერილი პასაჟები!

* * *

სოლჟენიცინის მხატვრული ნაწერები ცოტა მაქვს წაკითხული: იმთავითვე ვერ განვეწყვე.

თემატიკა — ანტისაბჭოური, შესრულება — სოცრეალისტური.

* * *

ამ გახსენებაზე:

საბჭოურ ლიტერატურასთან ერთად ანტისაბჭოურმაც დაკარგა მნიშვნელობა.

რაც ორივე მხრიდან კარგი გადარჩა — არადა, გადარჩა — ის, ხელახალი აწონ-დაწონის შემდეგ, საბოლოო ჯამში, არც საბჭოთა გამოდგა, არც ანტისაბჭოთა. რამდენიმე გამორჩეული რომანი, გახიზნული თუ გაუხიზნავი პოეტების საუკეთესო ლექსები... და კიდევ ცოტა რამ არამხატვრული.

* * *

ადამიანთა დიდ ნაწილს პანიკური შიში აქვს, ჩამორჩენილობა არ დაბრალდეს. ახალ-ახალი „იზმები“ ძირითადად ამ საფუძველს ემყარება.

ვინ მიმაჩნია უდიდეს თანამედროვე პოეტად და — ყველაზე ძველთაგან ჰომეროსი. ბევრად ახალია, ვიდრე — რომელიც გნებავთ ნობელიანტი.

ჩემთვის განუზომლად უფრო ახალია...

* * *

არ მახსოვს, წავიკითხე თუ ჩემით მომაფიქრდა. უფრო — წავიკითხავდი.

ჯორდანო ბრუნო ჰელიოცენტრული სისტემის გამო კოცონზე ავიდა. გალილეო გალილეიმ უკან დაიხია, არ ავიდა.

ბრუნოს სწამდა, გალილეიმ დამტკიცებულად იცოდა.

ორივე საქციელი ამ წანამძღვრიდან გამომდინარეობს.

კოცონზე რწმენისთვის ადიან, ცოდნის გამო არ ადიან.

უნა ო’ ნილი, ცნობილი ამერიკელი დრამატურგის იუჯინ ო’ ნილის ქალიშვილი, ისტორიაში შევიდა იმით, რომ ის უყვარდა XX საუკუნის ორ უდიდეს ადამიანს — ჩარლი ჩაპლინსა და ჯერომ სელინჯერს და როდესაც 1943 წელს არჩევანი გააკეთა და ლეგენდარულ მსახიობზე დაქორწინდა, სელინჯერისგან „სამახსოვრო“ წერილიც მიიღო ეროტიკული ხასიათის კარიკატურით, რომელშიც გაშარჟებული იყო ახალდაქორწინებული წყვილის ასაკობრივი სხვაობა (ქორწილის დღეს ჩარლი 54 წლის იყო, უნა კი — 18-ის).

„წერილი რომ წავიკითხე, მივხვდი, სწორი არჩევანი გავაკეთე“, — იტყვის უნა მოგვიანებით. ჯერი კი „ოქროს მაძიებელს“ უწოდებს, რადგან მიიჩნევს, რომ მისი და ჩარლის ქორწინების მთავარი მოტივი ფული იყო.

თემურ გაბუნია

სასიყვარულო სამკუთხედი

უნა

უნა მამის მზრუნველობას მონატრული ადამიანი იყო. მისი მშობლები ადრე განქორწინდნენ, რასაც მტკივნეულად განიცდიდა. სამი წლის ასაკში მამის სურათი გაზეთში უნახავს და ისე ატირებულა, ძლივს დააწყნარეს. უნას მამა უნდოდა, იუჯინს კი შვილებისთვის არ ეცალა, მაშინაც კი, ერთ სახლში რომ ცხოვრობდნენ. მისი ნამდვილი შვილები საკუთარი პიესების პერსონაჟები იყვნენ. უნა მამას ეძებდა, მფარველს... თუმცა საქმე ისე აეწყო, რომ ერთდროულად მამასავით მზრუნველი ადამიანიც იპოვა და მეუღლეც, ეს 1943 წლის 16 ივნისს მოხდა, უნას სრულწლოვანების პირველსავე დღეს, მაშინ ჩარლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორმოცდათოთხმეტი წლის იყო, თავად კი — თვრამეტის...

სად იმყოფებოდა ამ დროს ადამიანი, ვრცელ წერილებს რომ წერდა საკუთარ გრძნობებზე და რომელმაც მისი დაქორწინების ამბავი, სხვებთან ერთად, გაზეთებიდან შეიტყო? ის არმიაში იყო და დესანტით კონტინენტზე გადასხმისთვის ემზადებოდა...

წერილები, რომლებმაც ადრესატი შეიცვალა

1942 წელს სამხედრო სამსახურში მყოფმა უილიამ საროიანმა ვრცელი წერილის კითხვა რომ დაიწყო, სახტად დარჩა. წერილი ქეროლისგან იყო, იმ მშვენიერი საყვარელი გოგონასგან, მის დეიდაშვილთან რომ მეგობრობდა. ქეროლი თავიდანვე მოეწონა. გარეგნობითაც გამორჩეული იყო და სათნო ხასიათითაც. არც ზედმეტად ინტელექტუალური ჩანდა, ბრტყელ-ბრტყელი საუბრით თავი რომ შეეწყინა. ქალურად ნაზსა და ოდნავ თავქარიანს ყველაფერი უხდებოდა — ისიც კი, ოდნავ თავქარიანი რომ იყო. ბილს სწორედ ასეთი ცოლი უნდოდა, მასზე თითქმის ორჯერ უმცროსი, 17-18 წლის, თავის ჭკუაზე გაზრდიდა. თავად ოცდათოთხმეტის იყო, უკვე სახელგანთქმულ მწერლადაც მიიჩნევდნენ. რაც სანორა ბებს დაშორდა, რომელთანაც თითქმის ცხრაწლიანი მიმოწერა ჰქონდა, რომელიც ბოლოს უპასუხო სიყვარულით დასრულდა, აღარ უნდოდა მწერალ ქალებთან ურთიერთობა. ბილს სიმარტივე ენატრებოდა, აღარც თავისი ასაკის ქალბატონები იზიდავდა, ისინი უკვე აღზრდილები და ჭკუადამჯდრები იყვნენ, ბილი მათგან ვერაფერს გამოძერწავდა. ქეროლი კი სულ სხვანაირი ჩანდა, სხვისი გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა, მით უმეტეს მაშინ, თუკი ვინმეს ავტორიტეტად მიიჩნევდა. ამჯერად კერპად უნა ო’ნილი დაესახა, იუჯინ ო’ნილის ლამაზი ქალიშვილი, რომელთან ერთადაც მთელ საღამოებს ელიტარულ „სთორქ კლაბში“ ატარებდა, ღამის კლუბში, სადაც ცნობილი კინოვარსკვლავები, პოლიტიკოსები და თვით ამერიკაში სტუმრად ჩამოსული ევროპელ მონარქთა ოჯახის წევრებიც კი შედიოდნენ. ასეთ ლამაზ გოგოებს დიდხანს უქმროდ არავინ გააჩერებდა, ამას ბილი გრძნობდა და რატომღაც უნასადმი მტრულად იყო განწყობილი, რადგან ეჩვენებოდა, რომ ქეროლს ართმევდა. ქეროლი ყველაფერში უნას ბაძავდა, ახლაც მას წაყოლოდა, კალიფორნიის სანაპირო უნდა მოევლოთ, თან ბილის დეიდაშვილიც წაეყვანათ. ბოშებივით წავიდნენ. ასეთ რაღაცებს ბილი ვერ იტანდა, ის ოსმალეთში დაბადებული სომეხი ემიგრანტის შვილი გახლდათ, მამამისი ეროვნული ტრადიციების დამცველი კაცი იყო — ნიუ-იორკის სომხური ეკლესიის მღვდელი. მართალია, მამა წესიერად არც ახსოვდა, სამი წლის იყო, როცა ის გარდაიცვალა, მაგრამ მწერლობა სწორედ მისი ჩანაწერების გაცნობის შემდეგ გადაწყვიტა... არა, უნასგან ნამდვილად უნდა გამოეხსნა, შიშვლებიც ვიცურავებთო, ტრაბახობდა ბილის დეიდაშვილი, ისიც იუჯინის ქალიშვილის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ბილის აზრით ნამდვილი ლედი ასე არ ამჩატდებოდა, ზურგჩანთამოკიდებული კალიფორნიის პლაჟებს ფეხით არ მოივლიდა და შიშველიც არ იცურავებდა...

დიახ, საროიანს ძველი გენები ჰქონდა. ჰეროდოტე ამბობდა, არმენები ფრიგიელების შთამომავლები იყვნენ და ოდესღაც ტროელების გვერდით სახლობდნენო... აი, ასეთი უძველესი ხალხის წიაღიდან იყო გამოსული ბილი! თურმე თვით უფლისწულ პარისსაც კი ფრიგიული ქუდი ეხურა... ახლა კი ამ თინეიჯერებს მისი გასულელება განეზრახათ. როგორ დაწერდა ქეროლი ამ უშველებელ წერილს, ასე ღრმას, ასეთ ჭკვიანურს?! მსგავსი თხზულების გამოცხობა თვით მასსავით ცნობილ მწერალსაც კი გაუჭირდებოდა. „ნეტა მისი დაწერილი არ იყოს“, — ფიქრობდა საკრამენტოს საწვრთნელ ბაზაზე მყოფი ბილი და სავარჯიშო მოედნისკენ მწყობრი ნაბიჯით მიმავალ ჯარისკაცებს გაჰყურებდა. ახლა მას ძლიერ უნდოდა, შვებულება აეღო და ქეროლი ენახა...

საბედნიეროდ, საროიანის ვარაუდი გამართლდა. ეს „ჭკვიანური აზრები“ დალტონის კერძო სკოლის მოსწავლეს, ქეროლ მარკუსს, ჯერომ სელინჯერის მიერ უნა ო’ნილისადმი მიწერილი წერილებიდან ამოეკრიბა, რომლებიც გოგონებს ერთად წაეკითხათ. უნა მათით ამაყობდა, რადგან ისინი ძალიან ნიჭიერი, დახვეწილი და მგრძნობიარე ადამიანის ხელიდან იყო გამოსული. ქეროლს კი, უნებლიედ, ძლიერ მოუნდა თავი ისეთად წარმოეჩინა, როგორიც სელინჯერი იყო. ალბათ, იფიქრა, საროიანს ინტელექტუალი ვეგონები და ჩემით საბოლოოდ მოიხიბლებაო. ამიტომ გადაიწერა მთელი გვერდები და ბილს გაუგზავნა. თუმცა საროიანი რის საროიანი იყო, სელინჯერის დაწერილი ქეროლ მარკუსის ნაცოდვილარისგან რომ ვერ განესხვავებინა. მალე შვებულება აიღო და ქეროლი მოინახულა, რომელიც იძულებული გახდა, ყველაფერში გამოტყდომოდა. ბილი გახარებული იყო. ამჯერად სწორედ ასეთი ქალები მოსწონდა — ნაზი და დამყოლი, ოდნავ თავქარიანიც და არა ზედმეტად ინტელექტუალური, სანორა ბებივით, რომლებიც მაკაცებივით ჭკვიანები იყვნენ. ახლა ის უკვე მზად იყო ქეროლ მარკუსი ცოლად მოეყვანა...

საროიანი წერილებთან დაკავშირებით არ შემცდარა. თუმცა საბოლოოდ მაინც მოატყუეს, ქეროლმა მხოლოდ ქორწინებიდან მეათე წელს გაუმხილა, რომ სანახევროდ ებრაელი იყო. საროიანი ფარული, მაგრამ შეურიგებელი ანტისემიტი გახლდათ. ის ნახევრადებრაელთან დიდხანს ვერ იცხოვრებდა. საბოლოო ჯამში ასეც მოხდა, სწორედ ქეროლის წარმომავლობა გახდა მათი დაშორების მიზეზი. 1952 წელს ისინი მეორედ და ამჯერად უკვე საბოლოოდ განქორწინდნენ...

ჩარლი ჩაპლინი და ჯერომ სელინჯერი

ა.სკოტ ბერგს — მაქსველ პერკინსის (ჰემინგუეისა და ფიცჯერალდის ლეგენდარული გამომცემლის) შესახებ დაწერილი ცნობილი ბიოგრაფიული წიგნის ავტორს, პულიცერის პრემიის მფლობელს, ეკუთვნის ერთი ცნობილი გამონათქვამი ჩაპლინისა და სელინჯერის შესახებ: „უდიდესი სხვაობა ჩაპლინსა და სელინჯერს შორის ისაა, რომ ჩაპლინმა მთელი თავისი ცხოვრება გაატარა დიდების ძიებაში, ადამიანებისთვის სიამოვნების მინიჭებაში, მათ გაცინებასა და ატირებაში (ხანდახან ერთდროულადაც). სელინჯერი კი, რამდენადაც ვიცით, დიდებას გაურბოდა. ამ თვალსაზრისით, ორი უფრო განსხვავებული ადამიანის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.“

ბერგმა საგანგებოდ აღნიშნა, ამ თვალსაზრისითო და სავსებით სამართლიანადაც. ეს რომ არა, შესაძლოა, ოპონენტებიც გაეჩინა, რადგან ამ ორ უდიდეს ადამიანს შორის განსხვავებასთან ერთად ღრმა სულიერი მსგავსებაც იყო. დიახ, ერთი შეხედვით, სელინჯერი და ჩაპლინი არაფრით გავდნენ ერთმანეთს, ჩარლის უყვარდა ცნობილი ადამიანების წრეში ტრიალი. მეგობრობდა აინშტაინთან, ბერნარდ შოუსთან, თომას მანთან, თეოდორ რუზველტთან, უინსტონ ჩერჩილთან, მაჰატმა განდისთან, ჟან პოლ სარტრთან, პაბლო პიკასოსთან, ლუი არაგონთან, არტურ რუბინშტეინთან, ადოლფ გრინთან და უამრავ ცნობილ ადამიანთან... მის სახლში, ბევერლი-ჰილზე, კვირაობით ბევრი მეგობარი იკრიბებოდა. ჩარლის უყვარდა ხალხმრავლობა, მხიარული საუბრები, გართობა, შეხვედრები, ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები... ხოლო სელინჯერი ყოველივე ამას გაურბოდა, თვით ჟაკლინ კენედისთან სატელეფონო საუბრის შემდეგაც კი არ წასულა თეთრ სახლში გამართულ წვეულებაზე... ის არათუ ნაცნობებს, ზოგჯერ საკუთარ ოჯახის წევრებსაც არ ეკონტაქტებოდა...

ეთელ ნელსონს, მწერლის ბავშვების ძიძას, უკვირდა, რომ ხანდახან თვე ისე გაივლიდა, ჯერის ვერც კი ნახულობდა. ვერც ნახავდა, რადგან სელინჯერი კორნიშის სახლის მახლობლად ფერდობის ბოლოში საგანგებოდ აშენებულ ბუნკერში განმარტოებულიყო და წერდა. ამ დროს მისი მყუდროების დარღვევა თვით მეუღლეს, კლერსაც, არ შეეძლო. სელინჯერი არ იძლეოდა ინტერვიუებს, ძულდა პაპარაცები, მასზე რომ ნადირობდნენ. თუმცა ყველაზე მეტად ჰოლივუდს ვერ იტანდა — იმდენად, რომ საკუთარ ვაჟსა და მესამე მეუღლეს ანდერძიც კი დაუტოვა, რომ რომანის, „თამაში ჭვავის ყანაში“, ეკრანიზაციაზე უარი ეთქვათ. ჩაპლინი კი ორმოცი წელი ამერიკაში ცხოვრობდა და ჰოლივუდთან თანამშრომლობდა... აი, როგორ განსხვავდებოდა ეს ორი დიდი ადამიანი, თუმცა მათ შორის იყო ღრმა სულიერი მსგავსებაც, რომელიც რატომღაც უმეტესწილად კადრს მიღმა რჩება ხოლმე... მაინც რა იყო ეს მსგავსება? ცნობილია, რომ სელინჯერი იბრძოდა საზოგადოებაში გამეფებული თვალთმაქცობის, ცრუ მორალისა და ფარისევლობის წინააღმდეგ. ამ მანკიერებებს ჩარლი ჩაპლინიც ვერ ეგუებოდა, ისიც წუხდა, რომ საზოგადოებაში ინდივიდის ხმა იკარგებოდა, სამაგიეროდ კი ისტებლიშმენტისა და უხილავი ხელისუფლების უშუალო დაკვეთით ყალიბდებოდა რაღაც მახინჯი, ჯოგური აზროვნება. ჩარლი ჩაპლინის ცნობილ წიგნში „ჩემი ბიოგრაფია“ ვკითხულობთ: „მეგობრებს უკითხავთ ხოლმე ჩემთვის — ამერიკელების ასეთი სიძულვილი რითი გამოიწვიეო. ჩემი უდიდესი ცოდვა ის იყო, და ახლაც ის არის, რომ საკუთარი შეხედულებები მაქვს, სხვისას ნაკლებ ანგარიშს ვუწევ“. „ყელში ამომივიდა ამდენი შეურაცხყოფა ამერიკაში, ეს თქვენი ფარისევლობა და ცრუ მორალი“. „თან-

დასასრული მე-5 გვერდზე

ვედრება

აბა, მოდით: კიდევ ერთხელ გაასამართლეთ
სიკვდილმისჯილი ჩვენი სულები!

მოდით: თვალები აგვიკარით,
რომ ლურჯი ცა არ დავინახოთ!

მოდით: თვალები აგვიკარით:
ეს ტიალი სამშობლო რომ არ დავინახოთ!

მოდით: თვალები აგვიკარით,
შეძრწუნებული
თავისთავი რომ არ დავინახოთ!

აღვდგებით!

პათეტიური მიხეილ ღანიშაშვილს

დღეს მინათებენ მზის ცრემლები, ცას რო ვესესხე...
ვიცი: მამულის სიცოცხლესაც
მზე მასესხებს, დაუყვედრებელს!

და ხმალი არის ის სტრიქონი,
საქართველოს მზეს რომ ეძღვნება!

არა, არ მინდა კლინიკაში ნაყიდი სუნთქვა,
გულს არ ეყოფა აფთიაქში ნაყიდი ცრემლი...
ფენიქსის იღბალს
ცას მოვთხოვთ და ცა გაიმეტებს!

და იღბალიც ხომ იმას სჭირდება,
ვისაც ხელში ხმალი უჭირავს,
მთიდან მთაზე ვინც დააბოტებს:
დიდბორბალოს ზურგით ეყრდნობა...

ჩვენ აღგვადგენს ფენიქსის დარდი
წარსულის სისხლის გუბეებიდან...
და ავმაღლდებით, ავიმართებით...
მეფე ერეკლეს დროინდელი ჭრილობები
გაგვეხსნება გულისფიცარზე...

პოეტები გვერქვა, მაგრამ
დავიჩემეთ მეხმლის სახელი...

არ გაიკვირვო,
ისიც მინდა ყველაზე მეტად,
რომ ამ ნაპრალებს შეეხიდოს ჩემი სული,
გულჭირიანი,
სამშობლოს მთების ობოლ ცრემლებს უყარაულოს!

წიაღსვლა

უცებ ლექსი დაინახა:
სტრიქონების იალკიალი,
გულის ცეცხლში გამოვლილი,
ტ. გრანელის შუბლივით ფართო...

ეს ლექსი ხომ შენს ფურცელზე ვერ დაეტევა.
წიგნის ყდებიც ევიწროება...
შენი გულიც ხომ ევიწროვა და:
ეხლა გაგირბის, მიდის, მიდის, საშველს დაეძებს...

ქაღალდის მინდვრებს გადაივლის გულღორღიანი,
იქ პოეტების პარნასია:
წამებული პოეტების ადგილის დედა...

ჩვენ იქ კბილები მოვიცვალეთ
მაშინ: მუხთალ საუკუნეში...

აქ კიდევ ვინმეს გადაეყრები:
ობლად რომ მიდის პოეტების ჯოგს ასხლეტილი...
და ქართული ენა აბოდებს,
და რუსთაველის სიტყვა აბოდებს,
და აბოდებს საუკუნის ნისლის კოტორი,
ვაჟა-ფშაველას ხანჯრით მოჭრილი...

მოდი, ვისესხოთ მთვარის მინდორი,
ეს სტრიქონი რომ დაეტევა:
დარდის ტბორი, მწუხარების ავანჩავანი,
ტ. გრანელის შუბლივით ფართო...

ვარსკვლავებს

როცა შენი მზე ვარსკვლავებს ჩაგრავს,
მაშინ ნაწყენ ცას უნდა ეფერო...
აღარ ანათებს: მზე თითქოს ჩაქრა:
ბედი გქონიათ, ღამის შხეფებო!..

ისევ თქვენია მწუხრი სატანის...
შენც, გულო, ცრემლით დასანამავო,
ღამის დარდს დალევ, მერე ასატან
ტკივილს ინატრებ, მაგრამ ამაოდ!

* * *

ეხლა რომ გჭირდება, ის სიტყვა გემალება.
წავიდა, მორჩა: ვეღარ მოაშინაურო!
გულის სიღრმეში ჩასდევ გამალებით:
რატომ გამირბიხარ, გიაურო!

მაგრამ არ მოგისმენს: ფეხებზე ჰკიდია
შენი იმედები და წლები დანახარჯი
და ის ამბავიც, შენ რომ გაეკიდე:
სდიე სამარემდე დანა-ხანჯრით!

პასუხი

ღრუბლის იღლიებში ცის ნაფთევები.
ღრუბლის იღლიებში მრავალწერტილი...

ღამე იტყვის და
ძილისპირული აყვავდება...

კაცი, ვისაც ეკლები გამოაყრის
ტანტუჩპირზე და დედაენაზე,
ღრუბლის იღლიიდან
ისიც შავად გამოიხედავს...
და თითს დაგვიქნევს გამეტებით
იმდენხანს, რომ მისი თითი
მუქარის ხის გამხმარ ტოტად გადაიქცევა...

გამახსენდება მე გინსბერგი, ვინც ამერიკას
ტრაკში გაუკეთა რაკეტა ატომური...
კარგად ვიცი: ვინმე ივანე
თავის სამშობლოს ატომურ მუხტს
არანაკლებ წარმატებით შეუყანყალებს!..

ჰოდა: შექმენით, გამოსცადეთ,
დაემუქრეთ, დაუმესიჯეთ...
ისე, რომ ღრუბლის იღლიებში
ღვთაებრივი ცა აკანკალდეს...
ნუკლიარულია,
საშიშია,
სატანურია,
განსაკუთრებით მაშინ,
როცა უკანალში აფეთქდება!..

...კადაბრა

დალიე, თორემ აბი დაობდა,
დალიე დროის ჩქარი ჩქერები!..
დალიე სიტყვის ეს აბდაუბდა:
დალიე დარდი, დაუჯერები...

ნუ გაჩერდები ცრემლის ჭაობთან,
ვარსკვლავებს უნდა შეემუდარო!
ვის მისტიროდი, ვისთან დაობდი,
ვინ გდია, გულო, ნაბებუთარო!
დალიე, თორემ აბი დაობდა:
დალიე დროის დარდი, უდარო!

გული და...

ესეც დაღლილმა გულმა დამითმო:
პირშავი დარდი, ხმაგაკმენდილი...
ენამ დამითმო სიტყვა სარითმო,
ციდან ვისესხე მრავალწერტილი...

ნუ დააბრალებ ენის სიჭრელეს,
მგზავრო, შენი მზე მწუხრში ვერ იდენს...
აქ სხვა დარდებიც გამოგიჭერენ:
იტირე, მაგრამ გლოვას ერიდე!

გული იწამე... სიზმარცხადივით
იყო ცხოვრება: ესეც ცხადია...
მარტოა გული, როგორც ნადირი,
შენი დღეები გულში გადიან.

გულის გუმანი გიბოძა ცამან,
ნუ გაასიებ მეტი გოდებით...
გულს უერთგულე: სამშობლოს სამანს
და მიწას: სულ რომ უახლოვდები!

* * *

მაშინ მთვარის იატაგანით
დაკეჭნილ ცაში
მე დავკარგე საქართველოს მდინარეები:
დღეს იმათ წყლებში
სიცხიანი ვარსკვლავები ტანს იგრილებენ...
და ნაპირებზე
ცეცხლმოდებულ სამოსელს ყრიან...

და ცისგადაღმა
კიდევ ვიღაც მკერდს იმჯიღავს და
გულით სწყურია
ჩემი წყლების ნაპირებს რომ ფეხი დაადგას...
ის ჩემს თვალებშიც შემოდის და
მდინარეთა მესაკუთრის უფლებას მართმევს,
სამაგიეროდ
ცისგადაღმა გასამგზავრებ ბილეთს მიტოვებს!

ის ახლოს იყო

სიკვდილი უფრო ახლოს იყო:
დედის ხელზე უფრო ახლოს,
სიყვარულის ათრთოლებულ ჩურჩულზე ახლოს...

შენ რომ სიტყვას ელოდებოდი,
ის ასწრებდა და მოდიოდა
შეპირებულ სიტყვაზე მალე...

ეტენებოდა შენს სიმღერაში...

მწარედ ცდებოდა, ვინც ფიქრობდა,
თითქოს შორს იყო
სიკვდილი თავის ამოკვნესით, თავის ქვითინით...

ის ახლოს იყო, ძალიან ახლოს:
ისე ახლოს, რომ ხშირად გიგრძვნია
ის ფუტკრების სუნთან ერთად,
ყვავილების სუნთან ერთად,
და ბალახის სუნთან ერთად,
სისხლშეუშრობ ხმლის სუნთან ერთად,
გულბოროტ სიტყვის სუნთან ერთად,
აყალო მიწის სუნთან ერთად,
რომ ტრიალებს ახლადგაჭრილ სამარის კართან...

ის ახლოს იყო, ძალიან ახლოს...

* * *

გული დაკაწრა ვეშაპის ჭარმა,
კიაფობს, მაგრამ ვეღარ ანათებს...
დაიმოწაფე მთები ჭარმაგი:
გაანდე დროთა სიმუხანათე...

იქნებ ბევრი რამ გიამბონ მათაც:
მოიგონებენ დღეებს, მზარავებს...
ცას მიბჯენილებს შევყურებ მთათა:
მაკვირვებს ჩემი სიპატარავე!

მინაწერი

რითაც სიკვდილი გავრითმე,
დავდივარ იმავ ჯავრითვე...

გულის დუღილი, ჩივილი
თან გავატანე ჩავლილ თვეს...

მწარე დღეწვრილთა წრიალი
გავზომე დროსთან დავითვე...

დავწყიე ყოფის სიმუხთლე
დავჯე და დარდით დავითვერ!..

უდაბნოს მთვარე

უდაბნოს მთვარე
ქაღალდზე უფრო თეთრი არი.
მოგინდება, რომ ლექსი დაწერო მთვარეზე...
მთვარე დაეფინება შენს საწერ მაგიდას.
სიტყვებს გადაედება მთვარის სიყვარული...

უდაბნოს მთვარეც ხომ ლექსი არი.
ძველლიბრად შექმნა ვარსკვლავ-გენიოსმა...
საღვთო ყვავილივით იშლება ცის კიდეზე.
ამოდის და
ღამის მგზავრის ზღვა სიხარულს ამოიყოლებს.
მგზავრის სიხარული
იღვრება სტრიქონებად:
„მთვარეო, მთვარის ნალევო, უბისთავს მოდი მალეო,
მანდ ორნი დანი არიან: ერთი მზე, ერთიც მთვარეო...
ერთ შენთვინ წამაიყვანე, ერთიც მე წამამგვარეო“...

* * *

დღეს მინათებენ მზის ცრემლები, ცას რო ვესესხე...

მთვარის ცრემლებიც ხომ ვიყიდე და:
ნაყიდი ცრემლი გამინათებს უმთვარო ღამეს...

აბა, იმას რა უნდა ვუთხრა,
ვისაც მთვარის იმედი აქვს
ამ ღრუბლიან შუაღამეში!..

გეუბნები: ან იყიდე, ან ისესხე:
ცის ცრემლები დაისაკუთრე!..

შენი დღეები

შენი დღეები, სისხლნასვამები,
ზურგს შეგაქცევენ:
ფეხაკრებით ჩაივლიან ღამის კიდეზე,
სადაც მსახვრალმა დრომ შენი გული
დაივიწყა დიდიხანია!

ველარ იხსენებ,
შენი სისხლი რატომ დალიეს
ამ ცამ,
ამ მთებმა,
ამ ტევრებმა უდაბურებმა,
ამ სიტყვებმა, კანიბალებმა...

სისხლით არ ვწერდი,
მაგრამ სისხლი ცრემლშიც ერია,
ის მელანშიც ერია და:
ის ლექსებმა დალიეს და
ის სიტყვებმა დალიეს და...
მოსაოხებლად
ცრემლის ერთი ნატამალიც არ დაგიტოვეს!

ხოლო ეხლა ეს სტრიქონები
სულ მარტოდმარტოდ და უშენოდ
ფეხაკრეფით მიცოდვილობენ:
ღამის კიდეზე რომ მიიწევენ,
ნეტავ, რა მიაქვთ სულ სხვადასხვა გულებისაკენ!

* * *

ფიქრი ურვილი. ლექსის წყურვილი.
წლები გამოცდას შენსას ცდილობენ...
ფურცელს ეტყობა სიტყვა წყლულივით:
სიტყვა აღრმავებს გულის ჭრილობებს!

ცა ნამთვარევი. მთვარე ნალევი...
ის, რაც იწვნიე, შენზედ ახია!
დრომ ამოგიცნო: ვერ დაიმალე.
წლებმა ნიღაბი ჩამოგახიეს!

დაღამდა ეს დღე. ცეცხლში შეხველი.
მოწამლულ ენით წყევლას გამოცრი...
შენ უნდა შერჩე, როგორც ხეხმელი,
მიწას უდაბურს და გულამოცლილს!

* * *

ჩაქრა ცხოვრება, როგორც საკირე,
თითქოს ცხადიდან შეხველ არილში...
დროის სიმუხთლე ისევ გაკვირვებს:
თავის შემზარავ ჩვევას არ იშლის...

გზარავს სიცოცხლე, ღალატიანი,
და მოლოდინი გზარავს ქარიშხლის...
ყოფნა-არყოფნის ჯარა ტრიალებს:
თავის შემზარავ ჩვევას არ იშლის!

თემურ გაბუნია

სასიყვარულო სამკუთხედი

დასასრული

ამედროვე ცხოვრების სულ უფრო და უფრო მზარდი გართულებების დროს, მეოცე საუკუნის კინეტიკის შემოტევის პირობებში, პიროვნება იზღუდება გიგანტური ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ყოველი მხრიდან უტევენ და ემუქრებიან მას პოლიტიკურად, მეცნიერულად, ეკონომიურად. ჩვენ მსხვერპლი ვხდებით სულიერი შეზღუდვებისა, სანქციებისა, ხოლო ზოგჯერ უფლებების მსხვერპლიც კი ვართ.

ჩვენ ჩვენივე წაყრუებით, ისეთ ფორმაში ჩამოსხმულები აღმოვჩნდით, რომ შინაგანი კულტურული ჭვრეტის უნარი აღარ შეგვრჩა. ბრმად შევაბიჯეთ სიმახინჯესა და განურჩევლობაში და ესთეტიკური აღქმის უნარი დავკარგეთ. სარფისა და სხვებზე აღმატებული ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში ცხოვრების აზრი დაგვიჩლუნგდა. ჩვენ თვითონვე მივეცით ნება ამ ძალებს თავიანთ ქსელში გავეხვიეთ, ხოლო რა დამღუპველი შედეგი მოჰყვებოდა ამას, სულაც არ გავითვალისწინეთ“. აი, როგორ ამხელს ჩარლი ჩაპლინი გლობალისტების მიერ მართული საზოგადოების სიბრმავესა და სიყრუეს, მის დანაშაულებრივ პასიურობას, რა მძაფრად განიცდის ადამიანის პირად ტრაგედიას „დიდად გავლენიანი ჯგუფებისა და უხილავ ხელისუფალთა თარეშის ატმოსფეროში“. დიდი ამერიკელი მწერალი უილიამ ფოლკნერიც დაახლოებით ამასვე ამბობდა სელინჯერის რომანის, „თამაში ჭვავის ყანაში“, გაანალიზებისას თავის ცნობილ 1958 წლის საუნივერსტეტო გამოსვლაში. მისი აზრით, ჰოლდენ კოლფილდის, ამ ღვთის განჩინებით სხვებისაგან გამორჩეული ახალგაზრდა კაცის უმთავრესი ტრაგედია საზოგადოებაში ადამიანის არარსებობა იყო. ის ინდივიდს ეძებდა, პიროვნებას, მაგრამ ვერსად პოულობდა, სანაცვლოდ კი შუბლით ეჯახებოდა ადამიანთა ჯგუფებს, ჯოგურად რომ აზროვნებდნენ. მათ შექმნაში ფოლკნერი ისტებლიშმენტს ადანაშაულებდა, უფრო სწორედ კი პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რომლის ვითომდაც უწყინარი გეგმაც უდიდეს საფრთხეს შეიცავდა ადამიანისთვის, მისი პიროვნული თავისუფლებისთვის...

ჩაპლინსაც ზუსტად ეს აწუხებდა, ადამიანის დათრგუნვა. სელინჯერის მსგავსად ისიც განიცდიდა ცრუ მოძღვრებების მომრავლებას, მცდარი ფილოსოფიის ადამიანებისთვის თავზე მოხვევას, რასაც ისეთივე დანაშაულად მიიჩნევდა, როგორც ფიზიკური ძალმომრეობის პროპაგანდას. მასაც მთელი არსებით სძულდა ფაშიზმი, მართალია, იარაღით ხელში არ იბრძოდა კონტინენტზე, მაგრამ თავისი საჯარო გამოსვლებით უდიდესი წვლილი შეიტანა მეორე ფრონტის გახსნის დაჩქარებაში, თანაც ისე აქტიურობდა, რომ გარკვეულმა წრეებმა კომუნისტობაც კი დასწამეს. ცენზურა „სისტემის წინააღმდეგ“ მიმართული ფრაზების ამოღებას თხოვდა კინოსცენარებიდან, მასაც უპირისპირდებოდა პრესა, ხანდახან ჩირქსაც კი სცხებდა და ბოლოს, ჩაპლინმა სელინჯერისა არ იყოს, მყუდრო გარემოში არჩია ცხოვრება... შვეიცარიის პატარა სოფელი კორსიე, სადაც თავისი ოჯახით დასახლდა, სულ რაღაც 1350 სულს ითვლიდა.

ამრიგად, ჩარლი და ჯერი, განსხვავებული ცხოვრების წესის მიუხედავად, შინაგანად არაიდენტური ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ალბათ, სწორედ ამის გამო შეუყვარდათ ერთი ქალი, თანაც პირველივე ნახვით და მისი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე არ განელებიათ...

სად გაფრინდნენ იხვები?

დაკვირვებულ მკითხველს უთუოდ ემახსოვრება ის ეპიზოდები რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“, სადაც ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის იხვებზეა საუბარი. ჰოლდენს ძალიან აწუხებს მათი ამბავი — ვერ გაუგია, სად მიდიან იხვები ზამთარში, როცა ტბა იყინება. ამიტომ ორჯერ სვამს ამ შეკითხვას, თუმცა ორივეჯერ კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება. გავიხსენოთ პირველი ეპიზოდი. კოლეჯიდან გამოგდებული ჰოლდენი ტაქსში ზის და იმდენად დაბნეულია, რომ მძღოლს საკუთარი სახლის მისამართს ეუბნება, არადა გადაწყვეტილი აქვს, რომ ის ღამე სასტუმროში გაათიოს.

„ — ცენტრალური პარკის სამხრეთით რომ ტბაა, იმაში იხვები თუ გინახავთ? აი, პატარა ტბა რომაა? შემთხვევით ხომ არ იცით, სად მიდიან ის იხვები, ტბა რომ გაიყინება? იქნებ ყური გქონდეთ მოკრული“, — ეკითხება მძღოლს, რომელსაც თავისი თინეიჯერი კლიენტი ისედაც შერეკილი ჰგონია, რადგან წესიერად ისიც კი არ იცის, სად მიდის.

მძღოლმა თავი მოატრიალა და ისე შეხედა, თითქოს გიჟი ყოფილიყო:

„ — შენ რა, დამცინი, ძმობილო? მაპამპულებ?“

ტრაგი-კომიკური ელფერი დაჰკრავს მეორე ეპიზოდსაც. შუაღამისას, როცა ნიუ იორკში კაცის ჭაჭანება არაა, ჰოლდენი ერთ დაფხავებულ ტაქსში ჯდება, რომელიც ისე ყარს, თითქოს შიგნით ვინმეს ვახშამი ეჭამოს. მარტოობის შეგრძნებას აძლიერებს ცარიელი ქუჩების სიჩუმე. „ზოგჯერ მოხულიგნო ვაჟბატონების კომპანიაც შემოგხვდებოდათ, თავიანთი გოგოები მოჰყავდათ და ჰიენებივით ხვიხვინებდნენ... საშინელებაა, როცა გვიანღამით ნიუიორკში ვინმე იცინის. რამდენიმე მილიდან გაიგონებ და ხელადვე მარტოობის ნაღველი შემოგაწვება. ერთბაშად შინ წასვლა და ჩემს პატარა ფიბისთან ლაყბობა მომინდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტაქსის მძღოლს გამოველაპარაკე, ჰორვიცი ერქვა. სად ეს და სად ის პირველი მძღოლი! კარგი კაცი ჩანდა. ვიფიქრე, იქნებ ამან მაინც იცოდეს იმ იხვების ამბავი-მეთქი.

— ეი, ჰორვიც, — ვუთხარი მე, — ცენტრალურ პარკში რომ ტბაა, იქ არასოდეს გაგივლია? აი, ცენტრალური პარკის სამხრეთით?

— რა არისო?

— ტბა-მეთქი, პატარა გუბე, იხვები რომ დაცურავენ.

— ჰო, მერე რა?

— იხვები ხომ გინახავთ იმ ტბაში? გაზაფხულობით. იქნებ შემთხვევით იცოდეთ სად მიდიან?

— ვინ სად მიდის?

— იხვები. იქნებ იცოდეთ შემთხვევით. ვინმეს საბარგო მანქანით მიჰყავს თუ თვითონვე მიფრინავენ — სამხრეთისკენ ან სხვაგან სადმე?!

ჰორვიცი შემობრუნდა და სახეში ჩამაშტერდა, ეტყობა ძალიან ნერვიული კაცი იყო, თუმცა ისე არა უშავდა რა.

— მე სად ჯანდაბიდან მეცოდინება! — თქვა მან — ან რაში მჭირდება ამისთანა სისულელე.

— კი ნუ მიწყენ, — ვუთხარი მე. ეტყობოდა, მართლაც ეწყინა.

— რა უნდა მეწყინოს? წყენა რა მოსატანია!

კრინტი აღარ დამიძრავს; თუკი ასე იწყინა, რა ძალა მადგა. თვითონვე გამომელაპარაკა. ისევ მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა.

— ის კი ვიცი, რომ თევზები არსად მიდიან. სადაც არიან, იქვე რჩებიან. იმ ოხერ ტბაშივე.

— თევზები, ჰო... სად თევზი და სად იხვი, მე იხვებზე გკითხეთ.“

შეიძლება, მკითხველს გაუკვირდეს კიდეც, რა კავშირია თევზებს, იხვებს, ტაქსის მძღოლებს, ჯერომ სელინჯერსა და უნა ო’ნილს შორის? საქმეც ისაა, რომ 1941 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც ერთმანეთი გაიცნეს, ხშირად დადიოდნენ მუზეუმებში, კინოთეატრებში, წარმოდგენებზე, კაფეებსა და რესტორნებში, განსაკუთრებით კი ცენტრალურ პარკში გასეირნება უყვარდათ, სადაც იმ იხვებსაც ხშირად ათვალიერებდნენ, რომლებსაც ასე ხშირად ახსენებს სელინჯერი თავის რომანში. სად წავიდნენ იხვები? ეს კითხვა მწერალს 1943 წლის ზამთარშიც შეიძლება გასჩენოდა, რადგან სწორედ ამ წელს დაქორწინდნენ ჰოლივუდის ვარსკვლავი ჩარლი ჩაპლინი და უნა ო’ ნილი...

და მართლაც, რა მოსდის სიყვარულს, როცა ზამთარი დგება და ირგვლივ ყველაფერი იყინება?

ყველაზე ბედნიერი შემთხვევა

1942 წელს ჩარლი ჩაპლინი ახალგაზრდა მსახიობ ქალს ეძებდა ახალი ფილმისთვის „ჩრდილი და სინამდვილე“ და როცა რჩევისთვის ცნობილი პროდიუსერის ჰალ უოლესის დას, მინას, დაურეკა, მან დრამატურგ იუჯინ ო’ნილის ქალიშვილის კანდიდატურა შესთავაზა. „პირადად არ ვიცნობდი ამ დრამატურგს, მაგრამ მაშინვე მოვიგონე მისი პიესების ქუში სერიოზულობა და უნებურად ქალიშვილზედაც ასეთივე შთაბეჭდილება ჩამომიყალიბდა — ისიც ქუში იქნება-მეთქი“, — აღნიშნავს ჩარლი ჩაპლინი „ჩემ ბიოგრაფიაში“. თუმცა ჩარლის ვარაუდი არ გამართლდა, პირიქით, მის უოლესთან მისულს სასტუმრო ოთახის ბუხართან მიმჯდარი საოცარი სილამაზის ნაზი და მომხიბვლელი ჩვიდმეტი წლის გოგონა დახვდა, რომელმაც პირველი დანახვისთანავე მოაჯადოვა. ჩარლიმ არა მხოლოდ მსახიობი იპოვა ახალი ფილმისთვის, არამედ მომავალი მეუღლეც. მალე მათ გადაწყვიტეს დასრულდებოდა თუ არა „ჩრდილი და სინამდვილის“ გადაღება, მაშინვე დაქორწინებულიყვნენ.

ბევრის გასაოცრად ჩარლისა და უნას სიყვარული ხანგრძლივი და მყარი გამოდგა. უნას ჩარლის დახმარებით სამსახიობო კარიერის გაკეთება კი არ უნდოდა, არამედ ოცნებობდა მტკიცე ოჯახი შეექმნა და ბევრი შვილები ყოლოდა. უნამ ოცნება აიხდინა, მასა და ჩარლის რვა შვილი შეეძინათ. ეს იყო ორმხრივი სიყვარული. მოგვიანებით უნას გაცნობას თავის ცხოვრებაში მომხდარ უბედნიერეს შემთხვევას უწოდებს გენიალური მსახიობი და საგანგებოდ აღნიშნავს, ასე დაიწყო სრული ბედნიერება, რომელიც აგერ უკვე ოცი წელიწადია გრძელდება და კიდევ დიდხანს გასტანსო. ჩარლისთვის ალღოს არ უმტყუნია, მისმა ბედნიერებამ მართლაც დიდხანს გასტანა, ყოველ შემთხვევაში კიდევ ოცი წელი, 1977 წლის 25 დეკემბრამდე, როცა 88 წლისა ძილში გულის შეტევით გარდაიცვალა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჩარლიმ სრულ იდილიაში გაატარა, უხაროდა კიდეც ამერიკის მოქალაქეობა რომ არ მიიღო და ბევერლი-ჰილზის სახლიც გაყიდა, ამჯერად უმეტეს დროს შვეიცარიის მამულში ატარებდა, საღამოობით ხშირად გადიოდა აივანზე, მზის ჩასვლისთვის რომ ეყურებინა, მზერა ხან მწვანედ ახასხასებულ ეზოზე გადაჰქონდა, ხან კი მოშორებით მოლივლივე ჟენევის ტბაზე. ტბის იქით აღმართული მთები სიმშვიდეს გვრიდა. ახლა სრული უფლება ჰქონდა დიდ ფილოსოფოსებსაც შეკამათებოდა ბედნიერების რაობის შესახებ. მისი აზრით, შოპენჰაუერი ცდებოდა, როცა ამბობდა, ბედნიერება უარყოფითი ცნებააო. არა, ვერ დაეთანხმებოდა, რადგან ამ ბოლო წლებში უკვე ეგრძნო, რაც უნდა ყოფილიყო ბედნიერება. მშვენიერი ცოლი შეხვედროდა, ნეტა შეძლებოდა, მეტი დაეწერა მასზე. მაგრამ მაშინ სიყვარულზეც უნდა ელაპარაკა, ჭეშმარიტი სიყვარულის გამოთქმა კი შეუძლებელი ჩანდა. რაც უნა მისი გამხდარიყო, სულ ახალ და ახალ სიღრმესა და სილამაზეს ნახულობდა მის ხასიათში. თუმცა ხანდახან უნას სილამაზის წარმოდგენა გულს უჩუყებდა და თვალზე ცრემლი მოადგებოდა, ასეთ წუთებში აღარაფერზე ფიქრობდა, უბრალოდ მთებს გასცქეროდა და მათი სიდიადით ტკბებოდა... როგორც ჩანს, მას უკვე ეპოვა ის, რასაც სელინჯერი და მისი ლიტერატურული გმირები (ჰოლდენი, სიმორი...) ამაოდ დაეძებდნენ, ეს იყო ნამდვილი სიყვარული...

რუსუდან რუხაძე

გოლაანთი

გოლას თეფში ისევ სუფრის თავში დადეს, ამოჩემებული და გაბზარული. დანა-ჩანგალიც ისე მოუწყვეს, როგორც თვითონ მოუხერხდებოდა ხოლმე — მარცხნივ დანა, მარჯვნივ ჩანგალი. კარჩამოვარდნილი ხის ბუფეტიდან საგანგებოდ გამოღებული ბროლის ჭიქა მისივე დაყენებული ღვინით გაუვსეს და მაცივრიდან ორ-ორ თეფშს შორის მოქცეული ნასუფრალი გარშემო შემოულაგეს. სალათაზე მოჭრილი რეჰანის სურნელი რომ ამდის თითებზე, იმ ხელით ჭამას რა ჯობიაო, ბრაზობდა ხოლმე გოლა სუფრას „ქალაქურად“ რომ გაუწყობდნენ. „შინაურებში, შინაურებში! თორემ მე მასწავლით წესსა და კულტურასა?!“ — საჩვენებელ თითს ზემოთ აწევდა და სუფრის გარშემო შემომსხდარ ოჯახის წევრებს სათითაოდ მოავლებდა მზერას. ალყა-ალყა დაჭრილ ხახვსაც თუ არ წამოიცვამ თითებზე, კარგს იზამო, გაუჯავრდებოდა მართა და სკამის საზურგეს გოლასკენ მიაბრუნებდა. განა თვითონ არ უყვარდა სიმინდის ფქვილით შეზავებული ღოლოს შეჭამანდის თონის პურით ამოსუფთავება და ხელით მირთმევა, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში სულ გერმანიაში გადაკარგული უფროსი ბიჭის მოლოდინში იყო. ყოველ ზაფხულს ეგონა, მარიამობას არ გადააცილებს და შემოთვლის, ამა და ამ დღეს ჩამოვდივარ ჩემი ძმაბიჭებიანად და თქვენ იცით, როგორ დამხვდებითო. ჰოდა, აბა, დანა-ჩანგლის გარეშე როგორ იქნებოდა ასეთი საპატივსაცემო სუფრა! გოლას ოცნებაც ეგ იყო — თემო, თავისი ძმაკაცებით, ერთხელ მაინც ჩამოსულიყო მშობლიურ სოფელში და აქაურობა სულ უცხო ხალხისთვის მთელი გულით შეეყვარებინა. დიდი რამე სანახავი ეგონა სოფლის სალოცავის ნანგრევები, მშრალ ხევზე გადებული ძველისძველი ხიდი და ასწლიანი მუხის ხე რესტორნის გვერდით. ამ დაუსრულებელ მოლოდინსა და სამზადისში სევდაჩამდგარ მართას დიდი ოთახის კედელზე გამობერილი და ამოყვითლებული შპალერის გამო რამდენჯერ მთლად წახდენია ხასიათი; ხან ფარდებს გახედავდა და დაიწუნებდა, განყალდა, რომ გავრეცხო, ხელში შემომადნებაო; ხან ქორწილში ნაჩუქარ ხელით მოქარგულ სუფრას გადმოიღებდა, კიდევ ერთხელ მოარგებდა მაგიდას და თავისთვის ჩაიბურტყუნებდა — ზედ ცელოფანს გადავაფარებ, თორემ წითელი ღვინით მთლად გამიოხრებენ ბიჭებიო. მიუხვდებოდა გოლაც გულის დარდს და ვითომ ზერელედ გასძახებდა — კარგი რა, ქალო, მეტი ჯავრი აღარა გაქვს, შენც ემსაათში არ დაგადგეს თემო თავის ნემცებითო.

თემოს უნახავად წავიდა გოლა. კვდებოდა დიდხანს, უმტკივნეულოდ და იმედიანად. მიწას მიაბარეს თუ არა, თოვლი წამოყარა ძვლებში მქროლავმა ქარმა და სუფრის დასრულებამდე გადაათეთრა ატალახებული ეზო და ნაფეხურებით აზელილი გზა სასაფლაომდე. ამ დილით, როგორც იქნა, საკუთარ დარდთან მარტო დარჩა გოლას ჯალაბობა, ჭირის გაზიარებას ვერ ამოეთავებინა მისი წასვლით გამოწვეული სევდა. მართამ გული ვეღარ დაუდო საუზმის გაშლას და შავ თავშალში გახვეული, ბუხართან მიმჯდარი აკვირდებოდა რძლის გზააბნეულობას მაცივრიდან სუფრამდე და განჯინიდან ღუმელამდე. მართას თალხებს ცეცხლის სუნი უკვე დასდებოდა, მაგრამ ბუხარს ჯერ კიდევ ვერ გაელღო ღამით ჩამდგარი სიცივე. კალთაზე ძველი ხის ყუთი დაედო, გაყინული ხელით ურევდა წლობით მოგროვილ დიდ-პატარა ღილებს და თან შიგადაშიგ ფანჯარასთან მდგომ ზაზას გასძახოდა:

— ბიჭო, ხამანუანთ პავლე იყო? — ცალ თვალს ხუჭავდა პასუხის მოლოდინში.

— იყო, დედი, იყო! აღარ გახსოვს? — უგულოდ ეხმიანებოდა ზაზა.

— შალას კეწო სუფრაზეც იყო? — ვითომ სულ იმის დარდი დასდგომოდა.

— მაშ! არ იცოდე მაინც, რა მუცელღორაა! — თან ფეხებთან გაწოლილ თვალცრემლიან მწევარს ეალერსებოდა.

— კოჭლი გუჯალა? — როდის იყო რამეს გამოჰკლებოდა.

— ეგეცა, დედი, ეგეცა! — არც ზაზას ახსოვდა იმათი მოსვლა-სამძიმარი, მაგრამ

ოღონდ კი მართას კითხვები დროზე ამოეთავებინა, მთელს სოფელს პირი მობანა.

ახლაღა ახედა მართამ ჭერზე მოქანავე აბლაბუდას და ევდოს გოგოებს გადასწვდა, რას მიკეთებდნენ, ჩამოეჭერათ მაინცო. განა მართლა აბლაბუდები და ჭირის მოზიარეები ადარდება, იმის ინტერესი ჰკლავდა, დაკრძალვის წინა დღეს მაგიდის უჯრაში, ცხვირსახოცში გამოკრული ვერცხლის ქამრის ბალთა რა ძალამ გააქრო. ჩატანებას კი არ უპირებდა, მაგრამ როგორც წინაპრების ფოტოებს გამოალაგებენ ხოლმე, ისე უნდოდა სანთელსაკმეველთან ერთად მამისეული ნივთები თავთან მოეწყო გოლასთვის. ბოლო იმედი ღილების ყუთი იყო, იქაც რომ არ დაუხვდა, წარსულის მოგონებები აუშალა ფერად-ფერადმა საკინძებმა.

ელზამ ანიშნა, სუფრა გაშლილია, აქეთ გადმობრძანდითო. წამოდგა თედო, თვალი არ მოუცილებია ტელეფონის ეკრანისთვის, ისე მიაშველა მართას ხელი და სუფრის თავში დადებულ გოლას თეფშს მარცხნიდან მიუსვა. მართამ ყუთი მაგიდაზე დადო, ფანჯრიდან შემომავალი შუქისკენ წამოწია და გოლას ნაქონი შარვლების, საყელოგალეული პერანგებისა და ქურთუკების ღილების ამორჩევა და გაბზარული თეფშის ნაპირზე რუდუნებით, წრიულად ჩამოლაგება დაიწყო. თან უთქმელად, ოხვრითა და თავის ქნევით გოდებდა რაღაცას.

* * *

სანამ სული მიდგას, გოლას თეფში სუფრის თავში იდება! გოლას აშენებულ სახლში ვიცხოვროთ, იმისი ხელით მოწნულ ფანჩატურში გული ვიგრილოთ და უკვალოდ გაქრეს მისი ხსენება?! არა, გოლა, შენთვის დარჩა და შენთვის იცოცხლებს მართა. ნეტავ, ჯერ შენ დაპატარავდები თუ მეო, უერთმანეთობის დარდზე იტყოდა, სიკვდილზე მეტად მარტოობისა ეშინოდა. ღმერთს სულ იმას ვეხვეწები, მართაზე უწინ მე მოვკვდებოდეო და აჰა, დამტოვა დაპატარავებული, ეული და შეციებული. გული უგრძნობდა თორემ, აბა, მაინც რა იყო შემოდგომის პირზე რომ აიხირა, ჩემი ბალღობის ჭალაში მინდა გავლაო. ამ ცალფეხწართმეულს ძლივს ვეწეოდი, ისე მიათამაშებდა ყავარჯნებს ოკრო-ბოკროებზე. იმოდოლა მინდორია და ზედ იმოდოლა ხე დგასო. გავედით და ერთი პატარა მდელო იყო, ზედ კუნელის ხე იდგა. დაირცხვინა, აბა, ბალღობის მერე აქ არა ვყოფილვარ და მაშინ მეგონა ამ ხის კენწეროზე ბუდობდა მთვარეო. შენ შემოგევლე გოლა-მეთქი, ტირილი ამივარდა და მიწაზე დავჯექი. იქ გამოვიტირე, უმწეო და უსუსური. ბალღობაში ვინ დაბრუნებულა და იქეთ კი მივდივარო, ხელი ზეკაკულას სასაფლაოსაკენ ჰქნა, სადაც ჩვენი მამა-პაპა სახლობს გულზე დამარხული ჩვილებითა. ეჰ, განა ჩემისთანები გადაქუხდნენო, თავისი ასთმიანი, მახრჩობელა სიცილი მოაყოლა და ხელი მომხვია. აი, გატეხილ სკამზე რომ არის მიფენილი, ის შარვალი ეცვა იმ დღეს, ამდენი ჯდომისგან მუხლებამომჯდარი ლურჯი შარვალი. ვაი, გოლას ძალაგამოცლილი, ხმელი მუხლები მხოლოდ ამ შარვალს შეუნახავს. ამაღამ საწოლზე დავიფენ და უგრძნობ ფეხზე მოვეფერები დილამდე.

არადა, თითქოს გუშინ იყო ჩვენს ქორწილში ქიტა რომ გაჰყვიროდა თავის ხრინწიანი ხმითა, „არიგებულო, ჩარიგებულო, ჩვენს ნეფე-პატარძალს გაუმარჯოოს!“. მერე მორთმეულის სიას რომ დაჰყვა, აღარც პატარძლობა მახსოვდა და აღარც მასპინძლობა, ერთი სული მქონდა ერთიანად გაკრეფილიყვნენ სტუმრები, საჩუქრები ერთად მომექუჩებინა საწოლზე, მომეზომა, მომერგო და კარადაში კოხტად ჩამომელაგებინა თაროებზე.

— წურუნაანთ ყანწები მოურთმევიაათ! — ხელს იმათკენ იზამდა ქიტა.

— ააშენოს, ააშენოს! — აჰყვებოდა სუფრა.

— ყოჩონაანთ საკერავი მანქანა მოურთმევიათ! — განა ცოტა რამე შეგიკერე, საშინაო თუ საგარეო.

— ააშენოს, ააშენოს! — აღარა ჩამესმოდა, მხოლოდ მორთმეულ ძღვენზე ვფიქრობდი.

— რაჯამაანთ ნაქარგი სუფრა მოურთმევიათ! — გაწყალდა ეგეცა ალაგ-ალაგ.

— ააშენოს, ააშენოს! — ღმერთს შესძახოდნენ კაცები.

კაცო, მაინც სად გაქრა ის ქამრის ბალთა, განა ბევრი რამ გვქონდა ძვირფასეულობა? ერთი ეგ იყო და ერთიც საათი, თემოს რომ გაატანე გერმანიაში წასვლის წინ. ერთ ცხვირსახოცში გქონდა გამოკრული, მაგიდის უჯრაში გედო, გადასაფარებელს ნელა აწევდი, გამოაღებდი ჩაჭედილ უჯრასა და შეამოწმებდი ხოლმე, ვინმემ ხომ არ მიაგნოო. იმის ცისფერი მინანქარი ახლაც არ ამომდის თვალებიდან. ოქრომოსხმული ვერცხლიაო, შენ ამბობდი, თორემ, აბა, მე სულ არ ვიცოდი. ამოიღებდი, გაწმენდდი, გააპრიალებდი და თან თავიდან მოჰყვებოდი ათასჯერ მოყოლილსა — ომიანობის დროს ერთხელაც ფშავლები მოსულიყვნენ, ნაქსოვ-ნაქარგები მამაჩემისთვის პურის ფქვილში გადაუცვლიათ, წასვლისას კაცს ქამარი მოუხსნია, ბალთა უჩვენებია, უბრალო არ გეგონოს, აი, იმ ჯორში გამიცვალეთო. დიდხანს უთამაშებია მამაჩემს ხელში, მერე მზისკენ მიუშვერია და ისე უყურებია ერთხანს, ასეთი ლაჟვარდი თვალით არ მინახავსო, ცისთვის დაუდარებია. მაჯაზე გაუწმენდია და თვალით უნიშნებია დედაჩემისთვის, გაატანეთო. ის ქამარი დამსკდარა, გაცვეთილა, ბალთა კი დარჩენია ოჯახს შავი თუ თეთრი დღისთვისაო. თან მოყოლისას, „მაჯაზე გაუწმენდიაო“ როცა იტყოდი, დაორთქლავდი და იდაყვამდე აატარებდი ფანელის პერანგზე გასაპრიალებლად.

ჩემი გონებით ვიფიქრე, საათი თუ თემოს აჩუქა, ალბათ ამ ბალთას ზაზასთვის ინახავს-მეთქი. ზაზას სახლ-კარიო, ეგრე არ მითხარი ერთხელ? თემოს თითზე გადასახვევი არ წაუღია, ისე წავიდა ამ სახლიდანო. მაშ, ვიღასთვის ინახავდი? ან რაღამ გააქრო ოხერი? ერთი რამე მაინც დამრჩება სახსოვრად-მეთქი, მაგრამ აბა ცამ უყო პირი თუ მიწამ, ვეღარსად მივაგენით.

ეჰ, ჩვენი ჭირიც წაუღია იმ ქამრის ბალთას, ოღონდაც შენ მყოლოდი ცოცხალი, ჩემი ოქროც შენ იყავი, გოლა და ლაჟვარდიც! როდესაც დავიღლებოდი ხოლმე ჩემი შვილების პატარაობით, ბიჭებს მამიდასთან წალალავდი, დღეს წვეთს არ დავლევო, პიტნის ჩაის დააყენებდი, წინ ჩამომიჯდებოდი და თავიდან მოჰყვებოდი ჩვენი შეხვედრის ამბავს. თვალები ისე აგენთებოდა, ვითომ პირველად იხსენებდი, მეც ვითომ პირველად მესმოდა. კაცოო, განა ქალის სილამაზე არ მენახა, მაგრამ ხმა გქონდა ისეთი საალერსო, ერთ ქალად ეგა ღირსო. ეჰ, ხმაც აღარა მაქვს, იმდენი გიტირე და გეალერსე. ადრე როგორ იცოდნენ ქალებმა, ბანს მოგცემდნენ ხოლმე და სულს მოგათქმევინებდნენ ჭირისუფალს. ახლა დრო გადასხვაფერდა, ისევ ის ხლისტი ლუბა თუ შემომეშველებოდა, ჯიგარი ამოჰქონდა ტირილით.

სულ ტყუილად გიბარებდი — სოფელი იმისთანაა, რომ მოკვდები ჩემს შვილებს ყველა მიხედავს, აი, ღობეზე აყოლებულ მხვიარა ვარდს ვინც გამხმარ ფოთლებს დააცლის, შემოუბარავს, ფესვებში შაქრიან წყალს ჩაასხამს და ყოველ გაზაფხულზე გამიხარებს, იმას ვყვარებივარ-მეთქი. სულ ტყუილად, გოლა! ბოძის გარეშე სახლი ვინა თქვა, ბიჭო? მე შევუდგები ამ ოჯახს ჩემი რადიკულიტითა და მარილებისგან ვაზის რქასავით დაგრეხილი თითებითა?! ზაზაა და ოჯახს გული ვერ დაუდო, აბა, თემოა და წიგნმა დაღუპა, ჩამოსვლითაც ვერ ჩამოვიდა, წერილი კი გამოუგზავნია კომპიუტერში, ტიროდნენ ბიჭები, იმისთანა. ან თედომ თუ ასწიოს თავი ამ ტელეფონიდან, რა დროს ამის მობილური იყო, თაგვმაც რო კუდზე გამოიბა!

აბა, რაღა დროს ჩვენი ეგეთები იყო, მაგრამ თავისით, სულ თავისით წამომეშლება ხოლმე ფიქრები და რაღა არ მომაგონდება... ნამიან გავაზე ხელებს რომ დაგაფენდი, გოლა...

* * *

ამის თქმა როგორ იქნება, მაგრამ გოლას სიკვდილმა ზაზაზე მეტად მე დამაობლა და მართაზე მეტად მე დამაქვრივა. თითქოს მე, გოლა და თედო ცალკე ოჯახად ვცხოვრობდით, უფრო ვედექით მხარში ერთმანეთს. მართას მოსაწონი მე ჯერ არაფერი გამიკეთებია და რაღა ახლა დამიტკბება, გოლას სიკვდილის შემდეგ. იმ კაცს კიდე ეგეთი უყვარდა ეს ქალი — ენამწარე, უბარაქო და გოდღანა! უყვარდა, თორემ სიკვდილის წინ ამის ხელს რად დაიფენდა გულზე.

მეც გოლას რჩეული ვიყავი! ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, რამდენიც გზაზე შემომხვდებოდა, გაჩერდებოდა, ხელებს წელზე შემოილაგებდა და სალმის პასუხად ღიმილით მეტყოდა ხოლმე, შენ ჩემი რძალი უნდა გახდეო. გოგოები მეუბნებოდნენ, თემოსთვის უნდიხარო. აბა, იმას კიდევ სულ უცხოეთისკენ ეჭირა თვალი. ჩემი და ზაზას ქორწლის მერე, ამაზე აღარვის დაუსველებია ენა, თორემ მგონი მართლა ეგრე იყო თავიდან. გოლას ხიბლით გავყევი ზაზას ცოლად, თუ არადა, გოგოები იტყვიან. არ მიყვარდა ზაზა, გოლას ოჯახში მინდოდა შემოსვლა, გოლას რძალი მინდოდა გავმხდარიყავი. მინდოდა ჩემი ბიჭიც გოლას დამსგავსებოდა. თვალ-წარბი სულ პაპას მიუგავს, დღე გრძელი ჰქონოდეს! მე და ზაზას ჩხუბი რომ მოგვივიდოდა, გოლასი მეხათრებოდა და მალევე ვრიგდებოდით. ცალფეხწართმეულიც კი ბევრ ახალგაზრდას ჯობდა!

რა იცოდა მაინც ამ კაცმა, მე და მართას გვეტყოდა ხოლმე — აბა, ერთმანეთის გვერდით დადექითო. მორჩი ეგეთებსო, გაუწყრებოდა მართა, დაიჟინებდა ის მაინც თავისას. ბოლოს ჩვენც დავდგებოდით ერთმანეთის მხარდამხარ, ვენებით დაღარულ ფეხებზე ჩაჩაჩულ წინდებს ამოიწევდა მართა, გაიჭიმებოდა, მე გადმომხედავდა და ერთსაც ჩაახველებდა სიამოვნებისგან. ფუი, ფუი, რა ფინთები ხართო, თავისი ნავაჭრი მოსწონდა გოლას. როგორღაც შემრცხვებოდა კიდეც გოლას ასეთი მზერისა, მაგრამ ღმერთმანი, ასეთი ცეცხლი ზაზას არასოდეს ჩასდგომია თვალებში. შექეიფიანებული რომ დაბრუნდებოდა ხოლმე, ერთ დოქ ღვინოსა და ყველს მოიდგამდა და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა დილამდე. ერთს მაინც უნდა ესმნა, ზაზა გაიძურწებოდა, შევრჩებოდით სუფრას მე, მართა და გოლა, ხან მე წამიღებდა ძილი, ხან მართას, გოლა კიდე ჰყვებოდა და ჰყვებოდა ამბებს, სანამ თვითონ არ ჩამოჰკიდებდა თავს. მერე მართა თვალით მაინიშნებდა, აბა შენ იქედან ამოუდექიო და წავიღებდით ხოლმე საწოლისკენ.

სულ აღარ გამიკარა ავადმყოფობისას, მე რა, მართაზე ნაკლებად მოვუვლიდი, მაგრამ დაირცხვენდა ხოლმე როგორღაც. მე კიდევ გოლას გამოვყევი... ხანდახან ისეთებს მომიყვებოდა ხოლმე თავის ახალგაზრდობისას, გულისას, მეგობრობისას,

მიკვირს ერთხელაც რომ არაფერი უთქვამს იმ ბალთაზე ჩემთვის. ნახე, სადა ჰქონია გადამალული! რაც მე ეს სახლი მილაგებია და მიკრიალებია, ნეტავი ერთხელ როგორ ვერ წავაწყდი. მართას კიდევ სამალავის ამბავი სცოდნია. ცოლ-ქმრობა მაინც სხვა საიდუმლოა, ზაზას რომ რამე გაეგებოდეს.

აი, გაზაფხული მოვა და გოლას ბოსტანს მე დავთესავ. ისედაც ჩემთვის ჰქონდა მობარებული. ჯერ თვითონ დახნავდა, დაკვალავდა და დათესავდა. მერე, მწვანილი რომ ამოიწვერებოდა, მე გადმომაბარებდა ხოლმე. აი, ქინძსა და ოხრახუშს იასამნისფერი რომ შეეპარება მწვანეში და სიბერისკენ რომ წავა, ის სადილისთვის გადმოიტანე, ქორფა სალათისთვის გარეცხე და აქ დამიდეო, მეტყოდა. როგორც კი კოფრჩხილა და ნაცარქათამა შემოვიდოდა ტყეში, გამაგზავნიდა საკრეფად, მერე თვითონ შეაზავდებდა მხალს და სულ იმას დარდობდა, თემოს გარეშე რომ სჭამდა — როგორ არ ენატრება, ჩემს გულს ჯერაც ვერ აუხსნიაო.

როგორ გადაათეთრდა ყველაფერი! თოვლი იმის მერე არ მიყვარს, რაც გოლა ავად გახდა. აი, ფეხი რომ წაერთვა, მალევე მოთოვა. ჰოდა თოვლზე მისი ნაფეხურები პირველად რომ დავინახე, მაშინ აღმომხდა, თედოს რაღა ეშველება, ვინღა არის ამ ბიჭის პატრონი-მეთქი. ვუყურებდი და ვხვდებოდი ჭიშკრისკენ მიმავალი გოლას მარცხენა ფეხის, ხელჯოხისა და თოვლზე გათრეული მარჯვენას ნაკვალევს როგორ მიჰყვებოდა უკან მოუბრუნებელი ბედნიერი დღეები. ცალი ფეხი საიქიოს მაქვსო, დახედავდა ხოლმე უგრძნობ ფეხს და ჯოხს დაჰკრავდა ხოლმე. იმის მერე გოლას ნაკვალევს ყველა სცნობდა სოფელში, აქეთ აუვლიაო თავის ძაღლიანადო, ზამთარში ერთმანეთს გასძახებდნენ კაცები. გული ვერ ვიჯერე ტირილით, რამდენი დამრჩა სათქმელი.

თედო, შენ იმისთანა პაპის ბიჭი ხარ, სულს ისე როგორ წაიწყმედდი, სახლიდან უჩუმრად გაგეტანა ის ქამრის ბალთა და გაგეყიდა. თუ ეგრეა კიდე, ადექი და თქვი რა, კაცი არ ხარ?! ხომ არ მოგკლავთ?!

* * *

რა ყველა მე მიყურებს?! ნეტა სულ არ მეთქვა, რომ თათელას შეყვარებულისთვის ფულს ვაგროვებდით. რა ჰგონიათ, იმის გულისათვის პაპაჩემის ქამრის ბალთას მოვიპარავდი და გავყიდდი?! ერთი თათელასიც და მისი შეყვარებულისაც! თვალით მაინც მქონდეს ნანახი, რა იყო ამისთანა. ბალთა ბალთაა რა, ან საერთოდაც რა არის, მთლად ქამარიც არა ყოფილა და ვის რად უნდა.

ნეტა ამ ახალ წელს ვისათან ვითამაშებ კამფეტების ჩემპიონატს. როგორ იცოდა მაინც, ჯიგრიანად, გამოივლიდა მაღაზიაში, ორ-ორ ცალს გამოიყოლებდა ყველანაირ კამფეტს, დავსხდებოდით ბუხრის წინ საქმეებს რომ მოითავებდა და გავუსინჯავდით გემოს სათითაოდ. რომლებიც მოგვწონდა, იმათ ქაღალდებს ცალკე გადავდებდით, დაწუნებულებს ბუხარში შევუძახებდით. რაღაცნარი ქაღალდებია, უცებ არ იწვის, ცეცხლიც არ ეკიდება კარგად. მოწონებული კამფეტების ქაღალდებს კიდევ გადაკეცავდა, ჯიბეში ჩაიდებდა და თვალს ჩამიკრავდა. მეორე საღამოს გამოივლიდა ისევ მაღაზიაში და გამარჯვებულებს უფრო მეტს ააწონინებდა. პატარა ბალღივით გამაფრთხილებდა, იცოდე ჩემამდე არ დაიწყო ჭამა, მოვრჩები საქმეებს და ჩავუსხდეთ ბუხრის წინო. იმ საღამოს ისევ შევაჯიბრებდით კამფეტებს, გადარჩეულები სულ უფრო ცოტავდებოდა. ბაბო გასძახებდა, კარგი, კაცო, კარგი, ვერა ხედავ, რა დღეში აქვს კბილები, სულ დაუჭიანდაო. ეს ბალღი ჭიანია, მაგრამ ნატურალურიო, მშვიდად ეტყოდა, საკუთარ დაწურულ ღვინოს შუქზე გახედავდა და ტკბილს მიაყოლებდა. ახალი წლის მოახლოებასთან ერთად გამარჯვებული კამფეტიც დაწინაურდებოდა ხოლმე, ერთ სამ კილოს მაინც იყიდდა და იმის გემოზე ვხვდებოდით იმ წელს. შარშანდელის ქაღალდი ახლაც შენახული მაქვს, ერთი დედოფალივით ქალი და გაპრანჭული კაცი ახატია, „ვსტრეჩა“ აწერია ზედ, ვითომ თხილითო, მაგრამ თხილი არა ჩანდა შიგნით. დედა გვეტყოდა, ტკბილი თუ გინდათ, ნუ გეზარებათ სარდაფიდან გამოტანა, ჟოლოცა და შინდიც დაშაქრული მაქვს შენახული, ეგ ვის გაკეთებულსა ჭამთ, ვინ იცისო. მე და პაპას კიდევ ეს კამფეტები ყველაფერს გვერჩივნა.

პაპათქო ვამბობ, თორემ მამაჩემიც ეგ იყო, ზაზა უფრო ძმასავით მყავს. მე და ზაზას ერთნაირად გვიყურებდა, აქეთ-იქეთ მოგვისვამდა, როგორც ორ ტოლს, ხელებს მოგვხვევდა და გვეტყოდა, აი, მე რო წავალ, ის მარანი არ დამიცარიელოთო. ისეთნაირად იტყოდა, თითქოს, მე და ზაზა ერთად მოსულები და ერთად წამსვლელები ვიყოთ. ბალღობიდან თან დამატარებდა ყველგან, გამიყოლებდა ხოლმე ვენახში, შენ იქვე იჯექი, რომ გხედავ, შრომის ძალა მომდისო. გამატანდა დედაჩემი საგზალს და ვიჯექი მეც ჩრდილში, ხან ლექსებს ვეუბნებოდი, ხან ვუმღეროდი, ხან ბიჭების მოყოლილს საიდუმლოდ ვანდობდი. წავშველებოდი მაინც საქმეში! უკანა გზაზე სოფლის ბოლოდან მომატარებდა, დაღლილი არა ხარ-მეთქი ვკითხავდი, ჰო ძალაზე დაღლილი ვარ და ასეთი თუ მივედი, ერთი მაგარი ჩხუბიც მომივა მართასთან, ისევ შორიდან მოვლა ჯობიაო. ჩამოვსხდებოდით მერე ლუბას ჭიშკართან, ერთი ნათურა ბჟუტავდა და სულ აყალმაყალი ისმოდა. როგორ ანერვიულებს დედამისს ის მამაძაღლიო, ლუბას ბიჭზე იტყოდა.

გზას ღრუბელი თუ დააბნელებდა, შიშით ვკითხავდი, პაპა, მთვარე სად არის, მთვარე-მეთქი. ვიცოდი უმთვარეოდ დარი არ იქნებოდა მეორე დღეს და შრომა გაუცდებოდა. „გამოვიარეთ, გამოვიარეთო“ მეტყოდა, ისევ აქეთ მე რომ დარდი არ მომცემოდა. მეც რამდენ ხანს მჯერდა, რომ კაცს ისე შეიძლებდა ჩაევლო მთვარისთვის ან მზისთვის, რომ ვერც კი შეემჩნია. ეს შემწვარი თევზის სუნი კიდევ არ გამომდის ცხვირიდან, ბაბოს ტირილს ერეოდა და ხომ ვიცი, სადაც არ უნდა ვიყო, აი, დიდი კაციც, შემწვარი თევზის სურნელზე პაპაჩემის სიკვდილი გამახსენდება.

იმას ვდარდობ, პაპაჩემს ჩემი საიდუმლო რომ არ ვუთხარი, თემო სკოლას დამთავრების მერე გერმანიაში მიპირებს წაყვანას. თემომ ჯერ არავის უთხრა, თორემ გულებს ადრიანად დაიხეთქავენო. ჰოდა, მეც ჩუმადა ვარ. არადა პაპას რამდენჯერ უკითხავს, რაო, თემო რასა გწერსო, და ტყუილად მითქვამს, ზაფხულში ბიჭებიანად აპირებს ჩამოსვლას-მეთქი ან ვენახის ამბებს ჰკითხულობსთქო, ესეც მოყვებოდა წვრილად და მეც ვითომ თემოს ვწერდი გოლას პასუხს. მეთქვა რა გერმანიის ამბავი, უნდა მეთქვა! „მარიამობას არ გადავაცილებ, მაინე კლაინე თედო“ — აი, ახლაც მომწერა თემომ მესიჯი.

კიდევ თუ ასე მიყურა დედაჩემმა, ავდგები და პირველად დედის მაგივრად პაპის სულს დავიფიცებ და ვიტყვი, რომ თვალით არ მინახავს ის ტიალი ქამრის ბალთა!

* * *

რა ყველა ამ ბიჭს მიშტერებია?! რომ ავდგე და ვთქვა, თედო არაფერ შუაშიამეთქი, ცხენზე უნდა ვიჯდე, ჭალებისკენ მივაჭენებდე და იქედან მოვძახოდე, სინამდვილეში ასეა და ასეა-მეთქი. განა ადვილია სიმართლის თქმა?! ჩაივლის ეს ამბები და მიავიწყდებათ ქალებსაც ქამრის ბალთა. მერე რა ვიცი, როგორღაც იქნება...

გოლასი კი არა, ჩემი ვერ ამომითქვამს! იმ დღესაც შემხვდა ის გოგო, რა გველაპარაკა აღარ ვიცოდით. ისევ ის ბალღობისდროინდელი ამბავი გაიხსენა, ჭიაკოკონობისას ცეცხლი რომ მოეკიდა, ფეხი რომ დაიწვა და მე რომ ხელში აყვანილმა მივიყვანე სახლამდე. როდინდელსა ჰყვებოდა და როდინდელზე მეგლიჯებოდა გული. კაბა ცოტათი აიწია, ამას რა გააქრობს, განა დამწვრის რამე ისეთი წამალი არსებობს, თავი სულ დაგავიწყოსო. ჩემსას ამბობდა, რა! დავემშვიდობეთ და ისე უცებ წამიღო წვრილმანებმა, თედოსთვის უჯრიანი რვეულები მქონდა საყიდელი და გოლასთვის წამალი. გამიხარდა კიდეც, რომ გული არ გავაყოლე. აბა, უწინდელი შეხვედრები იყო, იმ საღამოს ბიჭებში მივდიოდი და მაგრად ვთვრებოდი, ასე მეგონა ჩემი გულის ბაგა-ბუგი მთელ სოფელს ესმოდა. ხან ქმრიანად დავინახავდი, ხან ბალღებიანად, ის პატარა მთლად დედას დამგვანებია. რას მოვაყოლე ახლა ეს ამბავი... ფიქრი მაინც რა არის, გამოედება ერთი მეორეს, გაგიტაცებს, მერე უკან გამობრუნდები, მოდიხარ, მხარი გეცვლება და გზა გებნევა, ბოლოს დაღლილი ისევ პირველ სათქმელს მიადგები. ჰო, სიმართლის თქმაზე ვამბობდი.

ჰოდა, სიმართლე თუ გინდა, მე ცხოვრებას ახლა ვიწყებ, გოლა! რამდენჯერ მიოცნებია, ადრე მომკვდომოდი, ცოლად ის მომეყვანა, ვინც ბალღობიდან მიყვარდა, ეზო ისე მომეწყო, როგორც ჩემს გულს გაუხარდებოდა, ღვინო ისეთი დამეწურა, ჩემს ძმაბიჭებს რომ მოეწონებოდათ, სახლის კედლები ისეთ ფერზე შემეღება, ჩემი თვალი რასაც მეტყოდა, ჩემი ბიჭისთვის მე მეყიდა ველოსიპედი და ჩემი ცოლისთვის მე გადამეხადა დღეობა.

თემომ როდის მაჯობა, იცი? აი, ვენახში წამოსვლაზე უარი რომ თქვა პირველად, გეოგრაფია უნდა ვიმეცადინოო. თემოს ვენაცვალე! მე რომ ჭალაში დავრბოდი, ეგ იჯდა და სწავლობდა, ძლიერი ფრთები მოიბა და გაფრინდა. იმათი ენა მე არ ვიცი, მაგრამ იქ რომ ვიყავი, სულ მხარზე ურტყამდნენ ხელს ბიჭები, როგორცა ვხდები, აქებდნენ და ამხნევებდნენ. ეს გერმანული კიდევ რომ ჩამესმის, კარგი ცხოვრების, მაგარი მანქანების, ქერა გოგოების, თემოს მაგარბიჭობის, სახლიდან წასვლის, საკუთარი გზის პოვნის, საქმის დროზე დაწყების და დროზე დამთავრების ენა მგონია. აი, თემო რომ დარეკავს ხოლმე, დედასაც რაღაცნაირად მოიკითხავს, ფრაუ მართას მიმიხედეთო. თემოს მოკითხვას რომ გადავცემ, დედასაც კი სხვანაირად შევხედავ ხოლმე, წარმოვიდგენ იმათი ქალებივით მაღალს, მხრებში გაშლილს, კოხტად ჩაცმულსა და ამაყს. განა არ გვეკუთვნის ეგეთი ცხოვრება? რისთვის შევრჩით ამ სოფელს, ვითომ რა სრა-სასახლე და ციხე-სიმაგრე გვაქვს სადარაჯო? უმცროსების ხვედრი ეგეთია, ვერც გოლა გაიქცა თავის დროზე, ნაბოლარა ბიჭი იყო და იმიტომ. მეც გოლას ბედზე წავედი, თედო კი ერთი იქნება, უმცროსიცა და უფროსიც, როგორაც და სადაც უნდა იქ მოიწყობს ცხოვრებას.

მე სულ გოლას ჭკუაზე ვიარე და მაინც სულ იმას გაიძახდა ბოლომდე, შენ რომ მე მიჯერებდეო. სულ თემოთი ამაყობდა, თოკს კი ჩემსას ექაჩებოდა და არსად მიშვებდა. სანადირო მეტი უნდა მეტარებინა, ვენახში ხშირად უნდა გამეყოლებინაო, რამდენჯერ უთქვამს დანანებით, მაგრამ მაინც თემო იყო გოლას საამაყო შვილი. ერთხელ თემომ ელზას მოდების ჟურნალი რომ გამოუგზავნა, ამოირჩიე კაბა, ჩვენი უბნელი ბიჭები მოდიან, მანქანები მოჰყავთ და იმათ გამოვატანო. ჰოდა იმ ჟურნალს რომ ათვალიერებდი, თემო ჩამომსვლელი აღარ არისო, თავს გააქნევდი ხოლმე. ეს კი რაღამ გამახსენა...

გოლა, ჩემი გასაკეთებელი შენ გააკეთე, შენი კიდევ მე დამიტოვე. ჰოდა, მეც ავდგები და წავალ, ერთხელ ხომ უნდა გაბედო კაცმა. აი, ნლისთავი რომ ჩათავდება, წავალ! არა, აი, იმ ახალ მარანს რომ დავამთავრებ, მაშინ ავიკრავ გუდა-ნაბადს და გადავიკარგები. მაგრამ ამ ბიჭს რაღა ვუყო? ჰოდა, თედო სკოლას რომ დაამთავრებს, მერე რაღა მიშლის, ავდგები და ჩემს გზას დავადგები. მერე მართა რომ მთლად დაბერდება და დაუძლურდება? ეჰ, სადღა წამსვლელი ვარ, გოლა, შემოვიერთებ იმ გიჟი თებროს მიწასაც და ზედ ატმის ბაღს გავაშენებ. შენც ეგ არ გინდოდა!

* * *

გარედან ძახილმა შეაფხიზლა ჩაფიქრებული ჭირისუფლები, ღუმელზე მივიწყებულ ჩაიდანს დაეორთქლა ფანჯრები.

— ადექი, გოგო, ქეთლი გარბის! — შეუძახა მართამ რძალს და დაცარიელებული თეფშები ერთმანეთზე დააწყო.

ელზამ ჩაიდანი ღუმელიდან გადმოდგა და თონის პურის ნაჭრები შემოალაგა შესათბობად, თან ცალი თვალი კარისაკენ დაიჭირა.

— ზაზაა! ჰაი, ზაზა, ზაზაა! — ცრემლი ერეოდა მოსულს ხმაში.

იცნეს, მაგრამ თითქოს უცხო მოსდგომოდა კარს, ისე ანიშნა მართამ ზაზას თვალით, ერთი გახედე, ვინ არისო. ზაზამაც თითქოს იუცხოვა სტუმრის ძახილი, დაორთქლილი ფანჯარა იდაყვით გაწმინდა და მოკრიალებული წრიდან ეზოს გახედა. ხლისტი ლუბას ბიჭიაო, გასძახა დედას, ძაღლი ქეჩოთი დაიჭირა და კარი გამოაღო.

— სამძიმარზე იქნება მოსული, ლუბამ ცხელება ჰქონდა მთელი კვირა და ლოგინიდან არ ვაყენებო, ბოდიშივით მითხრა, — ცივმა ჰაერმა ცეცხლისაგან შეფაკლულ ლოყებზე უსიამოვნოდ დაურბინა მართას.

— რა ასლუკუნებს, შვილებს არ უტირიათ გოლა და ამას რა დარდი მოსწოლია? — ხელები ჩაის ტილოთი გაიწმინდა, კალთა დაიბერტყა და ღრძილები ენით გამოისუფთავა.

ლუბას ბიჭი თავდახრილი შემოვიდა, თედოზე უფროსი იყო, მაგრამ არც მთლად ზაზასხელა, ცრემლებს მაჯით იწმენდდა და თან რაღაცას ლუღლუღებდა.

— ასე, უქუდოდ რამ წამოგიყვანა, პეტო? — მოეხვია მართა, თმიდან თოვლი გადაუბერტყა და ოთახის სიღრმეში გაუძღვა, — ეჰ, ასეთია ცხოვრება, ორჯერ გოლა პაპას ხნისა მოიყარე, გენაცვალე! — სკამზე ჩამოჯდა და ცხვირსახოცით თვალის უპეები ამოიწითლა.

ზაზა აიმრიზა, კუთხეში მიდგა და ხელები მკერდზე გადაიჭდო. ელზას პეტოს ტირილზე თავიდან წასკდომოდა ცრემლები, სკამი გამოწია და სუფრასთან მიიწვია სტუმარი. ბიჭმა იუარა. სადილზე მიპატიჟებამ თითქოს შეაგულიანა კიდეც, გამბედაობა მოიკრიბა, მართას მიუახლოვდა, ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელი და წელამდე გაჰყვა ჩახეულ სარჩულს.

— აი, გოლა ძიას ქამრის ბალთა, დედამ ცალკე კაცსა ტირიან და ცალკე ბალთასაო! — ჯიბიდან მომინანქრებული ვერცხლის ბალთა ამოიღო და მაგიდაზე დადო. — ცალკე ბალთასო... — თან სლუკუნით იმეორებდა.

— შენ საიდანა გაქვს?! — თვალები გაუფართოვდა მართას ბალთის დანახვაზე და ელდანაკრავივით წამოხტა ფეხზე.

— არ მომიპარავს, თვითონ მაჩუქა გოლა ძიამ, აი, ჰკითხეთ თუ გინდა, — ხელს უკან იშვერდა შეშინებული.

— სადა ვკითხო, ზეკაკულაზე ავიდე თუ აქეთ დავიბარო ორმოცის მერე? — გაწიწმატდა გოლას ქვრივი.

— მაჩუქა, დედას გეფიცებით, თვითონ მაჩუქა, — კარისკენ დაიხია ბიჭმა.

— კარგი, შვილო, კარგი, რაღა გატირებს, თუ უჩუქებიაა... — სიტყვა გააგრძელა მართამ და ეჭვით გახედა პეტოს, — და ეგ როდის იყო, დღეობა იყო რამე, გენაცვალე? — გამომცდელად ჰკითხა.

— აღარ მახსოვს რა დღე იყო, ფხიზელი იყო, მართა ძალო, ფხიზელი, განა მთვრალი! — თავს იმართლებდა ბიჭი.

მართამ ქამრის ბალთა ხელში აიღო და ტახტზე გადაინაცვლა. თითქოს პირველად ხედავდა, ისე აკვირდებოდა ლურჯი მინანქრის ხვეულებს და ახლაღა აღმოაჩინა ბალთის კუთხეში აყოლილი ღვინისფერი ვარდი. ფიქრში გართულმა ვერც კი შეამჩნია, ისე მიუახლოვდა ზაზა მძიმე ნაბიჯებით, ჩაიმუხლა, დედის დაჭორფლილი ხელები ქამრის ბალთიანად თავის ხელებში მოიქცია და ზედ გაოფლილი შუბლი ჩამოადო.

— რა იყო, ბიჭო? — ხმა აუთრთოლდა მართას.

— დედი, მაგას ნუ უწყრები, აჩუქა, მართლა აჩუქა!

— ჰო, კარგი, თუ უჩუქებია... — ბიჭების ნებას დაჰყვა მართა.

— დედი... გოლაანთია ესეცა! — ძლივს ამოთქვა ზაზამ, თავი აწია და დედას თვალებში შეხედა.

— როგორა? როგორა თქვი, შვილო? — ხელები გაინთავისუფლა მართამ.

— გოლაანთია-მეთქი და, ჰა! — ზაზამ გოლას ჭიქაში ჩამოსხმული ღვინო სულმოუთქმელად გამოცალა.

მართა წამოდგა, ბალთა გულთან მიიხუტა, ცალი ხელით მინავლებულ ცეცხლს შეშა შეუკეთა და თვალის გუგებზე არეკლილი კოცონი ააბრიალა.

— ცრემლი მოგდის ცხვირიდან, აჰა, გამომართვი, — თედოს ტელეფონისთვის ხელი არი გაუშვია, ისე მიაწოდა პეტოს ხელსახოცი.

— რაღას არ ამბობდნენ ქალები, ერთიც არ დამიჯერებია... — ქვრივმა ქამრის ბალთა სახელოზე გადაისვა გოლასავით, მერე ხელის მტევანში ჩაუდო ბიჭს და მამისაგან გამოყოლილი თაფლისფერი თვალები დაუკოცნა, — ეთქვა რაღა, კაცი არ იყო?! ხომ არ მოვკლავდით! — კედელზე დაკიდებულ გოლას სურათს ნიშნისმოგებით გახედა მართამ.

— დედამ არ იცის, აქ რომ ამოვედი, — მოიბოდიშა პეტომ და კარი გამოაღო.

გოლას მწევარმა დრო იხელთა, გარეთ გავარდა ყეფით, ეზოში მომლოდინე ლუბას ძაღლს მიუახლოვდა და სიხარულისგან კუდაქიცინებულმა მონატრებული სახე დაუყნოსა. ფრაუ მართა დასუსტებული ნაბიჯით სუფრის თავს მიუახლოვდა, გოლას გაბზარულ თეფშს და ზედ ჩამოლაგებულ ღილებს ბუხარში შეუძახა, აცახცახებული ნიკაპი მხარზე ჩამოიდო და მთელი ცხოვრების ნაშრომ-ნაჯაფი ხელები ჩაიდანზე დააფინა.

არიგებულო-ჩარიგებულო, ჩვენს ნეფე-პატარძალს გაუმარჯოს!

ლევან ცუცქირიძის ფოტო

ქეთი გზირიშვილი

ღმერთობანა

ხანდახან მგონია, ის ღმერთობანას თამაშობს.
ის იმდენად შეიჭრა როლში, ღმერთიც კი მოხიბლა.
ის ადგენს თამაშის წესებს,
ის მბრძანებელია.
ხშირად ადამიანებს არ მოსწონთ მისი იდეები,
ფართხალებენ, მაგრამ საბოლოოდ ემორჩილებიან
და აჯერებენ თავებს,
რომ ასე უკეთესია,
რომ მან მათზე ადრე დაინახა საკითხის გამართულობა
და გათვალა წარმატებული შედეგები.
გარკვეული პერიოდის მანძილზე მათ
ავიწყდებათ მოთვალთვალე მზერა,
თამაშობენ ადამიანური სისუსტეებით
და მაშინ,
როცა ის მკლავებზე გამობმულ თოკებს ქაჩავს,
უკვე გვიანია.
თუმცა, მას უყვარს თავისი დასი,
ის ყოველთვის ტოვებს მეორე შანსს,
რომელიც ყოველი შეცდომის შემდეგ მეორეა;
ის არ უშვებს სადავეებს
და ადამიანებიც განაგრძობენ ბუქვნას იქ,
სადაც ყველა თანასწორია,
სადაც ყველას აქვს სასურველი ნიღაბი
საკუთარ მოედანზე.

უკავშირო კავშირები

საყვარელი საკითხავის დღეა:
კონკრეტული ბლოგი და წიგნი,
რომელსაც ჩემთვისაც ვიყიდი.
დღეს ქუჩაში შემხვდა მუსიკოსი,
რომელიც ამას წინათ გადავიღე.
მიცნო და დამაკვირდა. გამეღიმა.
დღის შუქზე პირველად ვნახე.
მანამდე ვუსმენდი ავტორის მიერ
წაკითხულ მოთხრობას,
რომელმაც სითბო დამიტოვა და განცდა:
რომ ადამიანებს ასე აღარ უყვართ ერთმანეთი;
ფაქტებს და მოვლენებს პირდაპირ არქმევენ სახელებს
და მერე უტაქტოდ ისვრიან, დამიზნებით.
ტელევიზიით აცხადებენ
არაპროფესიონალიზმის შემთხვევებს.
გარეთ 33 გრადუსია.
მე მაცვია კაბა, რომელიც ძალიან მომწონს
და დღეში ერთხელ მაინც ვფიქრობ წარუმატებლობაზე,
შლეიფივით რომ დასთრევს ჩემს ჩრდილს.
მსიამოვნებს შხაპი და ვიმახსოვრებ სიზმრებს,
რომლებსაც ვხედავ ყოველ ღამე, –
აუცილებლად ფერადს.
ჩემი სიზმრის სცენა თითქმის ყოველთვის ერთი სახლია.
იშვიათად ვტოვებ კერძო საკუთრებას და ყველას,
ვინც მსურს გვერდით მყავდეს,
ან ვისაც ვსურვარ, თუნდაც მოკვლის მიზნით,
ვიღებ კერძო საკუთრებაში.
ჩემს ახალ შეყვარებულ ბლოგზე
წერენ უზომო გულწრფელობით
და ნამდვილ ცხოვრებაზე.
ყოველდღიურად კი ვხედავ ადამიანებს,
რომლებიც არიან უფროსები და უმცროსები,
დამოკიდებულები და დაკიდებულები.
იკრძალება თავისუფალი კავშირები.
იკრძალება თავისუფალი კავშირები.
ფრთხილად,
კარები იკეტება.
ვიღაც აძლევს თავს უფლებას, გითხრას:
შენ მოიქცევი ასე და ასე.
რადგან აქ მე ვწყვეტ.
რადგან აქ ასე წერია.
თურმე შეიძლება ვირტუალურად იმოგზაურო,
იყო ადამიანების გვერდით, ვინც არ გცნობს.
არსებობენ ადამიანები, რომლებიც იმკვიდრებენ თავს
წვრილმანებზე პედალირებით.
მათ აქვთ საკუთარი ინდიკატორები,
რითაც ზომავენ შანსებს და სიტყვებს შანსების
გასამაგრებლად;
და შინაგან ტემპერატურას.
მე შინ მაქვს უმკითხველო წიგნების შეკვრა.
ისინი ისვენებენ ერთმანეთზე.
ორი დღეა, ვიცნობ სტეფან ჰერტმანსს.
გუშინ მოვუსმინე სიმღერას კომბლეზე,
რომელსაც აქვს კომბლების არსენალი.
რა ხანია, გამოვთალე პირველი კომბალი და
დავეყრდენი.
ვიყურები:
დიდია მინდორი.
ცას ჭყივილით ჰკვეთენ სულიერები.
ჩავ(ი)კეცე.
ფაილი.

ოგლის სევდა

ყოველ საღამოს თმენით ელის,
როდის შეაღებ შენი ბინის კარს,
რომ ისევ გკითხოს:
დღეს, ჩრდილებს შორის მოსიარულეს, გახსოვდა იგი?
თვალს რომ ხუჭავდი, მის ღიმს ხედავდი?
მთლად გულისგულში ერგო ადგილი?
თუ მიგავიწყდა, აი, აქ არის მთელი თავისი
მშვენიერებით –
შეყვარებული თვალებითა და
ძილისაგან დამცავი ტემბრით,
რითაც გიამბობს ერთმანეთისგან
განურჩეველ უცნობ
დღეებზე –
შენთან რომ მოვლენ ისე, როგორც ეს დღე მოვიდა;
და გეტყვის, როგორ არ არსებობს მის მამაზე
ძლიერი მამა,
რომ ყველა მამა ნაკლული გაჩნდა
და რაც არ უნდა იბაქიბუქონ,
მათი შეძლებაც ნაკლულ იქნება.

– ჰეი,
ობლის სევდის მამავ,
რომელი ხარ ჩემს ბავშვობაში,
და დიდობაში,
ვიდრე მქონე მერქვა,
ვიდრე ბავშვი ვიყავი
და გავიზარდე.

რეტიმე

ამაღამ ჩემი ძაღლი ხმაურობს,
ის არის ღამის ბატონ-პატრონი,
დარბის, ყეფს, ყნოსავს დარწმუნებული,
რომ მე დამიცავს.

ამაღამ ჩემი ძაღლის მისია –
ჩემზე ფოფინი, ჩემთვის ფხიზლობა,
ყოფის აზრია, კუდის სისწორე
მაღლა მთვარისკენ.

და მეც ვიძინებ მშვიდი ძილით,
გულდაწრეტილი.
მესმის მისი ხმა, ქუხილივით,
დამცარეტიმე.

HIPPOCAMPUS

ჩვენი ყვითელი მამა
სათნო სახით ტივტივებს მუქ ტალღებში და
მუცელს, რომელსაც ბუყბუყი გაუდის ჩვენგან,
დოლივით ზნექს.

თევზები ესხმიან უხმებო სივრცეს
და ცეკვავენ მამის გარშემო,
თუმც არ ესმით დოლის ბრახუნი.

და ჩვენ, როგორც კოცონი, ვბრიალებთ მამის მუცელში
და ჩვენი ფაფრის ალები
ილტვიან ტალღებში
გასაშლელად,
და ჩვენი ფლოქვები მზად არიან,
გაჭრან მრუმე ჰორიზონტი.

მალე გავჩნდებით
და მამილო დაგვამწკრივებს ტალღის ბაგირზე
დედის საცნობად.

დეპო

შეზღუდულია ეს მარშრუტი –
მოქცეულია საზღვრებში და, ალბათ, დროშიც.
მოძრაობა დაშვებულია და წესებიც გაცხადებული:
ვაგონის ჩაბმა შესაძლოა,
მოხსნა და ბარგის გადმოღება
– შეუძლებელი.
არცერთ სადგურში არ დგას არავინ, ვინც მელოდება,
ვისაც ვეტყოდი – აი, მოვედი.
მოსაწყენია ეს მარშრუტი:
ხიდი-ტყე-ველი –
წრეზე ტრიალი.
მინდა გავჩერდე.
ჩამომაყენონ მაზუთიანი დეპოს კუთხეში,
გამომაცალონ სარკმელები,
მოაღიავონ ყველა კარი და დამივიწყონ.
მერე კი მოხდეს:
მარტობავშვებმა
შემოზიდონ ძველმანები ჩემს
კუნჭულებში,
ისუნთქონ წებო ცისარტყელის დასასიზმრებლად
და სიყვარული ისწავლონ ისე,
როგორც მე მსურდა მრავალი წლის წინ,
შინდის ჩეროს ქვეშ.



გაგა

თან

ის მაინც იდგა დახურულ კართან,
ის მაინც იდგა ჩუმად, თან მარტო,
ის იხსენებდა ტყუილს, თან მართალს,
ჩააქრო შუქი, ჩაიცვა პალტო.

თან გარეთ სუსხი მოედო ქალაქს,
არ აძინებდა ღამით, ზაფრავდა,
ის იხსენებდა ნამდვილს, თან არაკს,
თან მარტო დარჩა უცებ ზამთართან.

მერე წავიდა, ნაბიჯებს გაჰყვა,
არსაით, ისევ, ისე, უბრალოდ,
ის იხსენებდა ლექსებს, თან ზღაპარს,
წლებს გასულს სწრაფად, თან უმოწყალოდ.

თან მოენატრა მაღლა ახედვა,
თან მიაშტერდა გათოშილ მთვარეს,
წასვლა უნდოდა, თან ვერ გაბედა,
თან რჩება ის და ზამთრის სიწყნარეც.

ნიღაბი

სახეა მგონი, ანდა ნიღაბი,
უნდა გაიგო, ამოხსნა უნდა,
შენ იყავი თუ შენ არ იყავი,
მართლა გიყვარდა თუ მართლა გძულდა.

შენ დაინახე ღმერთი თუ კერპი,
გამთლიანდი თუ ასჯერ გაორდი,
სინამდვილეს თუ აჩრდილებს ებრძვი,
სიჩუმეა თუ გესმის აკორდი.

სილაში თავს რგავ თუ თვალებს ახელ,
დაასრულე თუ დაიწყე ომი,
უსაშველობას თუ არქმევ საშველს,
გაიმარჯვე თუ დამარცხდი მგონი.

გეცინება თუ ცრემლები გახრჩობს,
თუ სულ ერთია ყოფა ტკბილ-მწარე,
ისევ უყვარხართ თუ დარჩი მარტო,
მართალი ხარ თუ შეცდი, მიქარე.

სახეა მგონი, ანდა ნიღაბი,
უნდა გაიგო, ამოხსნა უნდა,
შენ იყავი თუ შენ არ იყავი,
მართლა გიყვარდა თუ მართლა გძულდა.

მძიმე სიზმრები

როგორც სიზმარი მძიმე, ხანგრძლივი,
სადაც იხსნება უსივრცო სივრცეც
და მეძებარი როცა ძაღლივით,
ეძებ სიცხადეს და ეძებ სიტყვებს.

როგორც სიზმარი შავ-თეთრი, მუქი,
სადაც არა სჩანს შუქი ფერადი,
სადაც არ ისმის სუნთქვა მსუბუქი,
არ სჩანს, რაც გიყვარს, რაზეც ღელავდი.

სიზმარი, როგორც უხეში ფერი,
უადგილო და უაზროდ მჭახე,
გაორდი, შენ ხარ შენივე მტერი,
გაორდი, ორი გაქვს გული, სახე.

გძინავს და აგებ სიზმარშიც ომებს
და დასასრულის ისმენ აკორდებს,

ზურაბ

* * *

ალბათ უდროოდ, ან მოტყუებით,
ვიწამე გზა და ვიწამე ერთი,
ვითომ ვარსკვლავი, ვითომ იღბალი,
მაგრამ არაფერს არ ერქვა ღმერთი,

ალბათ დროებით, ალბათ გონებით,
მეგონა, მწამდა, რომ იყო მაღლა,
ვითომ მფარველი და შორსმჭვრეტელი,
მე კი იმედით ვიყავი დაბლა,

ალბათ უმიზნოდ, ალბათ დროებით,
მაგრამ რაღაცის მე მგონი მწამდა,
ახლა დავჯერდი ისევ მიწიერს,
რადგან მიწაზე დღეები მაკლდა.

* * *

მე ვაღიარებ,
რომ შენ შექმენი ჩემი სამყოფელი
ამ ქვეყანაზე.
ვაღიარებ რომ, ჩემს მშობლებზე მეტად
(განსაკუთრებით მამაჩემზე) შენ გინდოდა,

ნახუცრიშვილი

გძინავს და ძილშიც იდენ შეცდომებს,
ყველაფერს კარგავ, თითქოს არც გქონდეს.

როგორც სიზმარი მძიმე, ხანგრძლივი,
სადაც იხსნება უსივრცო სივრცეც
და მეძებარი როცა ძაღლივით,
ეძებ სიცხადეს თან სიზმრებს მისდევ.

ძალიან ადრე

ეს იყო ადრე,
ძალიან ადრე,
სათავე
რამაც
ახალს დაუდო,
ეს ასე მოხდა
ეს მოხდა მართლა,
ეს მოხდა მაინც
სავარაუდოდ.

და რადგან მოხდა
ძალიან ადრე,
არ სჩანს
არც კვალი,
არც სხვა ნარჩენი
და მირჩევნია
მჯეროდეს: მოხდა
ძალიან ადრე,
რაც ვერ ავხსენი.

* * *

ეს მთელი ცხოვრება
გრძნობის აუზია,
ეს მთელი ცხოვრება —
ერთი ალუზია.

რა დროს ძახილია,
სჯობს, რომ გაირინდო,
რადგან ამინდია
ისევ უამინდო.

სჯობს, რომ სიზმარს გაჰყვე,
შეიცვალო სახე,
რაც ვერ აისრულე,
სიზმრით დაინახე.

რა დროს წარსულია,
თავი დაანებე,
ბოლო მოგონებაც
გაჰყვა მატარებელს.



დავით რობაქიძე

მცირე კოდექსი

თავს უფლება აქვს
უყუროს თვალით
უსმინოს ყურით
ისუნთქოს ცხვირით
უფლება აქვს რომ
იკვებოს პირით
ისიტყვოს ენით
მოგვითხროს გულით.

თავს უფლება აქვს
დაგეგმოს თავად
გარეთ და შიგნით
აფიქროს ფიქრი
მარცხნივ და მარჯვნივ
დაბლა და მაღლა
იქეთ და აქეთ
იკითხოს წიგნი.

თავს უფლება აქვს
მოიხმოს ხელი
დააჭრას ფრჩხილი
ათხოვოს ნივთი
უფლება აქვს რომ
მოთხოვოს ზურგის
მოფხანა ზოგჯერ
ხუთივე თითით.

ხელის უფლება
არის იცოდეს
გარჩევა საგნის
ცხელის და ცივის
თავთან მოყვრობდეს
სხეულს იცნობდეს
არჩევდეს კარნახს
ტერფის და ტვინის.

ხელს უფლება აქვს
შეზღუდოს კუჭი
შეიპყროს თავი
მიადოს მუჭი
უფლება აქვს რომ
გაწმინდოს ყური
მოფშვნიტოს თვალი
აკმიოს სუნი.

ხელს უფლება აქვს
გაითვისოს
ხელობა ჭერის
რაც არ ჭირდება
ნუ დაიკავებს
იყოს გაშლილი
შეკრულს ყოველთვის
გაუჭირდება.

სახელდახელოდ
რაც მივიმსგავსე
იყოს, უკეთესს
სხვებიც იტყვიან,
ყველა ორგანოს
ხმას შევითავსებ
სანამ ხურდაზე
გადამიცვლია.

გადაფრენა წიქარასათვის

მორფოლოგიურ ნარკოტიკზე გაზრდილი ღორი
ბუზის თვალებით იხედება, ნაწერში მომდევს,
სასაკლაოდან გამოხსნილი ახალი ღონით
ვუნდივარ, ცდილობს დავუბრუნდე სულიერ ბორდელს.

გამოიარა სურვილეთის ბობოქარ ზღვაში,
ეშვით კაფავდა ფონეტიკის გაუვალ ტყეებს,
გამოცდილების სალი კლდიდან ჩაეშვა ხრამში,
გაწყდა კავშირი, სამშვიდობო მიხარებს დღეებს.

სალამურები ვერ მოგართვით, ცხრაკლიტულიდან
მზედამსხვრეული გამოვყავარ მთვარეს თავდებში,
რქამოტეხილი მიცოცხლდება ლიტერატურა,
ბალახბულახის საიდუმლო კვდება თაგვებში.

ვენახნანახი

გამოფენაზე წარმოდგენილი მოტორიანი თხა
მგელმა შეჭამა, ვაზის პატრონმა არ ამოიღო ხმა,
მგელი შეჭამა ორლულიანმა თოფმა – არ უნდა თქმა,
თოფი შეჭამა ჟანგმა, თავისი სიტყვა ჟანგბადმაც თქვა,
ჟანგი შეჭამა მიწამ, უკეთესს რას შეგიჭამდა სხვა,
მიწა შეჭამა თაგვმა თხილივით, არ უტკენია ყბა,
თაგვი შეჭამა კატამ, ეგონა დიდი ამბავი ქნა,
კატას აჭამა ვაზის პატრონმა პირაწყობილი რქა.
კატის თავიდან თაგვი ამოხტა, თაგვმა თხილივით შვა
მიწა, მიწიდან ჟანგი გამოჩნდა, ჟანგმა თოფს მისცა გზა,
თოფი შერიგდა მგელთან, მგელმა კი აღარ შეჭამა თხა,
თხამ დაუბრუნა პატრონს ვენახი, ტირის,
დასრულდა სხვლა.

დაჯავშნილი სონეტი

ადგილი უკვე დაიმკვიდრეს, ხმაური მორჩა,
სენსაციებმაც სიჩუმისკენ აიღეს გეზი,
გადაეჩვივნენ უზნეობას, ასფალტის მოსვრას
ზეთით, ჰაერშიც ვერ უშვებენ გაზიან ბენზინს.

უკეთ გაუგეს ცხოველებსაც — ასწავლეს ჭკუა,
ყვავ-ყორნებივით აიშალნენ ბრტყელი ტყავები,
საბურავებით გატკეპნილი, სავალზე, დროა
ცივმა ქვეყნებმაც აპატიონ თბილებს ვალები.

სისხლის გასამართ სადგურებთან ვამპირის მძღოლი
აღარ გადადის, აიძულებს პირიქით ჩასხმას,

შავხალათიან კარდიოლოგს აეჭვებს რბოლის
განმავლობაში სარქველების ჩაკეტვა, გახსნა,
გამონაბოლქვის თვალებს უწვავს აჭრილი ბოლი,
პირმოწკურული, პროქტოლოგის დაჰყურებს დასკვნას.

ფანდური

ყური წაიღო ამდენმა
ბანჯომ და ბალალაიკამ,
ფანდურმა ყველა განდევნა,
გაჰკაფა, გაიკაიფა.

ხან მურმანივით მიეკლა
და ია ვარდი მაწვიმა,
ხანცა ქალ-ვაჟის შუაში
ხანჯალი წამოაწვინა.

სიმი სიმს არ შეჰხებია,
სათქმელი გამოაჩინა,
როგორც თქვა, ისე იცეკვა,
ისეც დაწერა საჩივრად.

პაპიაშვილი

რომ ვყოფილიყავი
მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული.
შენ და მამაჩემს ყოველთვის გეგონათ და გგონიათ,
რომ მათემატიკის მცოდნე
ფულს ყოველთვის იშოვის,
მაგრამ აღარ გინახავთ თუ როგორ
შიმშილობენ მათემატიკოსები.
ამიტომ ნუ გგონია,
რომ ადგილსამყოფელის მოცემა,
ყველაფერია ამ ქვეყანაზე და რომ
ნებისმიერს შეუძლია მითხრას ან წამომაძახოს
ან შემახსენოს ვინ შემქმნა.
ამიტომ ნუ გეგონება, რომ,
შექმნა ყველაფერია — ღმერთო.

* * *

ნუღარ გიკვირთ თუ არ გიხდით ბოდიშს,
თქვენს შემცდარზე, ჩვენ დაგვატყდა წყევლა,
სხვა ეპოქა და სხვა წესი მოდის,
თითქოს კარი იხურება ყველა,

უცნაურად შეინიღბა სიტყვა,
ერთს ამბობენ და მეორეს ქმნიან,
სიმართლისთვის აღარ გიღირს კითხვა
და სამართალს ნაკუწებად ჭრიან,

გზაჯვარედინს ჩაეკეტა სივრცე,
გზების ფორმა დარჩა მხოლოდ მარტო,
გზაჯვარედინს ბოდიშს უხდის სიცხე,
წყალი დაშრა ყველგან, ახლომახლო,

ნუღარ გიკვირთ რომ არ გიხდით ბოდიშს,
გინდათ წლებმა დაგვავიწყოს ცოდვა,
სხვა ეპოქა და სხვა წესი მოდის,
ისევ გვიწევს შეცდომისთვის ცოცვა.

* * *

ფოთლებმა,
ჩემგან ისწავლეს ნელა სიარული,
ისწავლეს შუქნიშანზე გადასვლა
და ისწავლეს გამაფრთხილებელი ფერი.
არ ვიცი როდემდე ემახსოვრებათ,
მაგრამ ახლა მშვიდად ვარ,
ვიცი რომ ჯერ კარგად ახსოვთ ყველაფერი,
ყოველშემთხვევისთვის —
— შემოდგომამდე მაინც.
მერე.....

მერე ხომ ისედაც მოაგროვებენ
და ყველას დასანახად დაწვავენ,
ერთ დიდ კვამლის ბუჩქად გარდაიქმნებიან,
თუ გარდაქმნიან და ყველას,
ჭვარტლად დაგვიბრუნდებიან.

P.S.
შემდეგ გავირეცხებით და ჭვარტლიც გაქრება.

აჩრდილს

სადღაც დავდიოდი მარტო,
სიტყვა დამყვებოდა ლანდად,
თითქოს ვიღაც იყო ახლოს,
თითქოს მაწვებოდა დარდად,

მერე მიიმალა ჩრდილი,
მთვარეც მიეფარა ღრუბლებს,
ჩემი ნაბიჯები, ფრთხილი,
ფეხი, სიარულსაც უკლებს,

მისვლა სასთუმალთან ჩუმად,
ძილთან მიახლება — დაღლილს,
ღამის მისალმება უთქმად,
ჩუმად გამოყოლილ აჩრდილს.

ამბროლაურის
№1 საჯარო სკოლა

ვიქტორ ჯელაძე
18 წლის

მივბრუნდები და სხვა მხარეს წავალ

ლიტერატურული კონკურსი „მომავლის მწერალი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფონდ „საზოგადოებრივი თანადგომის“ ერთობლივი პროექტია. მისი მიზანი მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენაა.

დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ონის, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, ლენტეხის, ხულოს, ქედასა და შუახევის მუნიციპალიტეტების სკოლების X, XI და XII კლასელებს პროზაული ნაწარმოების შესაქმნელად 5 საათი ჰქონდათ. მოთხრობის სათაურებად ჟიურის წევრების (პროზაიკოსების მაკა ლდოკონენის, ბექა ქურხულისა და ირაკლი ჯავახაძის) მოთხრობების სათაურები შეირჩა.

პროექტის ხელმძღვანელი მწერალი ირმა არჩუაშვილი, კოორდინატორი სამინისტროს მხრიდან შორენა ჩიბუხაია, ხოლო იდეის ავტორი პოეტი ირმა ბერიძე გახლავთ. მათი თქმით, პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და სხვა მაღალმთიან რეგიონებს მოიცავს.

ერთთვიანი მუშაობის შემდეგ ჟიურიმ შვიდი გამარჯვებული გამოავლინა: ვიქტორ ჯელაძე, მარი პატარაშვილი, გიორგი ჭინჭარაული, თემურ ზოიძე, მარიამ ნინაშვილი, ნინო ქუშაშვილი და ნათია გოლეთიანი. კიდევ ორი მონაწილე — ნათია ციგრიაშვილი და ომარ ჩხეიძე — სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. „ლიტერატურული გაზეთი“ კი მკითხველს პირველ სამ ადგილზე გასული მოსწავლეების ნაწარმოებებს სთავაზობს.

— აუ, გუშინ ანრი მოვიდა შუაღამით ჩემთან, გახეული მთვრალი იყო, ფეხზე ვერ იდგა. იძახდა: დათო!.. დათოო!.. მეძინა, გამომაღვიძა, ტრუსის ამარა გავედი კარში და რას ვხედავ, მოვკვდი სიცილით — სიგარეტით პირში ცეკვავს. „ნაუშნიკებიანი“ ჯიბის მაგნიტოფონი რომ აქვს, ხო იცი? ჰოდა, ჩაურთავს თავისი „ეისი-დისი“ და ვითომ მატარებლის მემანქანეა, მარცხენა ხელს იქნევს ზემოთ-ქვემოთ და მიდიი!.. მღერის ბოლო ხმაზე. ცეკვავს და თან წამოიყვირებს-ხოლმე: დათოო!.. გავედი, ვერც დამინახა, მივაძახე: „ე, შეჩემა, ჩუმად. სძინავთ ჩემებს“. შემამჩნია. ისეთი მთვრალი იყო, ძლივს გამორთო მუსიკა. რა გინდა-მეთქი? რა უნდა მინდოდეს, ლაპარაკიო. გავუტრაკე — შუაღამეა, მოხვალ აქ და რამდენი დათვრები, ბომჟივით დადიხარ და სახლს ვერ აგნებ-მეთქი! არადა, რა კაი როჟაცაა, შენც იცი, პროსტა დალევს და იუუ...

— რაო მერე, რა თემა იყო ასეთი?

— ბიჭო, ელეზე, ხო იცი, რა თემაცაა, მთვრალს მოაწვა ბიჭს! თავისი გულის ნადების გაზიარება უნდოდა.

— ააა, ეგ ხო გამოაქლიავა მაგ ელემ, ძაან შეიცვალა ამ ბოლო დროს, შარს გადაეყრება, ნახე თუ არა.

— ჰოდა, კაროჩე, ავიყვანე ზევით, ძლივს წამოვაწვინე სავარძელზე და დაიწყო ბოდიალი, ვეღარ ლაპარაკობდა, იგინებოდა: „ხომ იცი, როგორც მიყვარს, ეგ ჩერჩეტი კიდე ვერც კი ხვდება, რა მაგრად მიქარავს“. გადაწია თავი მაღლა, ბრუტუნებს რაღაცას, ხელებს იქნევს. მე მეცინება, ვუზივარ ასე ექთანივით და ვუყურებ. გამომხედავს, ისეთ სახეს ვიღებ, ვითომ ყველაფერს ვიგებ და მესმის, წამდაუწუმ თავს ვუქნევ. გამიტყდა ძილი, ვეღარ დავიძინე, ამან კიდე ერთი ამოიხვნეშა და მიდიი... არ დაეძინა?!. მეთქი, ერთი ამისიც, გამოიძინებს და ეშველება რაღაცა. ზედა სართულზე არც ფანჯრებია, არც კარი. შემეშინდა, არ გაცივდეს-მეთქი. ჩავედი ჩემს ოთახში, კიევის „დინამოს“ პლედი რომ მაქვს, ხო იცი, გადავაძვრე საწოლს, ავიტანე და დავაფარე. ჩამოვედი ქვევით, მეთქი, დავიძინებ, მარა, არ მომასვენა უფალმა, თვალიც ვერ მოვხუჭე — ვფიქრობ, გაიღვიძოს, წავიდეს, თავს არაფერი აუტეხოს-მეთქი. ავიღე საბანი და ავედი მეც, მივუწექი გვერდზე და ვართ ასე ორი მუშკეტერი.

— ხო გააგიჟა მაგ გოგომ, რა!.. მაგიტო დათვრებოდა, რანაირად იფუჭებს თავს, ფუუ...

— კაროჩე, სანამ დავიძინებდი, სიგარეტი ამოვუღე და მოვუწიე, „ნაუშნიკები“ ჩართული ჰქონია, წუოდა ჯიბეში. ამოვუღე და გავთიშე. ეს კიდე ხვრინავს ხარივით, გადაშლილი აქვს ხელები და პირიდან იმნაირი სუნი ამოსდის, არაკაცი ვიყო, სპილოს გადააბრუნებს... ხო, ადგა მერე, ასე ექვს საათზე და მაღვიძებს, რამე ხომ არ მივქარეო – მიცინის და მეკითხება. მეთქი, გააღვიძე მთელი ქალაქი, მეც ხომ არ დამაძინე, სახლში შემომივარდი და რა ვიცი, კიდე რა... მერე რაღაცები ილაპარაკა და იუუ... არ გაჩერებულა ორი საათი.

— რაო, რა იბაზრა?

— ბიჭო, ელეზე ილაპარაკა, ორი თვის წინ რაც მოხდა, შენც იცი, მერე თავისი ანსამბლის ხელმძღვანელს აგინა და რავი კიდე... კაი, ომკა, გავიქეცი მე, ვარჯიში მაქ, არამგონია ჩატარდეს, რა ამბავიცაა ხომ იცი, მარა უნდა მივიდე...

— აუუ, მიდი, რა, ათი წუთის დედა ვატირე!..

— არა, არა, წავედი, რა. გნახავ მერე.

— კაი, ხო... მიდი, ყიფიანო, ივარჯიშე, გამოხვალ „ზვეზდა,“ არ გინდა?! ვიღას რა ჩემ ფეხებად უნდა შენი ფეხბურთი, რა ამბავია, ვერ ხედავ?

— აუ, è äè í à ..., რა!

* * *

ანრი ორი დღის ჩამოსვენებული იყო გალში, რომ დავასაფლავეთ. სოხუმში მაგარი ბაგა-ბუგი იყო, რომ დაიღუპა. თავისმა კლასელმა იპოვა სახურავზე, ჩვენი დროშა ეჭირა. „ისე იწვა, თითქოს ეძინა,“ — ყვებოდა მერე, ვინც იპოვა. სახე ისეთი ჰქონდა, გეგონება იცინოდაო, რაღაცნაირი სიმშვიდე ეფინა სახეზეო, ყურსასმენები ეკეთა და თავიდან კი ვიფიქრე, გაგანია ომია, ეს კიდე სახურავზე ნებივრობს-მეთქი, მარა ფეხებთან სისხლი რომ დავინახე, ტანში გამცრაო. გადმოვატრიალე, ზურგში იმხელა ხვრელი ჰქონდა, თავს შეყოფდი შიგნითო. იწვა თურმე ანრი და მართლა ეძინა, ოღონდ საუკუნო ძილით. ამის გახსენებაზე ახლაც კი ვტირი ამხელა კაცი, ლაწირაკივით.

* * *

ოცდახუთი წელი გავიდა ამ ამბის მერე. ვზივარ ახლა და ვწერ... ანრი კარგი ბიჭი იყო, განათლებული. სხვანაირი ოჯახიდან იყო, რაჭიდან გადმოუსახლებიათ სტალინის დროს მაგათი ოჯახი. დიდი ბაბუა კომუნისტებს მოუკლავთ, ბერი ყოფილა – დედამისის ბაბუა. მამა ობლად გაზრდილი, დედამისიც. ეს ერთი შვილი ჰყავდათ მშობლებს და ძალიან სხვანაირად ზრდიდნენ. ანრიც სხვანაირი გაიზარდა, ცოტა უცნაური, ყველას უყვარდა, მაგარი მეგობრობა იცოდა, მართლა ძმაკაცი იყო.

ანრის არც სმა უყვარდა არც მოწევა — ბოლო წელს აურია. მიზეზი არ გაინტერესებთ? „სხვები, მაგრად ძმაკაცობენ, მაგრად ერთობიან, მე კიდე მუდო კლასელები მყავს“, — ასე თვითონ იძახდა, თორემ... ადგა და აიყოლია თავისი ორი „ძმაკაც-კლასელი“, სვამდნენ, ეწეოდნენ და დადიოდნენ დარეტიანებულები.

იმ ღამით ანრიმ ბევრი რამე თქვა. ყველაფერი, დაახლოებით, ორი წლის წინ დაიწყო. ჩვენი სკოლელი იყო ერთი – ელე სუხია. არაჩვეულებრივი, ულამაზესი გოგო, ძალიან პოპულარული, ყველაფერში რომ იყო გაკვეტებული. ანრი ფრანგულის მასწავლებელთან დადიოდა და იქ გაიცნო ელეც. იმ ღამეს რაც მელაპარაკა, ვეცდები, ზუსტად გადმოგცეთ.

* * *

თითქმის ფხიზელი ზის დივანზე, სიგარეტს უკიდებს, ნამწვის კვამლი თვალებს სწვავს და იჭყანება. თენდება. ხომ იცით, დილა როგორიცაა – რაღაც არაჩვეულებრივი, შეუმჩნეველი სიცივე, რიჟრაჟი, მანქანების სიარულის ხმა ნელ-ნელა მატულობს, თითქოს საუკუნო ძილით ეძინა ქალაქს და ეს-ესაა გამოიღვიძებს და დაიღრიალებსო. აი, ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“ როა, რაღაც ეგეთი მელოდიით დახუნძლული. ანრი ზის, თვალებში ცრემლები უდგას, ტირის თუ სიგარეტის ბოლმა გააცრემლიანა, არ ვიცი. ჩაწვა ერთი ღერი, მეც გამოვიფხიზლე და დარეტიანებული უძილობისგან ვეკითხები, რა იყო, რომ გადამრიე, რა მოხდა ასეთი-მეთქი...

„დავთვერი, ეგ არაფერი... ბიჭო, დათიკა... იცი, გული მტკივა, თან როგორ, ყველაფერი ისე აირ-დაირია, მე კიდე, უბრალო კაცი მოვექეცი ამ აურზაურში, ვერ გავიგე, რომელ მხარეს წავიდე, ვდგავარ ასე, გვირაბში გაჭედილი, სული მეხუთება, არც თავი ჩანს, არც — ბოლო. წინ წავიდე? გასასვლელი იქნებ უკან უფრო ახლოსაა? ჰოდა, დავჯდები ამის დედაც და ვიფიქრებ, ბევრს ვიფიქრებ, სანამ არ ჩამოინგრევა და შიგ არ მომიყოლებს. რა ვქნა, დათიკა, საით წავიდე, რომელ მხარეს მივბრუნდე“. პასუხის გაცემას ვაპირებდი და არც დამაცალა, უცებ წამოიყვირა: „ბიჭო, მე ელე არც დამვასებია და არც მომწონებია. ხომ იცი, ბევრს მოსწონდა, ბევრს უყვარდა. მე ვფიქრობდი, რა მოეწონათ ამ გოგოში-მეთქი, ჰოდა, ამ ფიქრში ვერც ფრანგული ვისწავლე და სიყვარულით კი შემიყვარდა ეგ შეჩვენებული. ერთი თვის წინ იყო, კონცერტი რომ გვქონდა გაგრაში, დავთვერი და რაც ორი წელი ყოველ ღამე ვიტანჯე, ავდექი და მატარებელში ვუთხარი. არაფერი უთქვამს, შეიძლება, თქვა რამე მერე, ახლაც არ მახსოვს, ისეთი მთვრალი ვიყავი. სახლში მოვედი და ბედნიერებისგან გადარეული დედაჩემს და მამაჩემს ვკოცნიდი და ვკოცნიდი.

ანსამბლი რომ გავაკეთეთ, ელეც იქ იყო, მე კიდევ ვუყურებდი, ვუყურებდი. ასე მევსებოდა გული ნელ-ნელა. ღამეები არ მეძინა, ვფიქრობდი, ვოცნებობდი და, როგორც იქნა, რომ გავბედე, მერე უფრო დიდი იმედი მომეცა, სიყვარულის ახსნის მერე რომ ხარ, ეგაა რაცაა...

განა არ ვიცოდი, ელეზე და ვასოზე, ელე მერვე კლასში იყო მაგათი ამბავი რომ დაიწყო. ნინიკო დავისვი გუშინ და ელეზე და ვასოზე რაც იცოდა, ყველაფერი მოვაყოლინე (ანრიმ ნინიკოს სიტყვებიც მითხრა, ბოლომდე არც მახსოვს, რა თქვა). ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ელეს უყვარდა ვასო, მაგრამ აწვალებდა იმ ბიჭს.

მეორე დღეს რომ მივედი ელესთან, სულ სხვანაირად შემომხედა. მითხრა, არ მოველოდიო, ვერც წარმოვიდგენდიო. იცი, რა ლამაზი იყო მაგ დროს!.. ჰოდა, არც ვაცალე დამთავრება. ავდექი და მე გადავუჭერი პრობლემა. ვუთხარი – ელენიკო, ვიცი მზად არ ხარ ამისთვის, ხოდა დარჩეს, როგორც არის. გაინაბა, გამიცინა და წავიდა.

მერე ხო იცი, რაც იყო და როგორც, ელენიკოს სახლში უტრაკებდნენ მაგრად, ვასო ამხელაა, ოცი წლის ბიჭია, ეს კიდე ლაწირაკი. ჰოდა, მერე დააშორეს თუ დაშორდნენ, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც ერთად აღარ იყვნენ. მერე, ვასოსთანაც მივედი, ვუთხარი, ბიჭო ასე და ასეა-მეთქი. იმან არ იცი, რა მითხრა? მე ხელს შეგიწყობ, პირიქით, შენს გვერდზე ვარ ყველანაირად, აბა, შენ იციო.

ვასო თბილისში რაც გადავიდა, სოხუმში წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვა, ჰაჰა – ორჯერ. მაგათი სიყვარული ტელეფონზე ლაპარაკია და მეტი არაფერი... ფუ, მეზიზღება...

დავით, თითქოს ყველა გზა ხსნილი მქონდა, ჩემი სვლის დრო იყო, ჰოდა, მივქარე, რომ არ ვეჩალიჩე. იცი, რატო არ ვეჩალიჩე?! მიყვარდა, დავით, თავზე მეტად მიყვარდა, დავით... ჰოდა, აგერ ორი კვირის წინ ჩამოვიდა ბატონი ვასო, დაბადების დღე აქვს ბიჭს და დაპატიჟა ელეც... რაც მოხდა, შენც იცი. ახლა... გოგო მომწონდეს და ვაკოცო, ხალხი იქნება თუ რა იქნება, ვისი რა საქმეა? ჰოდა, აეწყო თავიდან ურთიერთობა. დედას გეფიცები, არ მწყენია, დათკა, გამიხარდა კიდეც, მგონი. თავს ვიმშვიდებდი და გავიძახოდი – ელე თუ ბედნიერია, მეც ბედნიერი ვარ-მეთქი.

მარა, მთლად ეგრე ხო არაა, დავიგრუზე, ბიჭო, თავი ვერ მოვთოკე, მეორე დღეს პარკში შევხვდი. იჯდა, ვასოს ელოდებოდა. მივედი და ვუთხარი: ქვა ხომ არ ვარ, იცი, მიყვარხარ, მე ვიფიქრე, მარტოა-მეთქი და მაგიტომ გავბედე ყველაფერი. გეთქვა, იმ ბიჭთან ვარო და დაგანებებდი-მეთქი თავს. ელემ იტირა იმ დღეს. მე დავამშვიდე და ვუთხარი, ხალხს ნუ ალაპარაკებ, თორემ „დალშე“ არ გეშლება არაფერი-მეთქი. ჰოდა, მერე ელეს რომ გაუგეს სახლში, შენც იცი. ელე ქალღმერთია, უმანკოა, წარმოიდგინე, ახლაც არ მჯერა, რაც მაგაზე და ვასოზე მერე თქვეს.

დღეს ელემ დამირეკა და მითხრა, შენი ნახვა მინდაო. იმ ღამეს კონცერტიდან რომ გაიპარა, ჩვენმა ხელმძღვანელმა ისეთი რაღაცები წამოროშა ელეზე, მეგონა, მოვკლავდი, ისე ვიყავი. არადა, რას ეტყვი... ჰოდა, ელემ, ასე და ასეო, სახლში გაიგეს ისევ, რა ვქნა, შენს მეტი ვერავინ მიგებსო. ნერვები ამეშალა. დავით, მე ბოროტი არ ვარ, ავდექი და ვუთხარი, გააგრძელე მაგ ბიჭთან ურთიერთობა და იყავით ერთად, ერთსაც გიყვართ და მეორესაც ერთმანეთი-მეთქი. კიდე იტირა, მე წამოვედი“.

* * *

სანამ ანრი ჩემთან მოვიდოდა, ვასოზე ახალი გაგებული ჰქონდა. ვასო დიდი ნაძირალა იყო ყოველთვის, თბილისშიც ვიღაც გოგო ჰყოლია და ათასი საზიზღრობა... ხან სოხუმში იყო ელესთან, ხან თბილისში – ვიღაც ძუკნასთან. ორ კურდღელს დასდევდა ბიჭი. ამ ამბავზე ანრის რეაქციამ ყველა გააოცა, ორი დღის ჩამოსული იყო ვასო, ვიფიქრე, მოკლავს-მეთქი, ეს კი სახლში იყო ჩაკეტილი. ელემ ვასოს თბილისურ თავგადასავლებზე არაფერი იცოდა.

ომი რომ დაიწყო, ანრი სახლში იჯდა იმ ღამით, მერე ელესთან მისულა მთვრალი. ვასოზე არაფერი უთქვამს, ელეს გამოუგდია, თავი დამანებეო. მოდიოდა და თურმე მთელი გზა ტიროდა ამხელა ბიჭი. გიო რომ დაიღუპა ავარიაში, მაშინაც კი არ უტირია.

ჩემთან რომ მოვიდა იმ წყეულ ღამეს, ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა. წასვლის წინ მითხრა:

„მე, დათიკა, გამწირა ამ ცხოვრებამ. ელეს უყვარს, ვასოს კიდია, მე მაგის დედა... ელეს ვერ ვეტყვი და ვერც ავუხსნი, ვეტყვი – შემიზიზღებს, ანგელოზი ჰგონია ის... უკვე ყველაფერი მორჩა, აქ აღარ დამედგომება, ცოცხლად ვკვდები ამის შემხედვარე, მივბრუნდები, ძმაო და სხვა მხარეს წავალ, დავივიწყებ ალბათ...“ მხარზე მოვკიდე ხელი, გავუცინე, გავა დრო და მოგეშვება-მეთქი, ვუთხარი. თბილისში წახვალ, გაერიდები ამ ომს, ახალ ცხოვრებას დაიწყებ, ისწავლი, სკოლას დაამთავრებ, ათას გოგოს გაიცნობ, განა, ელეზე უკეთესები არ არიან-მეთქი... გაიქნია თავი და მითხრა:

„მე არსად წასვლას არ ვაპირებ და არც მგონია, მაგან მიშველოსო“. წავიდა, მიჩუნდრუკებდა გზაზე, ერთი ხელი ასწია ზურგშექცეულმა და გააგრძელა გზა. ვუყურებდი, ნათელი იყო, მაგრამ ლამპიონები მაინც ენთო. მიდიოდა, მიდიოდა და წერტილივით პატარავდებოდა. მერე შორს მიიმალა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სამუდამოდ წავიდა.

* * *

ანრი წავიდა იმ ღამეს, გაიპარა. ცოტა რომ მოეცადა და დაფიქრებულიყო, ალბათ, ეგრე არ მოიქცეოდა. აჟიტირებული იყო. რომ გვცოდნოდა, არც გავუშვებდით. პატრიოტი იყო, გულიანი ვაჟკაცი, მაგრამ საშინლად მორცხვი და დაბნეული. ჯერ სამშობლო უყვარდა, მერე დედა და ბოლოს ელე... ჩვენ გალში წავედით ერთ კვირაში, ის სადღაც გუდაუთასთან იბრძოდა. ანრიზე არაფერი ვიცოდით, დედამისი და მამამისი ჩვენთან იყვნენ. წერილი დაუწერია და დაუტოვებია. აღარ მახსოვს, რა ეწერა. მგონი, ბოლო სიტყვები ასე იყო:

„მე ჩემს თავს იქ ვხედავ, ჩემი ბიჭების გვერდით, ვიცი, სხვა მხარეს წავედი და, ვაი, რომ ეს მხარე სჯობს“.

* * *

სიყვარულით ვის არ ჰყვარებია, ვის არ მოსწონებია, მაგრამ ყველა ხომ ერთნაირი არაა. ანრი სხვანაირი იყო, აი, ქარჩხაძის „იგი“ რომ არის, ეგეთი. ყველასგან განსხვავებული, ვერსად ნახა თავისი ადგილი, შებრუნდა, ზურგი აქცია ყველაფერს და სხვა მხარეს წავიდა; წავიდა იქ, საიდანაც ხშირად ვერ ბრუნდებიან. დროშა აჰქონდა სახურავზე და სნაიპერმა მოკლა. ანრი სხვანაირი სულის ადამიანი იყო, მოსიყვარულე, თბილი, უერთგულესი. სხვანაირად აზროვნებდა, მუსიკა უყვარდა, თავისუფლება. დამოუკიდებლობა რომ მიიღეს თბილისში, თავისი შეკერილი დროშა ჰქონდა და იმას დააფრიალებდა მთელი დღე. იმ დროშით ხელში იპოვა კლასელმა მოკლული.

* * *

როცა ბიჭები ამ ყველაფერს ვიხსენებთ, ჩვილებივით ავქვითინდებით ხოლმე. შეიძლება, მთლად გულში ჩამწვდომად ვერც გადმოვეცი ყველაფერი, საქმე ისაა, რომ დღეს ყველას გვტკივა და გვაკლია ანრი. სოხუმელები რომ შევიკრიბებით სუფრასთან, ერთ ჭიქას ანრისთვისაც დავდგამთ ხოლმე. ანრის დიდი მომავალი ჰქონდა, ყველა ამას ამბობდა, მაგრამ რად გინდა? რა დარჩა მისგან? გალშია საფლავი და იქაც ვერ ვახერხებთ მისვლას და სანთლის დანთებას.

ყველას ჰქონია ცხოვრებაში რთული მომენტი, მითუმეტეს, როცა გიყვარს. ბავშვური სიყვარულით ანთებულმა ზურგი აქცია ცხოვრებას. აჰყვა ვნებათაღელვას და თავი დაიღუპა. ჩვიდმეტი წლის ბიჭები ომებში არ უნდა იღუპებოდნენ. რა დიდი გასაჭირი ეს იყო, ან რა დიდი პრობლემა... დროის საკითხი იყო ყველაფერი. ელე ამერიკაში, ნიუ-ჯერსიში თუ სადღაც ჯანდაბაშია. ვასო... ვასოსი რა გითხრათ, თბილისში ბიჭი შემოაკვდა, მოსაკლავად დასდევდნენ და აზერებში გადაიხვეწა, მერე აფხაზეთში დაბრუნდაო, იძახდნენ. არ ვიცი...

ანრის მაგალითით იმსჯელე, მკითხველო... ზურგი არ უნდა აქციო არაფერს, არ უნდა შებრუნდე და სხვა მხარეს არ უნდა წახვიდე. გზა ერთია და რაც უნდა აღმართი იყოს, წინ უნდა იარო, თორემ მდინარის დინებას მარტო მკვდარი თევზები მიჰყვებიან!

ბულაჩაურის
საჯარო სკოლა
მარი პატარაშვილი
16 წლის

თავიდან ბოლომდე მოგონილი ამბავი

ხშირად, როდესაც ვუყურებ ცამდე აღმართულ ფშავის მთებს, მახსენდება ადამიანი, რომელიც აქ დაიბადა, გაიზარდა და აქაურობის სიყვარული სიცოცხლის ბოლო წუთამდე ატარა. უყვარდა მთის კალთებზე ერთმანეთში დღის და ღამის არევა, მწვანე ბუსნოზე წამოგორება და უკიდეგანო, ლურჯი ღრუბლების ყურებით ტკბობა.

ეს ადამიანი იყო ხვთისო პაპა, რომელსაც ჩემთვის არაერთხელ უამბნია მთაში გადამხდარი ამბები. ახლა რასაც მოგითხრობთ, შეიძლება, არარეალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ უყვარდა ხვთისო პაპას არარეალური ამბების მოყოლა და მეც მჯეროდა მისი.

ამბავი ხდება მთაში, ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც მიგრიაულები ერქვა. აქ ცხოვრობდა ხვთისო პაპა. ის ხუთი წლისა იყო, როდესაც მამით დაობლდა და ოთხ და-ძმას შორის უფროსი დარჩა. დედაც მძიმე სენით ჰყავდა დაავადებული, ამიტომ უმცროს და-ძმებზე თავად უწევდა ზრუნვა.

ერთ დღეს ოჯახში გაუთავდათ პურის ფქვილი. საწოლად ჩავარდნილმა დედამ ხვთისოს უთხრა – აჰა, შვილო, ხუთი თუმანი, წადი წისქვილზე, იყიდე ხორბალი რამდენიც მოგივა, დააფქვევინე და დაღამებამდე სახლში დაბრუნდიო.

წისქვილი იყო მეორე სოფელში, თექვსმეტი კილომეტრის მოშორებით.

ხვთისომ ჩაიცვა თავისი რეზინის ქალამნები, მოიხურა შავი მამაპაპური ნაბადი, რომლისთვისაც ძალიან პატარა იყო და ძირს მისთრევდა.

სახლიდან გამოსვლის დროს დედამ დაუძახა: შვილო, მოიცა ცოტა ხანს.

ხვთისო შებრუნდა უკან

– დედი, რამეს ხომ არ დამაბარებ კიდევ?

– არა, შვილო, აი, ეს მამაშენის ორკეცა დანა გამომართვი, გზად მხეცი არსად გადაგეყაროს. ღმერთმა ნუ დაგაჭირვოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ამ დროს, მთაში ცივი სუსხიანი ზამთარი იყო. გარეთ გამოსვლის დროს ხვთისოს მთელ ტანში სიცივის ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ რა ვაჟკაცია მთის შვილი თუ სიცივეს შეუშინდა? ის თავდაუხრელად დაეშვა მთის ფერდობზე. მუხლებამდე გაუკვალავ თოვლში უჭირდა გზის გაკვლევა. ამ დროს დილის ექვსი საათი იყო და ჯერ კიდევ ბნელოდა. პატარა ბიჭი ხმაამოუღებლად მიდიოდა კარგად ნაცნობ ბილიკებზე. თოვა არ წყდებოდა, რაც უფრო და უფრო ურთულებდა სიარულს. ორი საათის შემდეგ გარემოს ნათელი შეეტყო, ცა მოიწმინდა, ღრუბელიც აღარსად ჩანდა. ზუსტად ხუთი საათი დასჭირდა, რომ სოფლამდე ჩასულიყო. ერთადერთი წისქვილი იყო ამ სოფელში. რიგში მოუწია დგომამ, სანამ სხვების სიმინდი დაიფქვებოდა.

გაყინულ-გათოშილ ბიჭს მეწისქვილემ მკვახედ მიმართა:

– საიდან მოდიხარ, ბიჭო?

– მიგრიაუმ მთიდან.

– ფეხით მოდიხარ თუ ცხენით?

– ძია, წელამდე თოვლში ცხენი ვერ ივლიდა და ფეხით მოვდივარ.

– ასეთი პატარა ბალღი ვინ გამოგიშვა მარტო? მშობელი არ გყავს ან უფროსი ძმა, მარტო რატომ მოსულხარ?

– არა ძია, მამა ერთი წლის უკან დამეღუპა, დედა მძიმე სენით დაავადდა, პატარა და-ძმები მყავს, რომლებიც ჩემს იმედად არიან. დედამ ხუთი თუმანი მომცა, ამის ხორბალი ამიწონეთ და დამიფქვით, დაღამებამდე უნდა დავბრუნდე სახლში.

მეწისქვილეს პატარა ხვთისო შეებრალა და უთხრა:

– დარჩი, შვილო, დღეს ჩემთან, ღამეს გაგათევინებ, უკვე სამი საათია, გზაზე დაგიღამდება ნუ წახვალ.

– არა, ძია, დედა იდარდებს, ვერ დავრჩები, თან უპუროდ არიან სახლში, დამიფქვი და წავალ.

— კარგი, ბალღო, რახან არ იშლი, მოუცადე ცოტა ხანს, დაიფქვება და წადი.

ხორბალი რომ დაიფქვა, ხვთისომ გუდაში რამდენჯერმე გამოკრა ფქვილი, თოვლს რომ არ დაესველებინა და სახლში წასასვლელად მოემზადა.

გარეთ რომ გამოვიდა, გული ცუდს უგრძნობდა. ბურუსს მთლად მოეცვა იქაურობა. იფიქრა, ვაითუ, გზად დამიღამდეს და სადმე თოვლში ჩავრჩეო. მაინც არ მიბრუნდა მეწისქვილესთან და გაუყვა თოვლიან აღმართებს. გზადაგზა გრძნობდა, რომ ითოშებოდა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ნახევარი გზა არ ჰქონდა გავლილი, რომ ზამთრის მოკლე დღე მთლად სიბნელემ მოიცვა. პატარა ბიჭი ბნელ ტყეში გზას ვეღარ იგნებდა, ამიტომ გადაწყვიტა, გაჩერებულიყო და ღამის გასათევი ადგილი ეპოვნა. მიიხედ-მოიხედა, გარშემო მხოლოდ ხის სილუეტებს ხედავდა, წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ერთი დიდი ხე შენიშნა. სავარაუდოდ, მუხის იქნებოდა. ბევრი არ უფიქრია, აქ გადაწყვიტა მოკალათება. მოიხსნა ნაბადი, ორად გადაკეცა, შუაში შეძვრა, მეორე მხარე გადმოიფარა და თბილად მოკალათდა. რამდენიმე საათი თვალს ვერ ხუჭავდა, თანდათან კი ჩასთვლიმა და ღრმა ძილს მიეცა.

შუა ძილში მამის ხმამ გამოაღვიძა, რომელიც აფრთხილებდა, სასწრაფოდ ამ ადგილს გაეცალეო. რამდენჯერმე გამოაღვიძა ასეთმა ხმამ. შეშინებული წამოდგა და გადაწყვიტა, მართლაც გასცლოდა ამ ადგილს, მაგრამ ისეთი უკუნი სიბნელე იყო, გზას ვერსად გაიგნებდა. გული უგრძნობდა, შეიძლება სადმე ახლოს მგელი ყოფილიყო და იოლი მსხვერპლი გახდებოდა მისთვის, აქ თუ დარჩებოდა.

მთლად შიშმა აიტანა. დიდხანს იჯდა ასე მოყუჩებული, ვეღარც დაძინებას ახერხებდა.

ამ დროს გაახსენდა მამის დარიგება:

– შვილო, თუ მგლის საშიშროებას იგრძნობ, თან იქონიე ყოველთვის ორკეცა დანა. გახსენი და სამჯერ გულში გაიმეორე: მგელო, არსი შეგიკარი, მგელო არსი შეგიკარი, მგელო არსი შეგიკარი. ამის შემდეგ მშვიდად შეგეძლება, განაგრძო ცხოვრება.

პატარა ხვთისოს ამის გახსენების შემდეგ თითქოს შიშმა გადაუარა, მაგრამ ცივი ოფლი ასხამდა. აფორიაქებულმა ჩქარა-ჩქარა ამოიღო უბიდან დედის მიცემული ორკეცა დანა, გახსნა და მამის ნათქვამი სამჯერ გაიმეორა. ამის შემდეგ მამის ხმა აღარ შემოსმია, ისე ჩაეძინა.

იმ ღამემ მშვიდობით ჩაიარა. მეორე დღეს გამთენიისას მთლად გაყინულს გამოეღვიძა. აიღო თავის ნაბადი, რამდენჯერმე დაფერთხა და შემოიხვია. ფქვილის გუდა მხარზე მოიგდო და წელამდე თოვლში შინისაკენ გაუდგა გზას.

ცოტა რომ ჩამოიტოვა ადგილი, სადაც ღამე გაათია, გაახსენდა წუხანდელი მამის დარიგება. იფიქრა, ნეტავ, რისი თქმა სურდა მამას ამ გაფრთხილებითო? ბევრი ყოყმანის შემდეგ ისევ იმ ადგილზე დაბრუნება გადაწყვიტა, რათა გაერკვია, რა შეიძლებოდა, ყოფილიყო საშიში?

მართლაც ასე მოიქცა, მოათვალიერა იქაურობა, თუმცა საეჭვო ვერაფერი შენიშნა.

მივიდა ისევ იმ მუხის ხესთან და ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ გაოცებისგან შეჰყვირა. იმ ადგილას, სადაც წუხელ ეძინა, წრიულად უამრავი მგლის ნაფეხური შენიშნა. მათ დიდხანს უცდიათ მისი შეჭმა, მაგრამ გადაარჩინა მამის დანატოვარმა ორკეცა დანამ. გაოგნებულ ხვთისოს დიდხანს ვერ დაეჯერებინა ეს ფაქტი. შემდეგ მუხლებზე დაეცა და ღმერთს მადლობა შესწირა, სიკვდილისაგან რომ იხსნა.

დამშვიდებული და დაწყნარებული სახლისკენ გაუყვა გზას.

ასეთ ბევრ ამბავს მიყვებოდა ხვთისო პაპა. ის დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი არარეალური ამბები ჩემში მარად იცოცხლებს...

ლუშეთის
№1 საჯარო სკოლა

გიორგი ჭინჭარაული
16 წლის

თავიდან ბოლომდე მოგონილი ამბავი

უკვე ოთხი საათია, მანქანით მივდივართ მე, მამაჩემი და ორი ამერიკელი ტურისტი. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ვერ იტანს ამერიკელების უმრავლესობას, მაინც ჩავისვით მანქანაში გზაზე შემომხვდარი უცხოელები და ჩვენთან ერთად წამოვიყვანეთ. მთელი გზაა, სოფლებს, მთებს და ტყეებს ვუყურებ და თვალწინ მიდგება მათი ძველებური ცხოვრება და მინდება, ისევე ვიცხოვრო, როგორც ისინი ცხოვრობდნენ. ყელში მაქვს ეს ქალაქები და საერთოდ ვერ ვიტან ურბანიზაციას.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც გამახსენდა ხევსურული მითოლოგია, მაგრამ ეს ყველაფერი მითებად მხოლოდ ქალაქელებს სჯერათ. თავიდან მეც ვერ ვიჯერებდი იმას, რომ ჭინკები, დევები, ქაჯები და ეგეთი უცნაური არსებები არსებობდნენ, რადგან მათზე მხოლოდ წიგნში ვკითხულობდი, მაგრამ როდესაც რამდენიმე ადამიანი გიყვება იმის შესახებ, თუ რეები გადახდათ მითიურ არსებებთან, თანდათან იჯერებ მათ არსებობას.

როგორც იქნა, ერთმა ამერიკელმა ხმა ამოიღო და ლაპარაკი დავიწყეთ. როგორც წესია, ჯერ ერთმანეთი გავიცანით, შემდეგ კი იმაზე დავიწყე ლაპარაკი, რაზეც წეღან ვფიქრობდი. აღმოჩნდა, რომ მითების სულ არაფერი გაეგებოდათ და ისეთი სახით მიყურებდნენ, მამაჩემმა მთხოვა, თემა შემეცვალა, რომ არ გაგიჟებულიყვნენ. ამაზე გულიანად გავიცინეთ მე და მამაჩემმა, რადგან ქართულად თქვა და მათ ვერ გაიგეს. ამერიკელები კი მთხოვდნენ, კიდევ მომეყოლა. მეც ისეთ ხიბლში ვიყავი, რომ ყველაფერი მოვუყევი, რაც ვიცოდი და გამეგო.

ამ ლაპარაკში სადღაც ერთი საათი გავიდა და ამ დროს მამაჩემმა გვითხრა, რომ დაახლოებით ოც წუთში შატილში ვიქნებოდით. ძალიან გამიხარდა, რადგან დიდი ხანი ვმგზავრობდით. ერთ გორაკს გამოვცდით უკვე და გამოჩნდა ახალი შატილის სახლები, მეორე გორაკის შემდეგ კი კოშკებია. როდესაც გასცდები გორაკს, პირდაპირ კოშკებს ხედავ, ეს კი უდიდესი სანახაობაა. ამერიკელებსაც შევატყე სახეზე გაოცება, მაგრამ არ გამკვირვებია, რადგან ყოველ ჩასვლაზე მეც ასე მემართება.

მდინარეზე გადებული პატარა ხის ხიდი გადავიარეთ და მანქანა იქვე გავაჩერეთ. მანდ მამაჩემის ძმადნაფიცი და კიდევ სამი შატილიონი იდგა და რაღაცაზე სერიოზული სახეებით საუბრობდნენ. მამაჩემის დანახვაზე ირაკლი (ასე ერქვა ძმათნაფიცს) მაშინვე გამოეშურა ჩვენსკენ და მამაჩემს გადაეხვია. მამაჩემიც დიდი სიხარულით შეხვდა, რადგან ერთმანეთი ძმებივით უყვარდათ, შემდეგ მეც გადამეხვია და აღნიშნა, რომ დიდი გავზრდილვარ.

— მამა როგორ არის? — ჰკითხა მამაჩემმა.

— არაფერი უჭირს, ცოტა დაბერდა და ყურთ დააკლდა, თორემ ისე ჯანზეა.

— ეგ კარგია!..

— ესენი ვინ ჩამოიყვანე? – იკითხა ამერიკელებზე.

— რა ვიცი... გზაში შეგვხვდნენ და წამოვიყვანეთ, ამერიკელები არიან, აქაურობის ნახვა უნდათ.

— კარგია, ხალხი რომ ინტერესდება, ნეტავ, ქართველებიც ეგრე ხშირად მოდიოდნენ... კარგი, აბა, ეხლა წავიდეთ. ჩემთან დარჩით რამდენი ხანიც გინდათ, თან ხვალ ხინკლის მოხვევას ვაპირებთ, დღეს კალმახით გაგიმასპინძლდებით.

— კარგი... ჩანთა აიღე და წავედით! — მითხრა მამაჩემმა და მეც მაშინვე ამოვიღე საბარგულიდან ორი დიდი ჩანთა, სადაც ტანსაცმელი და საჭმელი იყო. სახლში რომ შევედით, ირაკლის და მზექალა და მამამისი, ჯურხა პაპა დაგვხვდნენ. ჯურხა პაპა ჩამეხუტა, ძალიან ვუყვარდი, რადგან შვილიშვილები არ ჰყავდა და ერთადერთ შვილიშვილად მე მივაჩნდი. იმ დღეს ერბოში შემწვარი კალმახი ვჭამეთ (რომელიც საშინლად მიყვარს) და საღამოს მე და ჯურხა პაპამ ერთმანეთში ლაპარაკი დავიწყეთ. ჯერ ჩემი ამბები გამომკითხა, შემდეგ ქალაქის და ბოლოს თავისი ახალგაზრდობის ამბების მოყოლა დაიწყო. ამასობაში უკვე დაღამდა, პაპამ ტკბილი ძილი მისურვა და დასაძინებლად წავიდა. იმ ღამეს კარგად ვერ მეძინა, რადგან ჩვევა მაქვს ასეთი, როცა სხვა სახლში ვიძინებ, პირველ ღამეს კარგად არ მეძინება.

დილით მამაჩემი და ირაკლი სახლში აღარ დამხვდნენ, ჯურხა პაპამ მითხრა, რომ სათევზაოდ წასულიყვნენ. მამაჩემი გიჟდება თევზაობაზე და შატილში ყოველ დილით თევზაობს. მე ჩაი დავლიე და კოშკებში ასვლა დავაპირე. სახლიდან რომ გამოვედი, გარეთ ტობი და მაიკი დამხვდნენ (ესე ერქვათ იმ ამერიკელებს) და თავაზიანად მომესალმნენ. მკითხეს, სად მივდიოდი, მეც ვუთხარი, რომ კოშკებში მივდიოდი და ისინიც სიამოვნებით გამომყვნენ, თან მეგზურობას გაგვიწევო. ერთად ავედით კოშკებში, ვანახე ჩემი კოშკიც და ის ქვა, რომელზეც „მზის შვილების“ ნახატებია. ამჯერად ნამდვილ ისტორიებს ვუყვებოდი და ამიტომაც გაოგნებულები დარჩნენ. ვუყვებოდი ხევსურების გმირობებზე, ტრადიციებზე, ჩვეულებებზე და ვხვდებოდი, რომ ეს ადგილი თანდათან უყვარდებოდათ. ბოლოს მითხრეს, რომ შემდეგ წელს მეგობრებთან ერთად კიდევ ამოვიდოდნენ შატილში.

როგორც იქნა, დავამთავრეთ თვალიერება. ჩამოვედი კოშკებიდან და სახლში წავედი. გარეთ ირაკლი ისევ იმ სამ კაცს ელაპარაკებოდა. აღელვებულები ჩანდნენ, თან ერთს თოფიც ეჭირა. მე სახლში შევედი, მამაჩემი და ჯურხა პაპა რაღაცაზე სერიოზულად ლაპარაკობდნენ. ყური მოვკარი, როცა ამბობდა პაპა, რომ სამი ძროხა მოუპარავთ, მაგრამ ეს არც ადამიანებს გაუკეთებიათ და არც ცხოველის კვალი იყოო.

საღამოს ხინკალი მოვხარშეთ, მაგრამ არავინ იყო კარგ ხასიათზე და იმ ღამით ჯურხა პაპამაც არაფერი მომიყვა. ძილის წინ ვფიქრობდი, თუ რა მოხდა-მეთქი და ვერაფერს მივხვდი.

დილით მამაჩემი ისევ წასულიყო სათევზაოდ, მაგრამ მარტო, ირაკლი სახლში დარჩა. გარედან დავინახე, რომ აივანზე იჯდა და რაღაცაზე იყო ჩაფიქრებული. მე ვისაუზმე და ჩემი კოშკის სანახავად წავედი. პირველი სართული დანაგვიანებული იყო და დალაგება დავიწყე, თან ტურისტებს ვლანძღავდი, იმიტომ, რომ აქაურები არ დაანაგვიანებდნენ. უცებ ზევიდან ხმაური გავიგე, სასწრაფოდ ავირბინე, მაგრამ არავინ იყო, მხოლოდ მესამე სართულზე იდო ორი ჩანთა, ეს ჩანთები ტობის და მაიკის იყო, მაგრამ მათი პატრონები არ მინახავს არც იმ დღეს და არც მეორე დღეს, ჩანთები კი ადგილზე იყო. სახლში რომ ჩავედი, ირაკლის ვუთხარი ყველაფერი. ირაკლი წავიდა და ჩანთები მოიტანა სახლში.

— აქ რატომ მოიტანე? – ვკითხე გაოგნებულმა.

— აღარ დაბრუნდებიან...

— მოიცა, საიდან იცი?

— ვიცი.

— საიდან?

— პირველები არ არიან, – მითხრა ირაკლიმ და სახე შეიჭმუხნა.

— როგორ თუ პირველები არ არიან? – ვიკითხე შეშფოთებულმა.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.

ირაკლიმ სახლში შეიტანა ჩანთები. იმ დღეს ჯურხა პაპამ მითხრა, რომ კიდევ სამი ტურისტი ისე გაუჩინარდა მასპინძლის სახლიდან, რომ ვერ გაიგეს, სად წავიდნენ. ამ დროს შიში დამეუფლა და ყველაფერს წესიერად ვერ მივხვდი.

იმ დღეს ოთხი ტურისტი გავიცანი. საღამო იყო და მალევე წამოვედი. მითხრეს, რომ ხვალ მნახავდნენ. სახლში რომ მივედი, კარგ ხასიათზე დამხვდნენ მამაჩემი და ირაკლი, ცოტა ნასვამები იყვნენ და რაღაცებს ხუმრობდნენ. ამაზე მეც გავმხიარულდი. ხინკალი ვჭამე და დასაძინებლად წავედი. რომ დავწექი, მალევე გავითიშე.

დილით სახლიდან რომ გამოვედი, კოშკებში ავედი ისევ და ჩეხები შემხვდნენ. გადავწყვიტეთ, ზევით ტყისკენ წავსულიყავით. ცოტა ხნის შემდეგ მდინარესთან გავჩერდით. დაღლილები მომეჩვენნენ, სახეზე ფერი აღარ ედოთ. ჩამოვჯექი და ლაპარაკი რომ უნდა დამეწყო, ერთმა ბუტბუტი დაიწყო და ტყეში შევარდა შეშინებულივით. მე შემეშინდა, სხვებმა ყურადღება არც მიაქციეს, შემდეგ მეორემ დაიწყო ლაპარაკი თავისთვის, განერვიულდა და მდინარეში გადაეშვა. შიშისაგან ვეღარ ვინძრეოდი. მესამესაც იგივე დაემართა და ტყეში გაიქცა. მეოთხეც რომ ალაპარაკდა, ამ დროს დედაჩემის ხმა გავიგე...

როცა გამოვფხიზლდი, აჩქარებულ მდინარესთან ვიდექი და ვიღაცამ ისეთი ძალით ჩამავლო ხელი ქეჩოში, რომ მეგონა თავი გამძვრებოდა. ეს მამაჩემი იყო და რაღაცაზე განერვიულებული მეჩხუბებოდა. ამ დროს გონება დავკარგე. სახლში გამომეღვიძა, სადაც ყველა თავზე მადგა. კარგად რომ გამოვფხიზლდი, მითხრეს, რომ ეს მაძახურას ბრალი იყო, ეხლა კი მღვდელი მოუყვანიათ და ყველაფერი მოგვარდებოდა. ასე დამთავრდა ეს ისტორია...

— ჰა-ჰა!.. რა იყო, რა შეშინებული თვალებით მიყურებთ? — მხიარულად გადავხედე მეგობრებს.

— შეგვაშინე.

— რა იყო, მართალი კი არაა, — ისევ მხიარულად ვუთხარი.

— მოიცა... აბა, რა იყო ეს?

— თავიდან ბოლომდე მოგონილი ამბავი.

მწერალი

რეზო თაბუკაშვილი

რეზო თაბუკაშვილი ხუთი პროზაული კრებულის ავტორია. პირველი წიგნი, „ავტობიოგრაფია პროფილში“, 1999 წელს გამოიცა, შემდეგ იყო „არასაფრენი დღეები“, მოგვიანებით კი — დოკუმენტური პროზის ჟანრში შექმნილი „დაულაგირი. ABC (ანაპურნას საბაზო ბანაკი)“. 2009 წელს გამოვიდა მისი რჩეული „მზეო, არ ამოხვიდე“, 2012-ში — „გემების ჩრდილქვეშ“, რომელშიც მკითხველისთვის მანამდე ცნობილი მოთხრობები გაერთიანდა.

ამავე დროს, რეზო თაბუკაშვილი ერთ-ერთია, ვინც სათავეში ედგა გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისში დაარსებულ ლიტერატურულ ჟურნალს „XX საუკუნე“ და რედაქტორობდა ინგლისურენოვან გამოცემას „New Century“. ასევე ავტორია რამდენიმე კინოსცენარისა.

ასეთია მშრალი შემოქმედებითი ბიოგრაფია, თუმცა თითოეულ ნაწერს, ალბათ, ფიქრი, მეგობრობა, ოჯახი, ომი, სიყვარული, მოგონებები, განმარტოება, ყოველდღიურობა და თავგადასავლები, ნანახი და მოსმენილი, გადატანილი და შეთხზული უდევს სარჩულად.

— რამდენად განაპირობა თქვენი მწერლობა ოჯახმა. რამდენად იყო ოჯახური გარემო საფუძველი არჩევანისა, გეწერათ? დასაწყისს ვგულისხმობ.

— წიგნთან კავშირი ძალიან ძლიერია და ის ოჯახიდან მოდის. რასაკვირველია, საფუძველი სწორედ ოჯახია. თან აეწყო — მეგობრებიც ასეთები მყავდა, მკითხველები, წიგნებზე ვლაპარაკობდით. დღემდე ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და ყოველთვის ასე იქნება. როცა წიგნთან გაქვს კავშირი, ადამიანსაც ისეთს ეძებ, ვინც მკითხველია, ვისთანაც ბევრი საერთო გექნება. ყოველ შემთხვევაში, წიგნზე, მწერალზე, ამ სამყაროზე შეგეძლება ლაპარაკი. ეს მეგობრობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. დიახ, ოჯახიდან დაიწყო და მერე, რაღაცნაირად, დაიტოტა.

— ესე იგი, მწერლობამდე მიხვედით როგორც მკითხველი.

— რასაკვირველია. მაგრამ აქაც იყო რაღაც ისეთი... მქონდა პერიოდები, როცა შემეძლო, არ მეკითხა, მაგრამ ასეთ დროს წიგნს მაძალებდნენ ხოლმე — „აბა, წაიკითხე“, „ესა და ეს წიგნი ნახე.“ მართლებიც იყვნენ. ბავშვობაში კითხვაზე მეტად, ხშირად, სხვა რაღაცებისთვის ვიცლით. ამიტომ უფროსებისგან დაძალება ბუნებრივია, საჭიროა.

— იქნებ პირველ საკითხავზე, პირველ ლიტერატურულ სამყაროზე მომიყვეთ.

— ზღვა შთაბეჭდილებაა, დღემდე მომყვება. თავიდან, ძალიან ხშირად, თხუთმეტ-თექვსმეტ წლამდე, გმირებს საკუთარ თავთან ვაიგივებდი. ვცდილობდი, მათთან რაღაც საერთო მეპოვა. მოგვიანებით, ძალიან ახლობლები გახდნენ სტენდალის გმირები. ლუი ბუსენარმა, მისმა სათავგადასავლო ლიტერატურამ გამიტაცა. მიყვარდა და დღემდე მიყვარს ჯეკ ლონდონი. იმ სამყაროებში ძალიან დიდხანს მიცხოვრია. მკითხველისთვის გასაგებია, რაზეც ვლაპარაკობ. ლიტერატურის მაგიური ძალა სწორედ ესაა. ეტყობა, მოგვიანებით ამანაც განაპირობა ჩემი მწერლობა.

— წერა გვიან დაიწყეთ?

— ბავშვობაში ერთი მოთხრობა დავწერე, მცდელობასავით იყო. წერა კი 21 წლისამ დავიწყე იტალიაში. იქ, ბოლონიის უნივერსიტეტში, ლიტერატურას ვსწავლობდი. მაგრამ საკითხავი ლიტერატურა, რასაკვირველია, დღემდე ძალიან მნიშვნელოვანია. წიგნი ზუსტად იმას გაძლევს, რაც შენთვის აუცილებელია, რასაც ეძებ. ადამიანს გამუდმებით სჭირდება გარკვეული დახმარება, მისი პოვნა კი სწორედ ლიტერატურაშია შესაძლებელი. ჩემთვის ეს არ არის ძნელი. პირიქით, იქ კარგად ვეძებ. ბავშვობაშიც ასე იყო — წიგნები სამყაროს მიქმნიდა. ახლა, რომ გადავხედავ ხოლმე გასულ წლებს, კიდევ უფრო მეტად ვაფასებ იმ კავშირს, იმას, რასაც წიგნებიდან ვიღებდი. მაშინ მეგონა, ასეც უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ ძუნწად ვსაზრდოობდი. სამწუხაროა. ამეღო, რა, უფრო მეტი...

— წიგნების სიმრავლე, წიგნთან მეგობრობა თქვენს ნაწერებშიც ჩანს.

— ეს სულიერი კავშირია. ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე და სულიერი კავშირი დავამყარე ავტორებთან. ყველაზე ძლიერად სწორედ მწერალთან შეიძლება, გაიხსნა — იმასთან, რომელმაც შენზე ასე იმოქმედა. გავლენა კი სხვა რამეა. შეიძლება, ვიღაცის გავლენას მართლაც განიცდიდე, მაგრამ წერისას იმდენად „შენ“ ხარ, რომ იქ „გავლენებისთვის“ აღარ რჩება ადგილი. თუმცა, მწერალთან ურთიერთობა, მწერლის ცნობა, მიხვედრა, რას როგორ წერდა, ან — რატომ, მცდელობა რაღაც მიზეზების დანახვისა, ძალიან საინტერესოა. ასეთ კავშირს მონათესავე სულების კავშირი შეიძლება, დაერქვას.

— გყავთ ასეთი ავტორები, მონათესავე სულები?

— მყავს.

— ვინ არიან?

— ზოგიერთი აკი ჩამოვთვალე. მათ გარდა — რომან გარი, ჰემინგუეი. სხვებიც.

> „წიგნები სამყაროს მიქმნიდა“

— „ავტობიოგრაფია პროფილში“ თქვენი პირველი კრებულია. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდიკაში იბეჭდება ხოლმე თქვენი მოთხრობები, წიგნები არც თუ ხშირად გამოდის. ინტენსიურად მუშაობთ?

— არც იმდენად ინტენსიურად. ხანგრძლივი ამოვარდნა მაქვს ხოლმე. ახლა ვამთავრებ ვრცელ მოთხრობას. დაწყებული მაქვს რომანიც, ოღონდ მისი წერა დროებით შევაჩერე და მთლიანად იმ მოთხრობაზე გადავერთე. პროდუქტიულობით ვერ დავიტრაბახებ, თუმცა ახლა პერსპექტივაში ვხედავ რაღაცებს. ოღონდ, პროზას მეტი შრომა სჭირდება. შრომა და კარგი პირობები. ამას ყველა მწერალი ითხოვს. სამართლიანადაც.

— ბევრს წერთ აფხაზეთზე, მაგრამ თითქმის არასოდეს საუბრობთ ომზე. თუმცა, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ომი არ გაქვთ მოსაგონრად. აფხაზეთს, ლიძავას, იქ გატარებულ ზაფხულებს ბავშვობაც უკავშირდება.

— ომის თემა, მცირე დოზით, იმ მოთხრობაშიც არის, ახლა რომ ვამთავრებ. ისე კი, აფხაზეთზე ბევრი არ დამიწერია. ოღონდ განგებ კი არ ვამბობ უარს, თავს კი არ ვებრძვი, თავისთავად ასე ხდება. უმნიშვნელოვანესი, მძიმე მოგონებაა, ვერ ამოიღებ და ვერ ამოგლიჯავ, ვერც დაივიწყებ. უბრალოდ, თვითონვე ითხოვს გამოხშირვას, თუმცა ძალიან ფაქიზი თემაა და ზუსტი უნდა იყო. საუბარი კი მართლაც მიჭირს — ვცდილობ, არ გავიხსენო. არ მინდა.

ერთს გეტყვით — ლიძავასთან ბევრი მოგონება მაკავშირებს და ერთ-ერთი უკავშირდება წიგნს, „უკანასკნელ მოჰიკანს“. აი, კიდევ რომელ წიგნში ვგრძნობ თავს ძალიან კარგად, გემრიელად ვგრძნობ ჩემ სამყაროს. ბებიაჩემმა რომ გაიგო, არ მქონდა წაკითხული, წავიდა და ლიძავას ბიბლიოთეკიდან გამომიტანა. ჩვენს აივანზე ვკითხულობდი. ეტყობა, საჭირო იყო, იქ წამეკითხა ეს წიგნი.

— გასული საუკუნის 90-იან წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო ჟურნალი „XX საუკუნე“, რომელსაც, წლების მანძილზე, საკუთარი ხარჯებით გამოსცემდა ლაშა თაბუკაშვილი, თქვენ კი ამ ჟურნალის რედაქტორის მოადგილე იყავით.

— ლაშასთან ერთად „XX საუკუნის“ დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ზაალ სამადაშვილს. იმ დროისთვის ეს ჟურნალი ლიტერატურული პროცესების ერთ-ერთი გამაცოცხლებელი ფაქტორი აღმოჩნდა. ამანაც განაპირობა, რომ ყველამ ერთად მოვახერხეთ და ჩვენს გარშემო შემოვიკრიბეთ ვაჟა გიგაშვილი, ბაადურ ბალარჯიშვილი, ზურაბ სამადაშვილი, კოტე ჯანდიერი, ქეთი ნიჟარაძე, მამუკა სალუქვაძე, აკა მორჩილაძე, გაგა ნახუცრიშვილი — ბევრის ჩამოთვლა შეიძლება. სამოცდაათამდე ავტორი თანამშრომლობდა ჩვენთან. ჟურნალის ძველი ნომრები რომ ნახოთ, მიხვდებით, რამდენად ძლიერი ტექსტები იწერებოდა.

იმ დროს, რაღაცნაირად, თითქოს ყველაფერი შეჩერებული იყო, მაგრამ ლიტერატურული ცხოვრება ვითარდებოდა, ძალიან საინტერესო მხატვრული ტექსტები იწერებოდა და გამოიცემოდა, ბევრს მუშაობდნენ. „XX საუკუნე“ მწერლებისთვის ერთგვარი სტიმული, შემწე იყო. ფინანსურ მხარეს არ ვგულისხმობ. მოტივაცია ჰქონდათ. მკითხველისთვისაც ბევრს ნიშნავდა ის გამოცემა. 1994 წელს გამოვიდა პირველი ნომერი. იქ ეწერა, რომ ჟურნალი განკუთვნილია მათთვის, „ვინც შემწეს ეძებს ლიტერატურაში, ვისთვისაც პურივით და წყალივით აუცილებელია წიგნი“.

მოგვიანებით ვცადეთ „XX საუკუნის“ ინგლისურენოვანი ვარიანტი შექმნილიყო. დაიგეგმა და შესრულდა კიდეც. ჟურნალისთვის — „New Century“ — სამოცი ავტორი ითარგმნა, დაწყებული გალაკტიონით, დამთავრებული თანამედროვე მწერლებით. ნომრები ამერიკის შეერთებულ შტატებში იგზავნებოდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხი ნომერი გამოვეცით. ჟურნალი ბატონ გია ჭანტურიასა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მხარდაჭერით გამოდიოდა.

XXI საუკუნეში ოჯახმა ვცადეთ, აღგვედგინა „XX საუკუნე“ და ლიტერატურის მოყვარულებს ჟურნალი „ახალი საუკუნის“ სახელით შევთავაზეთ. მხოლოდ 3 ნომერს დავჯერდით.

— რა დამოკიდებულება გაქვთ მწერლობის მიმართ, როგორ უყურებთ მას, როგორც პროფესიას?

— დამოკიდებულება მუდმივად იცვლება. ერთი ყალიბი, მგონი, არ არსებობს. ერთი სიტყვა რომ დააჭედო და დაარქვა, არ გამოდის. ყოველ შემთხვევაში, მე, ჯერჯერობით, ასე ვარ.

— ბევრს მოგზაურობდით. რამდენად აისახება ეს თქვენს შემოქმედებაზე?

— არა მარტო მე, სხვებსაც რომ ჰკითხოთ, მგონი, გეტყვიან, რომ ყველაზე გემრიელად მოგზაურობაში იწერება, ან — იქიდან დაბრუნებულზე. სტიმულია. რაღაცნაირად, გემრიელად გასაზრდოებს. და საჭიროც არის. ისე მოხდა, რომ ათი წელი ვერსად გავედი, საზღვარი არ გადამიკვეთავს. არადა, აღმა-დაღმა ბოდიალი მიყვარს, პირველსავე შესაძლებლობაზე მივდივარ, წერაში დიდ ინტერვალებს ამასაც ვაბრალებ.

ათი წლის თავზე ნეპალში წავედი. იქ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. წიგნიც დავწერე. მოგზაურობა ძალიან კარგად მოქმედებს ჩემზე — არ მწყენს, ასე ვთქვათ.

— თქვენი ცხოვრება და ტექსტები — ახლოა ისინი ერთმანეთთან? კვეთს ერთმანეთს? არსებობენ ავტორები, რომლებიც მუდამ იმის მეცადინეობაში არიან, ბიოგრაფია და შემოქმედება როგორმე გამიჯნონ.

— მეც მაქვს გამიჯვნის მცდელობა. ბოლო დროს ეს კიდევ უფრო გამოჩნდა, მაგრამ არ უნდა გადაამლაშო, რაღაც შუალედი უნდა იპოვო, თორემ ძალიან ხელოვნური იქნება. თან, რაც უნდა მოინდომო, როგორ პერსონაჟსაც უნდა ათქმევინო, მაინც შენ იქნები, შენი სათქმელი იქნება. მთავარია, როგორ იტყვი, როგორ ააწყობ, რამდენად გეყოფა ოსტატობა.

— წიგნიდან წიგნამდე სად იკარგებით ხოლმე?

— რაღაც-რაღაც ათვლის წერტილები არსებობს წიგნიდან წიგნამდე, მოთხრობიდან მოთხრობამდე, როცა ხვდები, რომ რაც დაწერე, შენთვის ის არის ყველაზე მთავარი, შენი ათვლის წერტილია. შუალედები არის. მგონია, რომ ეს ქვების გადაყრის პერიოდებია, მერე ქვების შეგროვება იწყება.

— საინტერესოა თქვენი აზრი თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაზე, პროცესებზე.

— თანამედროვე ლიტერატურული პროცესების წარმართვას, რასაკვირველია, ბევრი რამ განაპირობებს. უპირველესად — ლიტერატურის შეფასება. ჩვენთან კი, მგონი, ისევ მწერლები თუ კითხულობენ ერთმანეთისას. მკითხველი, სამწუხაროდ, ცოტაა. უკეთესი იქნებოდა, მეტი ყოფილიყო. თუმცა წიგნი ისეთი რამაა, რადგან დაიწერა — დარჩება, იცხოვრებს, წამკითხავს იპოვის აუცილებლად. ლიტერატურაში დღეს საინტერესო ტექსტები იქმნება. მჯერა, რომ კიდევ ბევრი დაიწერება. ისეთი ლიტერატურული ფესვები გვაქვს, სხვანაირად წარმოუდგენელია. საქართველო სწორედ ლიტერატურით შეძლებს სხვების წინაშე წარდგომას.





ესაუბრა თამარ ჟურული

პოეტი

დათო მაღრაძე

დათო მაღრაძეს მწერალთა სახლში შევხვდი. ე ზოში ვისხედით და ყვებოდა საინტერესო ისტორიებს მისი წიგნების „მოგ ზაურობა ზე“ უცხოეთში, იმ გ ზაზე, ევროპელ მკითხველამდე რომ გაიარა. სიმბოლური მეჩვენა შეხვედრა სწორედ მაჩაბლის 13-ში, დავით სარაჯიშვილის ყოფილ სამყოფელში, რომელიც დასავლური კულტურისა და საუკეთესო ქართული ტრადიციების შერწყმის ადგილი იყო ყოველთვის. ასე მგონია, დათო მაღრაძე თავის თავში სწორედ ამ შინაარსს ატარებს და, ალბათ, ამიტომაცაა მისი ლექსები ერთნაირად გასაგები როგორც ქართველი, ისე ევროპელი მკითხველისთვის.

— არც თუ დიდი ხნის წინათ იტალიის სახელმწიფო პრემია მოგენიჭათ. ადვილი არ არის, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ქვეყანაში მკითხველმა, გამომცემლებმა, ლიტერატორებმა, წიგნის მოყვარულმა საზოგადოებამ ასე მიიღოს უცხოელი ავტორი, დაინტერესდეს მისი შემოქმედებით, თარგმნოს ტექსტები და შემდეგ სახელმწიფო პრემია მიანიჭოს მას. მით უფრო, რომ ქართველი მწერლები ევროპელი მკითხველისგან ყურადღებითა და სიყვარულით განებივრებულნი არ არიან. ამიტომ საინტერესოა, რა შემოქმედებითი კავშირები, რა გამოცემები უძღოდა წინ ამ ჯილდოს, ან საიდან დაიწყო ეს ყველაფერი.

— ამ ჯილდოს ბევრი რამ უძღოდა წინ. პირველად ჩემი წიგნი „SALVE“ ბერლინში, გამომცემლობა „ფრილინგმა“ გამოსცა. ცოტა ხანში კი ნუნუ გელაძემ, ჩემმა მეგობარმა და შესანიშნავმა ლიტერატორმა, პროფესორ ამელია ბელორასთან ერთად, იგივე კრებული იტალიურად თარგმნა. წიგნი მალევე გამოიცა გენუაში. პრეზენტაცია კი გაიმართა რომში, გრიგორიანას უნივერსიტეტში, ვატიკანის დარბაზში. წიგნის წარდგენა ქეთევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, რაიმონდო ორსინის, ასევე იტალიაში საქართველოს მაშინდელი ელჩის, ზაზა გოქსაძის დიდი მოწადინებითა და პატრონაჟით განხორციელდა. მოიწვიეს ლიტერატორები, გამომცემლები, მათ შორის ის ხალხი, რომელმაც სწორედ მათ გამო დამდო პატივი და მობრძანდა. „SALVE“-ს პრეზენტაცია, მოგვიანებით, გენუაშიც გაიმართა. ასე დაიწყო.

შემდეგ გამოიცა მეორე წიგნი, „ნაფეხურები წყალზე“. ეს კრებული, ისე როგორც ყველა დანარჩენი, ნუნუ გელაძემ ლიტერატორ მარიენცა კორაჩისთან ერთად თარგმნა. თავდაპირველად ლექსებს კრებულიდან ბეჭდავდა ჟურნალი „ილ საჯიო“. მოგვიანებით ჟურნალის რედაქციამ მოისურვა, გამოეცა წიგნიც. ამას მოჰყვა რამდენიმე პრეზენტაცია, რომელიც ახალგაზრდა იტალიელმა ლიტერატორებმა ითავეს და დიდი გულმოდგინებით მომზადებული წარდგენები გამართეს.

— განსაკუთრებული ინტერესი მაინც თქვენმა „ჯაკომო პონტიმ“ გამოიწვია. თუ არ ვცდები, წიგნი მილანის რეგიონში „ჯულიანო ლადოლფის გამომცემლობამ“ დასტამბა და მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იტალიაში. საინტერესო რეცენზიები დაიბეჭდა იქაურ ლიტერატურულ პერიოდიკაში. იმ წერილებიდან რამდენიმე ითარგმნა კიდეც და ქართველი მკითხველი მას „ლიტერატურული გაზეთისა“ და „ჩვენი მწერლობის“ საშუალებით გაეცნო.

— ქართულ პერიოდულ გამოცემებში არა მხოლოდ უცხოური გამოხმაურებები გამოქვეყნდა. „ჯაკომო პონტის“ ძალიან საინტერესო წერილები მიუძღვნეს ჩემმა მეგობრებმა, თემურ ქორიძემ და ზაზა მრელაშვილმა. წიგნის მილანურ გამოცემას კი, ისევე როგორც სულ ახლახან პეტერბურგში, გამომცემლობა „ვიტა ნოვას“ მიერ დაბეჭდილ რუსულ თარგმანს, ზაზა შათირიშვილის შესანიშნავი წინასიტყვაობა უძღოდა წინ. ის წერილებიცა და წინასიტყვაობაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— პრეზენტაციებმა, ლიტერატორთა, კრიტიკოსთა გამოხმაურებამ ალბათ დააჩქარა წიგნის მისვლა მკითხველამდე, ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას. „ჯაკომო პონტის“ წარმატების დასტურია ალბათ ისიც, რომ ის დღეს იტალიის ერთ-ერთი ცნობილი სასწავლებელის, დონბასკოს სასწავლო პროგრამაშია შეტანილი. სხვადასხვა დროს არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოც გადმოგეცათ.



— დიახ, შვეიცარიაში არის ასეთი საზოგადოება, „უნივერსუმი“, რომელიც წელიწადში ერთხელ მართავს საერთაშორისო ლიტერატურულ კონკურსს. დაჯილდოვება, ტრადიციულად, ლუგანოს უნივერსიტეტში იმართება. „ჯაკომო პონტისთვის“ გადმომეცა მთავარი პრიზი — რომის პაპის მედალი. ამ ჯილდოს ისინი ყოველ წელს არ გასცემენ. როგორც ჟიურიმ აღნიშნა, მედალი განსაკუთრებულ შემთხვევებში გაიცემა. იტალიელებს თანამედროვე ეპოქის სულიერების ნიშანსვეტად იოანე პავლე მეორე მიაჩნიათ, მედალს ასეც აწერია: „იოანე პავლე მეორესგან“.

კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი მოხდა: ვერონაში „ჯაკომო პონტის“ პრეზენტაციას ესწრებოდა იუნესკოსთან არსებული პოეზიის მსოფლიო აკადემიის პრეზიდენტი ნადირ აზიზი — ფრანგი ინტელექტუალი აფრიკული ფესვებით. სიტყვა მოითხოვა და ძალიან საინტერესოდ ისაუბრა წიგნზე. ბოლოს კი, იმ სტილში, როგორც პოემაშია — „ჩემი თანამუმამულეების იმეილები: patriot-patetikum@ yahoo. com და gaylibert-progress@yahoo.com და წინა ორი თავის შეჯამება: არც ერთი იყო პატრიოტი და არც მეორე ლიბერალი...“ — თქვა: „www. დათო მაღრაძეს ვეპატიჟები აკადემიაში @yahoo.com“. მართლაც, მომდევნო ჩამოსვლაზე პოეზიის მსოფლიო აკადემიის წევრობის სიგელი გადმომცა.

ჩემთვის პატივი იყო, ასევე, როცა პარმა პიაჩენცას ბურბონების სამეფო კარის მეთაურმა, ჰუგო კარლოსმა, გადმომცა წმინდა გიორგის ორდენი კავალიერეს პირველი ხარისხის ტიტულით.

— ამ ყველაფერს, შემდეგ, სახელმწიფო პრემია მოჰყვა.

— სახელმწიფო პრემია გადმომეცა კალაბრიაში, ქალაქ სქილეში. დაჯილდოვების ცერემონია შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში გაიმართა. ცნობილი ლიტერატორები ესწრებოდნენ, ძალიან საინტერესო რეცენზიები წაიკითხეს, საღღეგრძელოებივით სიტყვები იქ არ უთქვამთ. ის რეცენზიები შემდეგ იტალიურ პერიოდიკაშიც დაიბეჭდა. სამწუხაროდ, ქართულად თარგმნილი ჯერ არ არის.

— თქვენი კრებულები, განსაკუთრებით „ჯაკომო პონტი“, რამდენიმე ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

— „ჯაკომო პონტი“ სხვადასხვა დროს გამოიცა ინგლისში, თურქეთში. როგორც გითხარით, ცოტა ხნის წინ რუსულადაც ითარგმნა და პეტერბურგულმა გამოცემამ „ვიტა ნოვამ“ დასტამბა. მანამდე „SALVE“ გამოვიდა სტამბოლში, კრებული „შენთვის“ — შეერთებულ შტატებში. ახლახან კი იტალიაში გამოიცა ჩემი მეოთხე წიგნი „ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან“. ეს კრებულიც ნუნუ გელაძემ და მაირენცა კორაჩიმ თარგმნეს.

ზოგადად, მთელ იმ გზას, პირველი კრებულის თარგმნიდან იტალიის სახელმწიფო პრემიამდე, იღბალიც სდევდა თან. პრეზენტაციები იმართებოდა რომში — ვატიკანის სასახლეში, გენუაში — დოჯების სასახლეში, ფლორენციაში — მედიჩების სასახლეში, ასევე უნივერსიტეტებში და სხვაგან.

გამომცემლები ზრუნავენ, პრეზენტაციებს შთამბეჭდავი სახე მისცენ, მოიწვიონ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, მათ შორის — ლიტერატორები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები და წარდგინება განსაკუთრებულ ადგილებში გამართონ — მაგალითად, ლონდონური გამოცემის პრეზენტაცია კემბრიჯისა და ოქსფორდის კლუბში შედგა, ამერიკული „შენთვის“ მანჰეტენზე წარადგინეს. ისინი მიიჩნევენ, რომ წარდგინებები, დაჯილდოებები თუ გამოხმაურებები პრესაში მეტად უწყობს ხელს წიგნის შემდგომ პოპულარიზაციას და გაყიდვების თვალსაზრისით უფრო გამართლებულია, ვიდრე ახალი გამოცემების პირდაპირ წიგნის მაღაზიების თაროებზე განთავსება.

— ნობელის პრემიაზე იყავით ნომინირებული. ამ თემაზე თითქმის არასოდეს ლაპარაკობთ, თუმცა ისეთი ლიტერატურული პრემიისთვის, როგორიც ნობელია, ნომინანტობაც ძალიან ბევრს ნიშნავს და ადამიანები, ვინც ერთხელ წარადგინეს ამ პრემიაზე და ნობელის კომიტეტის მიერაც ნომინანტებად იყვნენ დასახელებულნი, სიცოცხლის ბოლომდე მოიხსენიებიან ამ სტატუსით.

— საერთაშორისო ლიტერატურულ ღონისძიებებზე მეც არაერთხელ შევსწრებივარ ამგვარ ოფიციალურ წარდგინებას — „ნობელის პრემიის ნომინანტი“.

არ მინდა, ნობელის თემაზე ბევრი ვილაპარაკო, ერთს ვიტყვი მხოლოდ — დონბასკოს სასწავლებელში მიმიწვიეს და ძალიან საინტერესო შეხვედრა გამიმართეს სტუდენტებმა. იქ ჩემი წიგნის გამომცემელი, ჯულიანო ლადოლფი, „ჯაკომო პონტის“ ნაწყვეტებს კითხულობდა და როცა ერთ-ერთი თავი „დიალოგი სავანეში“ დაიწყო, ხმა გაებზარა, გაჩერდა, კითხვა აღარ გააგრძელა, მხოლოდ მითხრა: „ეს უფრო მეტია, ვიდრე ნობელის პრემია“. იმიტომ მოვყევი, რომ მეთქვა, რა არის ჩემთვის უფრო ფასეული. ქუჩაში ბავშვი რომ მოვა და ავტოგრაფს გთხოვს, ამაზე მეტი ჯილდო შენს სამშობლოში რა უნდა იყოს?! არაფერი.

ერთი ამბავიც გამახსენდა. ფლორენციაში, „პალაცო მედიჩიში“, ერთ-ერთი წიგნის პრეზენტაცია მქონდა. გამომცემელი სიტყვით რომ გამოდიოდა, სრულიად მოულოდნელად, დარბაზში შემოვიდნენ ქართველი ბავშვები. მომღერალთა გუნდი იყო. დადგნენ, საეკლესიო „მრავალჟამიერი“ იმღერეს და წავიდნენ. ამან საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა იქ შეკრებილ საზოგადოებაზე და, ბუნებრივია, ჩემზეც. მაშინ გამომცემელმა თქვა: „იქ რაღაც გადარჩა“, მან საქართველო იგულისხმა. ვფიქრობ, აქ მართლაც რაღაც გადარჩა.

— ამგვარი პასუხის მიუხედავად, მაინც ჯილდოებზე გკითხავთ. საქართველოში რომელი ლიტერატურული ჯილდო გაქვთ მიღებული?

— მიღებული მაქვს სახელმწიფო პრემია. ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ხალხი იყო მაშინ კომისიაში, მათ შორის — ვახტანგ დავითაია, ზურაბ ნიჟარაძე, ბიძინა კვერნაძე, კომისიას კი ტარიელ ჭანტურია თავმჯდომარეობდა. მოკრძალებული მადლობა მინდა ვუთხრა მათ. არანაკლებ სასიამოვნოა ჩემთვის პრემია „საგურამოს“ ლაურეატობაც. წლების წინ კი, შესანიშნავი პერიოდული ლიტერატურული გამოცემისგან „კავკასიონი“, რომელიც სამწუხაროდ, აღარ გამოდის, გადმომეცა პრემია წლის საუკეთესო ლექსისთვის.

— ხშირად მოგზაურობთ საზღვარგარეთ — ლიტერატურულ საზოგადოებასთან, საგამომცემლო სფეროს წარმომადგენლებთან გაქვთ ურთიერთობა. საინტერესოა, რამდენად იცნობენ ევროპელები ქართულ კულტურას, მწერლობას.

— ერთგან ვთქვი და გავიმეორებ, რომ ჩვენმა წინაპრებმა ღვთაებრივ სამყაროში კი გაგვიკვალეს გზა, მაგრამ ბედის უკულმართობის გამო, ამ სამყაროში ჩვენი კულტურის პოპულარიზაცია ვერ შედგა. ყველა რაღაცას ვისაკლისებთ, ხომ? ვგრძნობთ, რომ ქართული სულიერების ისტორია მეტ ყურადღებას იმსახურებდა მსოფლიოსგან. უცხოეთში წასულს გალაკტიონ ტაბიძის სახელი, ვაჟა-ფშაველას სახელი თუ გურამიშვილისა ისე არ გხვდება, როგორც, ვთქვათ, ბაირონის, პუშკინის, შილერის ან გოეთესი. თუმცა, ამას წინათ, უმბერტო ეკოს წერილი წავიკითხე — დაახლოებით ასე ამბობდა, აღმოსავლეთი მეტად იცნობს დასავლეთს, ვიდრე ჩვენ, დასავლელები ვიცნობთ აღმოსავლეთსო. მაგალითისთვის, „ვეფხისტყაოსანი“ მოჰყავდა,— შეიძლება დასავლელმა ამ პოემის შესახებაც კი არ იცოდეს და იკითხოსო, „ვინ არის შოთა რუსთაველი?“ გულისხმობდა, რომ წესით, ამ რანგის ნაწარმოების მიმართ ევროპელს კითხვა არ უნდა უჩნდებოდეს. არ ვიცი, თუ თანამედროვეებმა ვივარგეთ, იქნებ ჩვენი ღვთაებრივი წინაპრების გენიალურობა უფრო მეტად დაიჯერონ. მხოლოდ მწერლობას კი არა, ზოგადად, ჩვენი კულტურის ისტორიას ვგულისხმობ.

— ალბათ, იგივე ითქმის ახალგაზრდა ავტორებზეც.

— ჩემი აზრით, აქ სანერვიულო არაფერია. ხანდახან მიფიქრია, ამდენ ქვეყანაში გამოვცემ წიგნებს, ნიკოლოზ ბარათაშვილს კი საკუთარ სამშობლოში ერთი ლექსიც არ დაუბეჭდავს-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ეს ფუჭი განცდებია. მას ისეთი გადამწერები ჰყავდა, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების, მაიკო ორბელიანის სახით, რომ უფრო მეტი საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო პოეტისთვის. ამიტომ სანერვიულო არაფერია, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს. როგორც „ვეფხისტყაოსანმა“, ამდენი საუკუნის შემდეგ, უმბერტო ეკო, თანამდროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალი აალაპარაკა, ადრე თუ გვიან ყველა დიდებულ ნაწარმოებს ასევე გაიცნობენ.



თოლია

დათო მაღრაძე

მიფრინავს თოლია, ნისლებში მიფრინავს...
მოფრინავს განწყობა წვიმის და ქოლგების,
თუ ქარის ნაკადმა მოსტაცა აფრა ნავს
და აფრა მიფრინავს
და ვექომაგები.
მიფრინავს, მიფრინავს, ბოსფორზე მიფრინავს,
პოეტის ოცნებას ეთავშესაფრება,
მიფრინავს ნისლებში ამ ლექსის რეფრენი,
ჯინაზე ანძებზე დაბმული აფრების.
დუღს ოქროს ბაზარი, რის ფასის დაკლება...
იზნიქის ფარდულში სურნელი ზაფრანის,
ჩაი და დოინჯი, საწყალი ნაკლებად
და უფრო მეტწილად —
სულ უფრო უფრონი.
ნაპირზე ფულს ითვლის ბოსფორის ოღრაში,
პუტანებს უხმობენ სარფი და სუფრანი,
ის მისდევს ცის კიდეს,
როგორც რომ ქორალში
ძლიერი ფილტვებით ნათქვამი სოპრანო.
სივრცეს არ უთანხმებს ნატოს და პენტაგონს,
მიფრინავს და ახსოვს იღბალი მონათა,
ხანდახან იხსენებს საკუთარ პედაგოგს
ლოცვებში, სახელად —
ლივინგსტონს ჯონათანს.
ხან მზეა ბოსფორზე,
ნაპირზე მოლია...
და მოლზე განცხრომით ოჯახი ჩაის სვამს,
და მზით და
ჩაით და
ოჯახით
თოლია
ამ სრუტეს ქათქათა უბეში ჩაისვამს.
არც სანვავს მოიხმარს, არც კონტროლს ანგარის,
მიფრინავს ზეცაზე წერილი საფოსტო,
გაჰყავს პოეტისთვის ღრუბლებში სანგარი
და წყალზე სიარულს ასწავლის აპოსტოლს.
და ევრო-აზიის მუდმივი რეისით
იდუმალ ხატებას ანიჭებს უჟმურ დარს,
დაყრილ ჭორს აკენკავს ბეილერბეიში,
დახედავს ბებეკს და
გახედავს უშკუდარს.
ძველი საბერძნეთი... ოსტატი აპოლონს
თეთრ ქვაში უგზავნის მომავალ თაობას,
შეხვდა გამოწვევას კონსტანტინოპოლი
და მერე ხავსიან ლოდებში დაობდა.

და ამ ცისქვეშეთში
და ამ ფრთისქვეშეთში
მძვინვარებს ინცესტი, ორალი ანალით,
ეპოქამ წაიღო ჯვარი და მეჩეთი
და მრევლმა შეუწყო
ხმა ფსიქოანალიზს.
მარში LGBT-ის... თავიდან გამაო —
ცა, როცა მიბაძა მარკიზმა მარკიზას,
— ქვა იმან ესროლეთ!.. —
გვახსოვდეს, მამაო,
წაღმა მოახმაროთ,
ან სულაც ფაქიზად.
წარბშეკრულ მუქარას დააცვდა კბილები,
ცბიერი აზია რას ამბობს, რო, რაო?...
ევროპა განცხრომით
და განწყობილებით
ფსიქოთერაპევტის დივანზე გორაობს.
და ნერვი პოეტის... სიტყვასთან შეხება...
მსგავსად მოაჯირის მთრთოლვარე ანკესის,
უცდის იდუმალი სარკმელის შეღებას
გემების ტალღებით დაბზარულ სარკეში.
— თუ გახსოვს, მკითხველო, ბოსფორზე ფამუქი
თოლიის სიკვდილით
წამოშლილ ტაოს კლავს,
მე მაშინ ნისკარტთან, არაფერს ვამუქებ,
სარკე მივუდგი და
მან სარკე დაორთქლა.
ეს ფამუქს ჰგონია, რომ მოკლა თოლია,
აღწერა სიკვდილი და გახდა მწერალი...
მწერლები ეპოქამ თან წაიყოლია
და დარჩა თოლია, —
მწერლობის მწვერვალი.
თოლია, არსობის პურია, პერიო —
დულად თვალს ადევნებს მშობლიურ ალაგებს
ვით ემსახურება ახალ იმპერიას —
წმინდა ფეისბუქგრადს
ცელქი მოქალაქე.
...და ბრძანა მან:
— მამული!
— რწმენა და...
— ენა და...
და რომ ეს ქვეყანა ღვთისმშობლის წილია,
და შერჩა ემიგრანტს ძირძველი ელადა
ტრიადით:
— ქართველი!

— ხინკალი!
— ილია!
და როგორც თავადის ბრძანება: — ñàáëþ!
ასევე გავძახი: — კალამი, ჰეი, ჰე!
საიტი: დაბლიუ დაბლიუ დაბლიუ.
ბოსფორი. თოლია. წერტილი. yahoo.
მიფრინავს თოლია... ნაპირზე ოლივი...
— სალამი, წრფელობას!
— კეკლუც სტროფს, — უარი!
და მომდევს თოლია მაშველი რგოლივით,
როგორც სამანქანე ტრასას ტროტუარი.
კვალში მდევს საწუთრო და მშველის ირაო,
სიკვდილს გამოვტაცე სიცოცხლის არშინი,
ჩავლილ ბავშვობაში ერთ ოთახს ვქირაობ
და ზღვასთან შეხვედრა
მახარებს ბავშვივით.
დე, ნუ დავიმარხო მე ჩემსა მამულში
და ჩემთა წინაპართ შორის საფლავების,
თოლიის გუნდებად აფრები ავუშვი
და ნავზე იალქნის სანაცვლოდ გავები.
და ფრთები... და ფრთები... წყალობა, ან თუა
სასჯელი, ესეც ხომ წყალობის ტოლია...
და შერჩა ამ ზეცას პილოტი — ანტუან
დე სენტ ეგზიუპერი —
უკვდავი თოლია.
და ერთხელ განგებამ თუ ინებოს ფორი —
აქიდან შენამდე მოფრენა გავბედო...
— ეს მე ვარ, უფალო,
ნისლებში ბოსფორის,
და მომყავს მე ჩემი ერთგული საბედო.

ლიტერატურა ხომ ძალიან ციცაბო გზაა. კულტურის ისტორიის მანძილზე ცოტას შეუქმნია ჭეშმარიტი ხელოვნება, ლიტერატურა. ერთეულებია მარადისობასთან წილნაყარი. ძირითადად, ლიტერატურის ისტორია ამგვარია — ეპოქები და ტენდენციები ცვლის ერთმანეთს. ზოგიერთი მოდერნისტია, ზოგიც პოსტმოდერნისტი და ასე შემდეგ, მათ ლიტერატორები მიუჩენენ ხოლმე ადგილს. თუმცა არის მოდა და ადამიანებს სურთ, არ ჩამორჩნენ. ამას პერიფერიული სინდრომიც ემატება — გაქვს განცდა, რომ მოწყვეტილი ხარ ეპიცენტრს, ცივილიზაციას და გიჩნდება სურვილი, ყველაზე მეტად თანამედროვე გახდე. არადა ხელოვნება პიერ კარდენის პოდიუმი არ არის, შენი ლექსები რომ ჩაატარო. ყველაფერი მთავარია: განზრახვა, თვალსანიერი, განცდის სიმძაფრე, წრფელობა, და კიდევ — რას წერ, როგორ წერ.

— რამდენიმე თვეა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამოჩნდით საავტორო გადაცემით „შეხვედრები მწერალთა სახლში“. ბევრი ადამიანი ვიცი, შაბათ საღამოს რომ ელოდება და არც ერთ „შეხვედრას“ არ ტოვებს. თქვენი რესპონდენტები სხვადასხვა პროფესიის ხალხია. თუმცა მწერალი ჯერ არ მიგიწვევიათ. როგორ არჩევთ რესპონდენტს?

— როცა გაზეთ „24 საათის“ დამატებას, „დედაქალაქს“ ვრედაქტორობდი, ვაქვეყნებდი ხოლმე „საუბრებს” სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებთან. მოგვიანებით „საუბრები“ წიგნადაც გამოვეცი, რადგან ვიფიქრე, წლების შემდეგ საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებამეთქი, ვინ რას ფიქრობდა საჭირბოროტო თემებზე, ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ამა თუ იმ საკითხის მიმართ. „შეხვედრები“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე, „იმ საუბრების“ ერთგვარი გაგრძელებაა.

რაც შეეხება რესპონდენტებს, მწერლის მწერალთან დიალოგი, ალბათ, იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც მწერლისა — დანარჩენ სამყაროსთან. მინდოდა წარმომეჩინა სხვა ურთიერთობები, მრავალფეროვანი თემატიკა და მესაუბრა კომპეტენტურ ადამიანებთან, მათთან, ვინც საინტერესოა ჩემთვის ორიგინალური აზროვნებით, სიმართლით, ან გაუტეხლობით და აუცილებლად — ამა თუ იმ საკითხში კომპეტენციით.

— შარშან ჩვენს გაზეთში განვახორციელეთ ერთი პროექტი. „ანკეტა“ ერქვა. მწერლებს ორ კითხვაზე უნდა ეპასუხათ: „რას ნიშნავს თქვენთვის მაჩაბლის 13“ და „როგორ წამოგიდგენიათ ამ სახლის მომავალი“. მაშინ მონაწილეობა არ მიგიღიათ, იქნებ ახლა გვიპასუხოთ.

— მაჩაბლის სახლი პატარაობიდან მახსოვს. აქ ძალზე პატივსაცემი ხალხი მუშაობდა. მახსოვს ჩემი მოკრძალება მათ მიმართ. ადრე აქ განთავსებული იყო „მწერალთა კავშირი“, ორგანიზაცია, რომლიც წევრიც გახლდით და ძალიან გამიხარდა კიდეც, როცა ღირსად ჩამთვალეს და მიმიღეს. მაგრამ ყველა ეპოქას თავისი ცხოვრების წესი აქვს. გავიდა დრო და საზოგადოება გათავისუფლდა მითითებებისგან, დაიწყო ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრება, შეიძლება — მძიმედ, მტკივნეულად, მაგრამ საბოლოო ჯამში, ნებისმიერი მძიმე სიტუაციიდან სასარგებლოც გამოდნება ხოლმე. მთავარია, ეცადო, რომ ადამიანებს ნაკლებად ატკინო გული. მწერალთა კავშირიც დაიქსაქსა, ზოგმა ახალი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, ზოგიც მარტო გაუყვა ცხოვრების გზას. ერთი სიტყვით, ნორმალური პროცესი დაიწყო. დღეს მაჩაბლის 13-ში მწერალთა სახლია, ის მუდამ ღიაა შემოქმედი ადამიანებისთვის და ამ თვალსაზრისით, სარაჯიშვილის სახლის ტრადიციას აგრძელებს, აქაურობას ხომ ოდითგანვე ბრწყინვალე საზოგადოება სტუმრობდა. საერთოდ, მე ტრადიცია მიყვარს, ტრადიციის უწყვეტობაში ვხედავ კულტურას, ამიტომ ამ სახლის თანამედროვე ცხოვრება მომწონს. ჩემი აზრით, მართებულია, რომ აქ მოსულ ადამიანებს ერთი რომელიმე ორგანიზაცია კი არ მასპინძლობს, არამედ — ქართული სახელმწიფო.

კარგია, რომ „ლიტერატურული გაზეთიც“ ამ შენობაში დამკვიდრდა.

— რამდენად ადევნებთ თვალს ჩვენს ლიტერატურულ პროცესებს?

— პროცესი ალბათ უფრო ზოგადი ცნებაა, მასში იგულისხმება თარგმანება, ქართული კულტურის პოპულარიზაციისკენ სვლა. რაც შეეხება მწერლობას, მგონია, რომ ოთარ ჭილაძისეული „გზაზე ერთ კაცი მიდიოდა“-სი არ იყოს, ლიტერატურაც ერთი კაცის გასავლელი გზაა, გუნდურობა შემოქმედებაში ვერ წარმომიდგენია. მთავარია, დაიწეროს ისეთი ტექსტები, მკითხველს რომ დაინტერესებს, ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ საკუთარი აზრების უეჭველობით დავსნეულდებით. მწერლების უმეტესობა საკუთარი უნიჭობით არის გატაცებული. თუ წერ ყველასთვის, ერთისთვისაც ვერ გახდები საინტერესო, მაგრამ თუ ერთი ადამიანისთვის წერ, შესაძლოა, პირიქით მოხდეს. ზოგადად, სიყვარული ერთი ადამიანის დამოკიდებულებაა მეორეს მიმართ, ხოლო საკუთარი თავის მიმართ სიყვარული თვითდამტვერვას განაპირობებს და უნაყოფოა. ხელოვნება კი, ჩემის აზრით, იქ იბადება, სადაც სხვა გიყვარს. არა მგონია, ხელოვნება დედალი ხალხის, ნარცისი ხალხის საქმე იყოს. თუ მოახერხე და არ დაავადდი საკუთარი თავით, გადარჩები.

— 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო სტუმრის სტატუსით უნდა წარდგეს. თქვენ ალბათ ერთ-ერთი ხართ, ვისაც ძალიან კარგად ესმის, რამხელა შესაძლებლობა ეძლევა ქართულ მწერლობასა და ზოგადად, კულტურას, მიიპყროს მსოფლიოს ყურადღება და ღირსეულად წარმოადგინოს თავი.

— ძალიან კარგია, რომ 2018 წელს ფრანკფუტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო მთავარი სტუმარი ქვეყნის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას. ვფიქრობ, რომ იქ ჩვენ მხოლოდ თანამედროვე მწერლობით არ უნდა შემოვიფარგლოთ, არავითარ შემთხვევაში. გვეძლევა შანსი, მსოფლიოს ვუამბოთ მთელი ჩვენი სულიერი თავგადასავალი, მოყოლებული ატენის სიონის კედლის პირველი წარწერიდან, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ — დღემდე. ალბათ ჩემზე კომპეტენტური ხალხი იმსჯელებს, თუ რა სახით შეიძლება წარმოვაჩინოთ ჩვენი მწერლობა, სულიერება, კულტურა და ამას შევძლებთ. უკვალოდ არ გაქრება ეს ისტორია, ეს ამდენი საუკუნე, ამდენი შრომა, ამდენი ოცნება, ამდენი ტკივილი, ამდენი დღესასწაული, რომელიც ასე აირეკლა ხატწერაში, კედლის მხატვრობაში, ხუროთმოძღვრებაში, ლექსში, ხალხურ მოტივებში, კახურ „ზამთარში“, „შენ ხარ ვენახში“ და რა ვიცი, ყველაფერში, რაც მუდმივად ჩვენ თვალწინ და გარშემოა.

ესაუბრა თამარ ჟურული



მარიკა მამალაძე

სასწაული

რატომღაც ფეხი გამეკვანძა სრულიად უადგილო დროსა და ადგილას, არადა, საჭესთან ასე აქამდე არასდროს მომსვლია. მემართებოდა ლოგინში, ძილში, ზღვაში, აუზში. კალცის ნაკლებობა გაქვსო, ასე მეუბნებოდა ნენე, ბევრ ყავას ნუ სვამო. ნენე ჩემი ძველი მეგობარია, ჯერ სკოლელები და მერე კურსელებიც ვიყავით. მეც ვსვამდი ყავას რძით და მეგონა, ვანეიტრალებდი, თუმცა ტყუილი იყო, რა თქმა უნდა... დაღმართი იყო, ძალიან ჩქარა არ მივდიოდი. მუხრუჭის პედალს ვაჭერდი და ვერ დავაჭირე, ფეხი ვერ დავიმორჩილე. თუმცა პრობლემა ეს კი არ აღმოჩნდა, არამედ ის, რომ რატომღაც მარცხნივ მოვუხვიე. მარცხნივ უფსკრული იყო — მარჯვნივ უნდა ამეღო. მარჯვნივ იყო ქუჩა. ქუჩა სახლებით.

მანქანამ დამცავი ჯებირი გაანგრია. წამებში მოხდა. მთავრდებოდა. დასასრულის განცდა ადრეც ბევრჯერ მქონია და როცა ამას ვგრძნობდი, ერთადერთი, რასაც ვნატრობდი იყო ის, რომ ვყოფილიყავი მოხუცი და ყველაფერი ჩავლილი, განცდილი ყოფილიყო. არ ვიცოდი, რა მექნა ჩემი უაზრო ცხოვრებისთვის. მთავრდებოდა, ოღონდ მართლა, სიბერის და ლოდინის გარეშე. რამდენიმე წამში და დაღმართში. დიდ უფსკრულში. არ მინდოდა, დამენახა ვარდნა და თვალი დავხუჭე, გვერდით ის მეჯდა. ყვიროდა ჩემს სახელს. უფრო სწორედ, ერთხელ თქვა და იმის მერე არაფერი უთქვამს, მგონი. თვალდახუჭულს მეჩვენებოდა, რომ საკუთარ ვარდნას გვერდიდან ვხედავდი. ვხედავდი კლდეს და გვერდზე მჯდომის გაღებულ კარს. ინსტიქტურად გააღო. თვალი უფრო მაგრად დავხუჭე და მომაფიქრდა გამოსავალი:

— ახლა მოვკვდები. — გავიფიქრე და მოვემზადე. — ახლა ვნახავ, როგორია სიკვდილი. ორი სიკვდილი ერთად. მისი და ჩემი. ტკივილი, მსხვრევა გადამავიწყდა. ეს ორი რამ გამომრჩა და დამრჩა მხოლოდ სიბნელე და მოლოდინი. მზადყოფნა მოლოდინში. სიბნელე იყო უძრავი და არაფრისმთქმელი. მაინც არ ვახელდი თვალს. წესით მანქანა ცხვირით უნდა დასკდომოდა და მე თავი უნდა მიმერტყა საქარე მინისთვის.

თავს ვერ ვგრძნობდი, ვერც დარტყმას. ალბათ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერ გავიგე. ვგრძნობდი სიკვდილს. არაფრით განსხვავდებოდა სიცოცხლისგან... როცა თვალს ხუჭავ და იძინებ... მივხვდი, რომ სიკვდილიც არსებობდა და მე ვარსებობდი სიკვდილში. მომეწონა რაღაცნაირად. გამიხარდა თუ რაღაც ამდაგვარი. რა დავარქვა ამ შეგრძნებას, არ ვიცი. ვიყავი არაფერი და არაფერში. ის ფაქტი, რომ მე ამას ვგრძნობდი, ვაზროვნებდი, ვაანალიზებდი, მომწონდა.

— აჰა, სულ ეს ყოფილა, არადა, რამდენს ვფიქრობდი, როგორ მეშინოდა — გავიფიქრე. ვიგრძენი, რომ ის არსებობდა და მარტო არ ვიყავი. მარტო და უპატრონოდ. ლიფტში მარტო დარჩენისაც კი მეშინოდა, თუ შუქი ქრებოდა, მითუმეტეს... კლაუსტროფობია მაწუხებდა. სიმაღლეებიც მაშინებდა. ახლა კი სიბნელეში მყოფს გამიქრა ჩაკეტილი სივრცის შიში და არც ის მადარდებდა, რა სიმაღლეზე ვიყავი. უადგილო იყო, უსიმაღლო და უსივრცო. ვარსებობდი — ეს იყო მთავარი. რახან სიკვდილის შემდეგ ვარსებობდი, ღმერთიც არსებობდა ჩემთან ერთად. არ ვეძებდი შინაარსს და მოვლენების განვითარებას. რაც იყო, იყო და არაფერს ქონდა ახლა ამაზე დიდი აზრი — მე და სიკვდილი ორივე ერთად ვარსებობდით.

თვალი რომ გავახილე, დავინახე დიდი სარკე. ბინდი იყო და სარკმლიდან შემოსული ნაცრისფერი შუქი ოდნავ ანათებდა ოთახს. ალბათ თენდებოდა. ჩემს ოთახს გავდა. გავდა კი არა, ჩემს ოთახში ვიყავი. კარი გაიღო და ვინც თავი შემოყო, ასე თქვა ჩემზე — გაიღვიძაო. კარს უკან ვიღაცების ხმა გავიგე. კარი ოდნავ ღია დატოვა და მომიახლოვდა. თვალი მოვჭუტე და ხელი მარცხნივ, კომოდისკენ გავწიე, სათვალეს ვეძებდი. სათვალე მჭირდებოდა, ვერ ვარჩევდი, ვინ მიახლოვდებოდა, არადა, ხმა აშკარად მეცნობოდა. ვერ ვიპოვე. მიხვდა და შუქის ასანთებად მიბრუნდა უკან.

— არ აანთო, თავი მტკივა და... არ შემიძლია ეს შუქი.

— როგორც გინდა. — მითხრა. სევდიანი ხმა ქონდა. ტრაგედიის სუნი მცემდა.

— ნენე სადაა? რა ხდება, რატომაა ამდენი ხალხი? — ვიკითხე და წამოჯდომა ვცადე. სხეული მტკიოდა.

— ადექი, ადექი, გამოდი. — ვიცანი, კაო იყო. ჩვენი კურსელი.

ავდექი, გასვლა დავაპირე. შემაჩერა. ტრუსების ამარა ვიყავი. მაიკა გადავიცვი. მისაღებში ლამფა ენთო. ბევრი ხალხი იყო, სათვალე ისევ არ მეკეთა და ვერ ვარჩევდი მათ. თავი მტკიოდა და ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა. ვიღაცამ რაღაც მომაცვა და ტახტზე დამსვეს.

— რა ხდება, ვინმე მოკვდა კიდევ? — ვიკითხე და პასუხს დაველოდე.

— ნენე იპოვნეს, პროზექტურაშია. გვეგონა, არ იცოდი. — თქვა რომელიღაცამ. მძღოლს ვერ პოულობენ. შენი მანქანით მოხდა...

ხელი გავიწოდე, ვიღაცამ სიგარეტი მომცა და მომიკიდა.

— ნენე ჩემთან ერთად იყო. — ვთქვი და გამახსენდა, როგორ გააღო ნენემ ჰაერში მანქანის კარი. უფრო სწორედ, მე როგორ დავინახე გვერდიდან და შორიდან, როცა თვალები მქონდა დახუჭული. არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი სახლში, მაშინ, როცა ბოლომდე ნენესთან ერთად ვიყავი. მახსოვდა, როგორ წაეჩხუბა ნენე დათოს, როგორ გამოვიყვანე ბარიდან, მანქანაში ძალით ჩავსვი... მერე რაც მოხდა, უკვე მოვყევი.

— ეგრეა, ადამიანს ხედავ და მეორე წუთში აღარაა. — თქვა ქალმა. — დიდი სისწრაფით მოდიოდა და დამცავი ჯებირი გაუგლეჯია. ვინ იჯდა საჭესთან, არ ვიცით, შეიძლება ნენეც. არკვევენ.

— საჭესთან მე ვიჯექი... ფეხი გამეკვანძა, მაგრამ მაგის ბრალი არაა, არ ვიცი, რატომ მოვუხვიე მარცხნივ. უფსკრული დამავიწყდა. ბარში ნენესთან ერთად მივედი. არ ვაპირებდი. სახლში მინდოდა. ნენემ დამირეკა. აფორიაქებული ჩანდა. აღელვებული. ტიროდა. ვკითხე, რა გჭირს-მეთქი და არ მიპასუხა. რომ მივალთ, იქ მიხვდებიო. ასე იცოდა გაჯიუტება. ვერაფერს ათქმევინებდი, თუ არ უნდოდა. მეც ვიცდიდი. მივყვებოდი. მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა და უარესი მოხდებოდა. ნენეს შეჩერების მცდელობას აზრი არ ქონდა, ახლა მხოლოდ მის ნებაზე უნდა მიმეშვა, რომ ედუღა, ედუღა და მერე ჩამცხრალიყო. ბარში ბევრი ხალხი ირეოდა. ნენე თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მერე ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას. იქ იყო დათო და ვიღაცა. ის ვიღაც იყო გოგო და დათოს ხელი ქონდა გადახვეული. უკვე ყველაფერი გასაგები გახდა... ნენემ კონტროლი დაკარგა და გოგოს ეცა... ხელიდან გამოვლლიტეთ. დათომ გინება დაუწყო. ნენეს გაარტყა. მერე მე ვგლიჯე დათოს და წაიქცა.. ამაზე სულ გადაირია. ვგრძნობდი, რომ ცუდად დამთავრდებოდა... გარეთ გამოვათრიე. ყვიროდა. მანქანაში ჩავსვი და წამოვედით. ნენე მთელი გზა ტიროდა. სახლამდე მარტო მე მოვსულვარ, არადა, მსგავსი არაფერი მახსოვს... მხოლოდ ის ვიცი, რომ ნენე პროზექტურაშია.

— საჭესთან შენ როგორ იჯექი, შეუძლებელია. რა, მანქანიდან გადმოხტი? — კაოს ხმა იყო.

— არა. მეც იქ მოვკვდი, სადაც ნენე. მაგრამ, რატომღაც, აი, აქ ვარ. რატომღაც გავცოცხლდი. და ეგება ნენეც გაცოცხლდა, რა უნდა პროზექტურაში?!

სამზარეულოდან ამ დროს ვიღაც გამოვიდა და რაღაც მომაწოდა, დალიეო. არ მინდოდა დალევა, მაგრამ დამაძალეს. მერე წამომაწვინეს.

— საჭესთან ალბათ ნენე იყო. ის მაინც გვითხარი, ვის ათხოვე მანქანა, ეგებ ის ვიპოვოთ. ვუშველოთ. — ისევ კაო იყო. — შენ ეხლა ტრავმული შოკი გჭირს და ბოდავ.

— არა, ნენემ ტარება არ იცოდა. საჭესთან მე ვიჯექი. თუ არ გჯერათ, კითხეთ დათოს, დაურეკეთ. — ვთქვი და ტკივილი ვიგრძენი გვერდში. მაიკა გავიხადე და შევეცადე, დამენახა, რა მჭირდა ნეკნებთან.

— სულ დაბეჟილი ხარ. — მითხრა ქალმა. სინათლე აანთეს, უკეთ რომ დავეთვალიერებინეთ.

— კი, დაბეჟილხარ... მაგრამ რასაც ამბობ, მაინც წარმოუდგენელია. შენ რომ საჭესთან ყოფილიყავი, აქ არ იქნებოდი. ხეობიდან ვერ ამოხვიდოდი... მაშველები ძლივს ჩავიდნენ და ისიც თოკით. მოკლედ, მოკვდებოდი რა, მძღოლის მხარე საერთოდ აღარ არსებობს. მანქანა სულ დაპრესილია. ნენე იმიტომ იპოვნეს, რომ მანქანიდან გადმოვარდა. — თქვა მაღალმა კაცმა. მერე ტელეფონი აიღო და სასწრაფოში დარეკვას შეეცადა. — სულ დაკავებაა რა ამ სასწრაფოში. — თქვა და ახლა 03-თან დაკავშირებას სხვებიც შეეცადნენ.

— სასწრაფო რად გინდათ? — ვიკითხე და მაიკა გავისწორე. დავწექი. გვერდი ვიბრუნე.

— სასწრაფო შენ გინდა. — მიპასუხეს და რეკვა გააგრძელეს. უშედეგოდ.

— მე ერთხელ უკვე მოვკვდი და ხომ ხედავთ, გავცოცხლდი და ეხლა კიდევ ეს დაბეჟილი გვერდი რას მომკლავს. ვხვდები, რომ აბსურდულად ჟღერს, მაგრამ დათოს დაურეკეთ და ის გეტყვით, რომ მე და ნენე ერთად ვიყავით.

— მაგ არაკაცს ვინ დაურეკავს?! მაგის გამო მოხდა ყველაფერი.

— მე ტელეფონი არ მაქვს და არც სათვალე, იცით, რატომ? მანქანაში დამრჩა. თორემ მე დავურეკავდი. — გამეცინა.

ეს რომ ვთქვი, გამომძიებელს დაურეკეს და კითხეს. იმანაც დაუდასტურა, სათვალე და ტელეფონი წითელ კეისში ავარიის ადგილზე აღმოვაჩინეთო. ამ საუბრის მერე სიტუაცია დაიძაბა. აჩოჩქოლდნენ. გამომძიებელმა თქვა, თუ ეჭვმიტანილი მანდაა, მეც მოვალო.

— გამოდის, რომ მანქანის გადავარდნამდე გადმოხტი? ვერ გავიგე. თუ მანქანა გადმოაგდე... — კაო იყო. მერე სხვებმაც დასვეს იგივე შეკითხვა ათასჯერ. ვერსიებს აწყობდნენ, სიმართლის მოსმენა კი არავის უნდოდა.

სასწრაფო არა, მაგრამ გამომძიებელი მოვიდა. უკვე დილა იყო. დათოსთან ესაუბრათ და გაერკვიათ, რომ წინა ღამეს მართლაც ერთად ვიყავით მე და ნენე.

— რა ურთიერთობა გქონდათ გარდაცვლილთან? — მკითხა გამომძიებელმა უკვე საგამოძიებო დეპარტამენტში.

— ვმეგობრობდით.

— მოყევით, რა ვითარებაში მოხდა ინციდენტი.

— ნენემ დამირეკა. წავყევი. დათო მისი შეყვარებული იყო. იჩხუბეს. ხშირად ჩხუბობდნენ და მერე რიგდებოდნენ. სხვა გოგოსთან რომ ნახა, აღელდა. თავს ვერ აკონტროლებდა. მანქანაში ჩავსვი ძალით. გზაში ტიროდა. წვიმდა. ფეხი გამენასკვა. მოკლედ, გადმოვვარდით. ორივე დავიღუპეთ. ოღონდ მე გავცოცხლდი. ის ვერა. ან შეიძლება, ისიც გაცოცხლდა, მაგრამ თქვენ პროზექტურაში გააქანეთ და არ აცალეთ.

— ბატონო ლევან! ხომ იცით, რომ რასაც თქვან ყვებით, არაა სიმართლე. გამონაგონია. ფანტასტიკა. აღმდგარი მიცვალებული ჯერ არავის უნახავს... ქრისტეს თუ არ ჩავთვლით. ისიც მისტიკაა და კაცმა არ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. გაიხსენეთ, აბა, როგორ მოხდა. დაინახეთ მოაჯირი, მანქანა დაუმიზნეთ, გადმოხტით და მგზავრიანი მანქანა უფსკრულში გადაუძახეთ...

— არა-მეთქი. დავინახე, როცა უკვე მოაჯირი გავგლიჯე და გვიანი იყო. ნენე ყვიროდა. თვალები დავხუჭე. მე მზად ვიყავი ამისთვის. ის არა. უფრო მეტიც, ხშირად ვნატრობდი კიდეც, ასე მომსვლოდა, მაგრამ ნენესთვის კარგის მეტი არაფერი მინდოდა. ნენეს სიცოცხლე უყვარდა და დათო... და ქრისტეს რაც შეეხება, ეგ რომ აღდგა, მე პირადად ეჭვი არ მეპარება და თქვენი არ ვიცი. კაცს, რომელსაც მთელი დედამიწა უყვარდა, რა მოკლავდა?! — ვთქვი და ამოვისუნთქე.

— კი. — თქვა გამომძიებელმა. — ქრისტეს მთელი დედამიწა უყვარდა და არ მოკვდა. თქვენ კიდევ ნენე. ნენეს სხვა... ამიტომაც მოაწყეთ ეს ყველაფერი. ესაა სიმართლე. თქვენ ნენე მოკალით და თავად თავი გადაირჩინეთ... ან სულაც არ ფიქრობდით ნენეზე იმ მომენტში და მექანიკურად გადმოხტით.

გამომძიებლის მოსმენა აღარ შემეძლო. ახსნას აზრი აღარ ქონდა. წამოვდექი. გავიარე. გამოვიარე. სხეულის ტკივილი ისევ მაწუხებდა. ტკივილზე მეტად კი ის, რომ ნენე პროზექტურაში ეწვინათ. კი, გამომძიებელი მართალი იყო, ნენე მიყვარდა. ის იყო ერთადერთი გოგო, ვინც მიყვარდა, მაგრამ ისიც სიმართლე იყო, რასაც ვამბობდი, მაგრამ ხალხს არ სჯერა სასწაულების მაშინაც კი, თუ სასწაულს ხედავს... შესაძლებელია, გამომძიებელი სწორად ჩაწვდა ნენესადმი ჩემი დამოკიდებულების არსს. მაგრამ იმ ვერსიის, რასაც თავად მახვევდა, საგამოძიებოშიც არ სჯეროდათ. შეუძლებელი იყო. ამიტომაც იმტვრევდნენ თავს. მაწვალებდნენ. მაყოლინებდნენ. მეკამათებოდნენ. რეკავდნენ. ამოწმებდნენ. ეწეოდნენ. ბევრს ვეწეოდით. ვერ აეხსნათ, არ იცოდნენ, რატომ ვიყავი დაბეჟილი, რატომ მქონდა თმებში შუშის ნამსხვრევები და ხელში ხიჭვები. იმ ხის ხიჭვები, რომელსაც მანქანა დაეცა. რატომ იყო ჩემი სათვალე შემთხვევის ადგილზე დალეწილი...

ფანჯარა გამოვაღე, ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და იმ ღმერთს, რომელიც ჩემთან ერთად არსებობდა, ვთხოვე, უკან აღარ დავებრუნებინე. ვიგრძენი ვარდნა და ტკივილი. აუტანელი ტკივილი. ყველაფერი დამთავრდა. აღარ გავცოცხლებულვარ...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com